



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-9/2
989

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

2 . 1989



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980
წლის იანვარში

Журнал основан в январе
1980 года

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

2. 1989

თბილისი
ТБИЛИСИ



„მეცნიერება“
«МЕЦНИЕРЕБА»

ს ა რ ე დ ა კ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბუაჩიძე, ვ. თევზაძე, ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი,
ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ო. ფიოვეი (რედაქტორის მოადგილე),
პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Джюев О. И. (зам. редактора), Кешелав В. В.,
Микеладзе З. Н., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С.,
Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

გაღებულ წარმოებას 17.4.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.6.89;
ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,80;
პირ. საღ. გატარება 10, 15; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.01;
ტირაჟი 1000; შეჯ. № 1141; ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

© **«საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიენე»,**
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1989, № 2.

ზინაარსი

ფილოსოფია

თეიმურაზ მთიბაღვაშილი, გლობალური პრობლემების კულტურფილოსოფიური ასპექტები	5
მიხაილ ნანიშვილი, ილია ჭავჭავაძის საზრუნო საგნის რაობისათვის	23
რევაზ გორდენიანი, კარლ იასპერსი და აღმოსავლური ფილოსოფია (ძენ-ბუდიზმი)	37
ზურაბ შიშელაძე, შემოქმედების ზოგადი თეორიის ესკიზი	54

ფსიქოლოგია

ირაკლი იმედაძე, ნებელობის პრობლემა და ქცევის რეგულაციის სახეები	62
ლია შვაცილავაძე, განზრახვის განხილვის ექსპერიმენტული გამოკვლევა (კრიტიკული მიმოხილვა)	80

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

ავთანდილ კოკიაშვილი, ადამიანი და ღირებულებათა სამყარო	98
---	----

ახალი თარგმანები

ფ. ნიცში, ესე იტყოდა ზარატუსტრა	103
---------------------------------	-----

СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

Т. И. МТИБЕЛАШВИЛИ, Культурфилософские аспекты глобальных проблем	5
М. А. НАНЕГШВИЛИ, О предмете мышления И. Чавчавадзе	23
Р. Ш. ГОРДЕЗИАНИ, К. Ясперс и восточная философия (дзен-буддизм)	37
З. Н. МИКЕЛАДЗЕ, Эскиз общей теории творчества	54

ПСИХОЛОГИЯ

И. В. ИМЕДАДЗЕ, Проблема воли и виды регуляции деятельности	62
Л. Дж. КВАВИЛАШВИЛИ, Экспериментальные исследования воспоминания намерения (критический обзор)	80

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. Д. ПОПИАШВИЛИ, Человек и мир ценностей	98
---	----

НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

Ф. НИЦШЕ, Так говорил Заратустра	103
----------------------------------	-----



ფილოსოფია

თეიზურაჲ მთიბალაშვილი

19.229

გლობალური პრობლემების კულტურფილოსოფიური ასპექტები

§ 1. გლობალური პრობლემები და კულტურის ფილოსოფია. კულტურა სინამდვილის ათვისების სპეციფიკურ-ადამიანური ფორმაა. ამიტომ, სიძნელეები, რომლებიც სინამდვილის ადამიანური ათვისების პროცესში ჩნდებიან ხოლმე, კულტურის სიძნელებიცაა. ისტორიულად კაცობრიობა და მისი კულტურა ყოველთვის იდგა სხვადასხვაგვარი, „დიდი თუ მცირე“ სიძნელებების წინაშე, მაგრამ, ამ მხრივ, თანამედროვე ეპოქა, მაინც განსაკუთრებულია. თუ ადრინდელი სიძნელები გეოგრაფიულადაც და დემოგრაფიულადაც შემოსაზღვრული და ამიტომ, ლოკალური ხასიათის იყო, თანამედროვე სიძნელეთა ნაწილი მაინც, არსებითად, პლანეტალური მასშტაბისაა, მთელ კაცობრიობას მოიცავს და, ამ აზრით, გლობალურია. ეს სიძნელები მრავალი აქტუალური პრობლემის წინაშე აყენებს სხვადასხვა მეცნიერებებს. ამ მეცნიერებათა შორისაა კულტურის ფილოსოფიაც.

კულტურის ფილოსოფიისათვის გლობალური პრობლემების აქტუალობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია, მაგალითად ის, რომ მათ გადაწყვეტას ადამიანები იმ კულტურის საფუძველზე აპირებენ, რომლის სუბიექტებიც თვითონ არიან. ეს კულტურები კი ხშირად საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება კიდევ ამ პრობლემისადმი ადამიანთა მიდგომის არაერთგვაროვნებაში. ამიტომ, გლობალური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში დიდი მნიშვნელობა ეხიჭება იმის გარკვევას, თუ სახელდობრ, როგორ როლს თამაშობენ ადამიანთა რეალურ ცხოვრებაში (გლობალური პრობლემებისადმი მიდგომის ჩათვლით) ისეთი განსხვავებული კულტურული ფაქტორები, როგორიცაა: სხვადასხვა მსოფლმხედველობები, ღირებულებითი ორიენტაციები და სხვა, რაც საკუთრივ კულტურის ფილოსოფიის სფეროში შემოდის. კულტურის ფილოსოფიისათვის გლობალური პრობლემების აქტუალობაზე მეტყველებს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: ევროპული კულტურა საუკუნეთა მანძილზე გამოდიოდა „პრეტენზიით“, რომ სწორედ მას უნდა უზრუნველყო ადამიანის ბედნიერი მომავალი. ამ პრეტენზიას საფუძველს უმაგრებდა, ერთის მხრით, იმ მალალი ადგილის შეგნება, რომელიც ადამიანს მიუჩინეს კულტურის ევროპულ სისტემაში ჭერ აღორძინებამ, შემდეგ კი ახალმა დრომ, მეორეს მხრით კი, იმის რწმენა, რომ სწორედ ამ კულტურაში უნდა განხორციელებულიყო, როგორც ბუნებრივი გარემოს, ასევე მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამორჩილება და გონიერი გარდაქმნა. და აი, ასეთი რწმენის უსაფუძვლოება მთელი სისრულით უკვე ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა წარმოაჩინა. თანამედროვეობამ კი „თავისი“ გლობალური სიძნელებითა და

საქ. ს. რ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
გლობალური



პრობლემებით, საბოლოოდ შეურყია საფუძველი პროგრესის საყოველთაო წმენდას და ცხადი გახდა ამ პრობლემების კულტურულ-ფილოსოფიური ანალიზის გადაუდებელი საჭიროება.

ერთ-ერთი ასეთი პრობლემა, ომისა და მშვიდობის პრობლემაა. ევროპული კულტურის არსებით ნაკლოვანებად განიცდება, სახელდობრ, ის, რომ „მის ბაზაზე“, ჯერ-ჯერობით მაინც, ვერ მოხერხდა სხვადასხვა ხალხებისა და სახელმწიფოების ისეთი კულტურული ერთიანობის უზრუნველყოფა, რაც მათ შორის ომების შესაძლებლობას გამოიწვევდა.

ადამიანები სხვადასხვა, დიდსა თუ მცირე დაჯგუფებებში, ერთობებში ერთიანდებიან. ამ ერთობების ჩამოყალიბების მრავალფეროვან ფაქტორებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კულტურულ ფაქტორებსაც უკავიათ. ასეთებია, მაგალითად ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციები. ნებისმიერი ადამიანის მსოფლმხედველობაში, ისეთი „ღირებულებითი ინფორმაციის“ გვერდით, რომელიც არეგულირებს ამ ადამიანების მიმართებას სხვა ადამიანთან (როგორც ადამიანთან), მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთსაც, რომელიც არეგულირებს მის მიმართებას, ერთის მხრივ, საკუთარ სოციალურ ჯგუფთან და მის თითოეულ წევრთან, მეორეს მხრივ კი — სხვა სოციალურ ჯგუფთან და მის თითოეულ წევრთან. ამდენად, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთმიმართების საკითხი, რამდენადაც მის ხასიათს კულტურული ფაქტორებიც განაპირობებენ, კულტურის ფილოსოფიის საკითხიცაა, რომლის კულტურფილოსოფიური ანალიზი გადაუდებელ საჭიროებად იქცა დღეს, ბირთვული იარაღის არსებობის პირობებში. ამ იარაღის არსებობის თვით ფაქტიც კი ზომ სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანთა ურთიერთობების ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ არ შეესატყვისება ნამდვილ კულტურულ მოთხოვნებს.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემა დაკავშირებულია იმ სიძნელეებთან თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ზნეობრივ სფეროში რომ იჩინეს თავი. სიძნელეებს ის ქმნის, რომ თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში (იგულისხმება, უპირველესად, ევროპული ცივილიზაცია) იძალა და განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო ადამიანთა ცხოვრების ისეთმა ორიენტაციებმა სადაც, ადამიანთა ინდივიდუალისმისა და ეგოიზმის გაძლიერების პირობებში, ზნეობრივმა ღირებულებებმა ერთობ მოკრძალებული ადგილი დაიკავეს.

იმ კულტურულ ფაქტორებს შორის, რომლებიც ადამიანებისა და მათი სოციალური ერთობების ცხოვრების განსხვავებულ ხასიათს, მათს, ასე ვთქვათ, სოციალური პოზიციების სხვადასხვაობას განაპირობებენ, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი იმ განსხვავებულ მსოფლმხედველობებს, ან უკეთ, მსოფლმეგრძნებებს უკავიათ, რომლებშიც ნახულობენ კიდევ თავიანთ გამართლებას ადამიანთა განსხვავებული ღირებულებითი ორიენტაციები. ნებისმიერი მსოფლმხედველობის ერთ-ერთ „ცენტრალურ ნერვს“ კი ადამიანის მიერ საკუთარი თავის, სამყაროში თავისი ადგილის, დასასრულ, გარემოსთან თავისი მიმართების ესა თუ ის ვაგება წარმოადგენს.

მსოფლმხედველობის ძირითადი, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მომენტი ადამიანთა ურთიერთმიმართების გარკვეული გაგებაა. ადამიანის ცხოვრების ზოგადი ხასიათი, ასე თუ ისე, საერთოდ, მთელ სინამდვილესთან მის მიმართებაში იჩენს თავს მაგრამ, სწორედ ადამიანთა

უშუალო ურთიერთობები წარმოადგენს მათი ცხოველმოქმედების გამოვლენის უმთავრეს და უძირითადეს სფეროს. ამ გარემოებას გარკვეულწილად ადამიანისთვის სოციალ-კულტურული გარემოს განსაკუთრებული მნიშვნელობა განაპირობებს. მაგრამ სხვა ადამიანთან ადამიანის მიმართება არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იყოს განპირობებული მხოლოდ ამ ფაქტით, რადგანაც ეს უკანასკნელი არ გამოირიცხავს სხვა ადამიანისადმი ცალმხრივ, მომხმარებლურ დამოკიდებულებას და მათი მხოლოდ საშუალებებად განხილვის შესაძლებლობას. ადამიანთა ურთიერთობების ჭეშმარიტად ზნეობრივი ხასიათი კი შეიძლება უზრუნველყოს ადამიანის მხოლოდ ისეთმა „სამოქმედო პროგრამამ“, ისეთმა მსოფლმხედველობამ, რომელშიც თვით ადამიანია ისე გაგებული, რომ გამოირიცხულია სხვა ადამიანის მხოლოდ საშუალებად მიჩნევის შესაძლებლობა. და თუ ევროპული კულტურა ვერ უზრუნველყოფს ადამიანთა ასეთ ურთიერთმიმართებას, ეს იმის მუწყებელია, რომ ევროპული ადამიანის მსოფლგანცდა რაღაცნაირად უშვებს ამის შესაძლებლობას.

მსოფლმხედველობის ერთ-ერთი, ასეთი არსებითი მომენტი ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთმიმართების გარკვეული გაგებაა. ამ კონტექსტში კი წინ უკვე ე. წ. ეკოლოგიური პრობლემები წამოიწეეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პრობლემები, რამდენადაც ისინი კულტურას კი არ ეხებიან, არამედ ობიექტურ-ბუნებრივი (ძირითადად ცოცხალი ბუნების) გარემოს ყოფნა-არყოფნის საკითხს, არც უნდა იმსახურებდნენ კულტურის ფილოსოფიის ყურადღებას. მაგრამ ეკოლოგიური საფრთხე მხოლოდ იმ ობიექტურ ბუნებას, კი არ ემუქრება, რომელიც თანამედროვე ბუნებათმეცნიერულ ცოდნაშია „წარმოდგენილი“, არამედ იმასაც, რომელიც „არსებობს და ცოცხლობს“ სხვადასხვა ხალხების ენაში, მითოლოგიურ და რელიგიურ წარმოდგენებში, ხელოვნებაში და რომელიც მათი კულტურული არსებობის, მათი ისტორიისა და კულტურის მოუცილებადი მომენტია.

ეკოლოგიური სიძნელეების არსებობის ერთ-ერთ სიღრმისეულ საფუძველს ხშირად იმაშიც ხედავენ ხოლმე, რომ თანამედროვე ადამიანის მსოფლგანცდაში ბუნება საშუალებადაა წარმოდგენილი, რაც მისდამი მომხმარებლურ დამოკიდებულებას ბადებს.

ბუნება, რა თქმა უნდა, საშუალებაა, მაგრამ ისეთი, რომელსაც, ამავე დროს, ღირებულებაც (სახელდობრ ესთეტიკური) გააჩნია რაც, ვფიქრობთ, უნდა წარმოადგენდეს კიდევ როგორც მასთან ადამიანის არამომხმარებლური, ან უკეთ, არა მხოლოდ მომხმარებლური მიმართების, ასევე მისი ბედისადმი კულტურის ფილოსოფიის ყურადღების საკმაო საფუძველს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბუნებასთან საზოგადოების მიმართების ყოველი ისტორიული ფორმა კულტურული ფაქტორია და ბუნებრივია კულტურის ფილოსოფია მას გვერდს ვერ აუვლის.

კულტურის ფილოსოფიას თავისი კვლევით შეუძლია და უნდა შეიტანოს კიდევ თავისი დადებითი წვლილი გლობალური სიძნელეების დაძლევაში, რამდენადაც ადამიანის არსებისა და გარემოსთან მისი მიმართების ახლებური გააზრებით, მას უნარი შესწევს სტიმული მისცეს ისეთი ახალი ტიპის აზროვნებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებას, რომელაც მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული ამ სიძნელეების დაძლევაზე. ხოლო რაც შეეხება კვლევის მიმართულებას, ანუ ამ პრობლემების ფილოსოფიურ ასპექტებს, აქ პირველ რიგში, ონტოლოგიურ და ეთიკურ ასპექტებს გამო-

ყოფენ ხოლმე, (6,220-232), თუმცაკი აღინიშნება, რომ ასეთ გამოყოფას პირობითი ხასიათი აქვს, რადგანაც ეს ასპექტები ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

§ 2. გლობალური პრობლემების ონტოლოგიური ასპექტი. გლობალური სიძნელეების გამომწვევი ფაქტორები მრავალი და თანაც სრულიად განსხვავებული ხასიათის შეიძლება იყოს. ეკოლოგიური სიძნელეების გამომწვევი პროცესები, მაგალითად, შეიძლება ადამიანზე დამოკიდებულნიც იყვნენ და დამოუკიდებელნიც, ადამიანის მიერ შექმნილნი და ამდენად, ხელოვნურიც და ისეთი ბუნებრივიც, რომლებიც მაინც ადამიანის მოღვაწეობით არიან გამოწვეულნი. ამიტომ, მიზანშეწონილი სჩანს მათი პირობითად სამ ჯგუფად დაყოფა: ერთში ისეთი ბუნებრივი პროცესები მოექცევიან, რომლებიც არაფრით არ არიან დაკავშირებული ადამიანის საქმიანობასთან (მაგალითად, მზის ამოფრქვევები), მეორეში ასევე ბუნებრივი, მაგრამ, უკვე ადამიანის მოქმედებით გამოწვეული და მოქმედებაში მოყვანილი მოვლენები (მაგალითად, კონტროლს დაუქვემდებარებელი რადიოაქტიური დაშლის პროცესი), დაბოლოს, მესამე ჯგუფში მოექცევა ისეთი პროცესები, რომლებიც მძლიანად ადამიანის მოღვაწეობაზე არიან დამოკიდებული (მაგალითად, საწარმოო ნარჩენებითა და მანეგ გამონაბოლქვებით გარემოს დაბინძურება).

მიზეზთა პირველი ჯგუფის კვლევის სფერო არაფრით არ სცილდება ბუნების საზღვრებს, რის გამოც, მისი კვლევა მთლიანად კერძო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საქმეა. რაც შეეხება მეორე და მესამე ჯგუფის მიზეზებს, აქ უკვე საბუნებისმეტყველო ცოდნა, თუმცაკი ფრიად საჭირო, მაგრამ მაინც არასაკმარისი ხდება, რადგანაც, საბოლოო ჯამში, აქ საქმე ადამიანის მოქმედებების განმაპირობებელ ისეთ ფაქტორებს ეხება, რომლებიც ბუნებას არ ეკუთვნიან.

ადამიანის მოქმედებაზე გარკვეულ გავლენას მისი ბუნებრივ-ბიოლოგიური მონაცემებიც ახდენს და გლობალურ სიძნელეებთან დაკავშირებული ამ ფაქტორის ბუნებათმეცნიერული კვლევა, ცხადია, საჭირო და აუცილებელია. ანალოგიური მიზეზით ასევე საჭირო და აუცილებელია კერძო საზოგადოებრივი მეცნიერული ცოდნაც. მაგრამ კერძომეცნიერული ცოდნა არასაკმაოა და მისი ფილოსოფიური ცოდნით „შეესება“ საჭირო, რადგანაც გლობალური სიძნელეების გამომწვევი, ადამიანის (და საზოგადოების) ცხოველ-მოქმედების ხასიათის სრულყოფილი გაგება შეუძლებელია მისი ღირებულებითი ორიენტაციების, მსოფლმხედველობის ხასიათის და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, რომელთა კვლევა საკუთრივ ფილოსოფიის, კერძოდ კი კულტურის ფილოსოფიის საქმეა.

გლობალური პრობლემების ბედში ამ კულტურული ფაქტორების როლის კვლევა, რამდენადაც აქ არსებითად საქმე გლობალური სიძნელეების არსებობის განმაპირობებელ სიღრმისეულ საფუძვლებს ეხება, შეიძლება ამ პრობლემების ონტოლოგიურ ასპექტში კვლევად მივიჩნიოთ.

ამ ასპექტში კვლევის წარმოება საჭირო იმის გამოცაა, რომ კულტურის ერთგვაროვანი მოვლენები, გლობალური პრობლემების ბედში, შეიძლება სულ სხვადასხვაგვარ როლს თამაშობდნენ. მსოფლმხედველობა, მაგალითად, როგორც ადამიანის ცხოვრების გარკვეული ორიენტაციის გამოხატულება, შეიძლება აფერხებდეს და ხელს უშლიდეს გლობალური სიძნელეების ჩა-

სახეცა და გარდაცემას, მაგრამ ის შეიძლება საპირისპირო როლსაც კი თამაშობდეს. აქ ყველაფერი თვით მსოფლმხედველობის ხასიათზეა დამოკიდებული.

მკვლევართა უმრავლესობას გლობალური სიძნელეები, უპირველესად, ევროპული კულტურის კრიზისის უშუალო გამოხატულებად მიაჩნია. ამ კრიზისის ისეთი გამოვლინებანი, როგორცაა: ნიჰილიზმი, მომავლის სასიკეთო პერსპექტივების რწმენის დაკარგვა და სხვა, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ადამიანის ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის, გარემოსადმი უპირატესად მომხმარებლური დამოკიდებულის მომძლავრებისათვის, ევროპული საზოგადოების „მსოფლმხედველობრივი კრიზისის“ უშუალო გამოხატულებაცაა. ევროპული კულტურის საფუძველმდებარე მსოფლმხედველობრივმა სისტემამ, საიდანაც ევროპული საზოგადოება ასწლულების მანძილზე სასიცოცხლო ენერჯიას „ივსებდა“ და რომელსაც ადამიანის უკეთესი ბედნიერი მომავლის რწმენა ემყარებოდა — არა თუ სოციალ-კულტურულ სინამდვილეში ადამიანისა და საზოგადოების საზიანო პროცესების აღკვეთა ვერ შეძლო, არამედ, ისინი ერთგვარად „სანქცირებულნიც“ გახადა. ეს კი იმის გამოც მოხდა, რომ ადამიანისა და გარემოს მიმართების ხასიათის ის გაგება, რომელსაც გაბატონებული ადგილი ეკავა ევროპული კულტურის სისტემაში, — ბოლომდე სწორი და გამართლებული არ იყო.

ევროპული კულტურის კრიზისის ხშირად მეცნიერებისა და ტექნიკის, უფრო ზოგადად მისი მატერიალური მხარის სწრაფ და უპირატეს განვითარებას უკავშირებენ ხოლმე.

კულტურის მატერიალური მხარის უზომო და სწრაფი განვითარება, საბოლოო ჯამში, მსოფლმხედველობრივი ორიენტაციების იმ ცვლილების შედეგიც იყო, რაც ბოლო ასწლულების მანძილზე ევროპული საზოგადოების ცხოვრებაში ხდებოდა. ეს ცვლილებები სინამდვილის ახლებური გაგების საფუძველზე ადამიანისა და გარემოს (პირველ რიგში ბუნებრივი) მიმართების პრინციპულად ახალი ფორმის ჩამოყალიბებასთან იყო დაკავშირებული.

თანამედროვეობის ერთ-ერთ მანკიერ მხარედ ბუნებასთან მისი ცალმხრივი, ზედმეტად მომხმარებლური დამოკიდებულება და ფლობაზე ორიენტაცია მიაჩნიათ ხოლმე. ამ მოსაზრებას აქვს კიდევ რეალური საფუძველი, თუმცა, ეს ორიენტაცია, ალბათ, ყოველთვის საკმაოდ ძლიერი იყო და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ფლობა და მოხმარება აუცილებელია ადამიანის როგორც ბიოლოგიური, ასევე კულტურული არსებობის უზრუნველყოფისათვის.

ასეთ პირობებში, ადამიანის ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის შემადგენხელისა და სულიერი ცხოვრების საფუძვლის როლი კულტურულ ფაქტორებს, სახელდობრ კი იმ რელიგიურ-მითოლოგიურ, თუ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობებს ეკისრებოდათ, რომელთა ნიადაგზეც ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციების ფორმირება ხდებოდა. მიუხედავად იმისა, თუ როგორ განიცდებოდა ბუნება: ადამიანის „ტოლსწორ“ და მასთან ორგანულ ერთიანობაში მყოფ სინამდვილედ (მაგალითად ბერძნულ-რომაული მითოლოგიური მსოფლგანცდა), თუ ღირებულებას მოკლებულ, ადამიანის ქეშმარიტ არსებასთან დაპირისპირებულ და ამდენად, უარსაყოფ და გადასალახ რეალობად (შუასაუკუნეების ქრისტიანობა), ამ მსოფლმხედველობებს და შესაბამისად, კულტურასაც გააჩნდა „ქმედითი იარაღი“ ადამიანის ბიოლო-

გიურ-ვიტალური, და სხვა არავონითი მიდრეკილება-მოთხოვნილებების შესაზღუდად და მათი დაკმაყოფილების ამა თუ იმ სულიერი დონის უზრუნველსაყოფად. ბერძნულ-რომაულ მითოლოგიურ მსოფლმხედველობაში უკვდავი ღმერთები, რომლებიც, არსებითად, ადამიანთა რეალური ცხოვრების ორიენტირებსაც წარმოადგენენ, მასზე ნაკლებად ეგოისტური, ხარბნი, მზაკვარნი და შურიანი როდი იყვნენ. მაგრამ იგივე ღმერთები, არც ადამიანის სულის ამალღებულ თვისებებს — ერთგულებასა და მეგობრობას, სიყვარულსა და მოყვასისთვის უანგარო თავდადებას მიაგებდნენ ნაკლებ პატივს. შუასაუკუნეების ასკეტიზმშიც ხორციელის დათრგუნვა და უარყოფა სიკეთის, ჰუმანიტებისა და მშვენიერების უმადლეს ღირებულებებთან, საბოლოო ჯამში კი, უზენაეს ღვთაებასთან მიახლოების უზრუნველყოფელ ცხოვრების წესად იყო მიჩნეული და არა რალაც თვითმიზანი.

რენესანსის ეპოქას არსებითი ცვლილებები შეაქვს საერთოდ მთელი სანამდვილის, კერძოდ კი გარემოსთან ადამიანის მიმართების გაგებაში. „აღორძინების ეპოქის გენიალური მხატვრები და მოაზროვნეები, — აღნიშნავს კ. დოლოვი, ნიკოლო მაკიაველის თხზულებათა კრებულის წინასიტყვაობაში, — უმნიშვნელოვანეს პრობლემებს აყენებენ და წყვეტენ რელიგიასთან მჭიდრო კავშირში“ [1, გვ. 103]. ეს ეპოქა გაბატონებული ღირებულებების შუქზე მიწიერი ღირებულებების გამართლებასა და, ამ გზით, დამოუკიდებლად მოაზროვნე და მოქმედი ინდივიდის დამკვიდრებას ესწრაფოდა. „შენ ნამდვილად გჯერა, რომ ღვთისთვის უმოქმედო, პავლე უფრო სასურველია, ვიდრე შრომისმოყვარე ადამი?... ქვეყნიერებიდან გაქცევისას შენ შეიძლება ციდან მიწაზე ჩამოხვიდე, მაშინ, როცა მე მიწიერ საგნებს შორის დარჩენით შეეძლებ ავამაღლო ჩემი გული მიწიდან ზეცისაკენ“, [4, გვ. 82]. სალიუტატის ეს სიტყვები მიწიერისა და ზეციერის მიმართების შესახებ ლ. მ. ბატკინს „მთელი აღორძინების კულტურის მშვენიერ ფორმულად“ [4, გვ. 82] მიაჩნია. და მართლაც, როგორც ის იტალიელი ჰუმანისტების ცხოვრებისა და აზროვნების სტილის საფუძვლიანი ანალიზით აჩვენებს „... ჰუმანისტური ეპოქა მხოლოდ საკუთარ (განსაკუთრებით ქრისტიანულ-ნეოპლატონურ) ტრადიციებს კი არ ავრძელებდა, არამედ მკვეთრადაც განსხვავდებოდა მისგან იმით, რომ ღროს ინდივიდის კონკრეტულ მონაპოვრად გადააქცევდა, რითაც ნამდვილი ღრვისა და ტრანსცენდენტალური მარადიულობის დუალიზმს გადალახავდა და პიროვნების თვითგანხორციელებასა და მისი ცხოვრების ხანმოკლე ვადას ადამიანში ღვთაებრივის ამქვეყნიურ ზეიმად მიიჩნევდა“ [4, გვ. 90]. ამდენად, აღორძინების ეპოქის თავისუფალმოაზროვნე ადამიანი საკუთარ თავს, მის მთლიანობაში, განიხილავს, როგორც გაღვთებრივებულ რეალობას. ადამიანის მიწიერი ლტოლვები, ვნებები, მისწრაფებები და ა. შ., ღირებულება იმის გამო, რომ ისინი სიკეთის, მშვენიერების და ა. შ. სუბსტანციურ ღირებულებებს არიან ნაზიარები. ცვალებად და არამდგრად მიწიერ სინამდვილესაც აქვს ღირებულება, რადგანაც მასში არის უცვლელი და მარადიული — ღმერთი.

აღორძინების მოძრაობა, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა მოიცვა, თავის თავს, პირველ რიგში, სქოლასტიკის მარწუხებისაგან ადამიანის თანდათანობითი გამოთავისუფლებით და მისი აქტიუობის მიწიერი სინამდვილისაკენ მიმართვით ამჟღავნებს. „აღორძინების ტიტანები, — აღნიშნავს ვ. რუტენბურგი, — სულთ ძლიერი მიწის შვილები, — ჩაებნენ ზეცის ფლობისა-

თვის, თავისუფალი ყოვლისშემძლე ადამიანისათვის ბრძოლაში“ [5, გვ. 141]. ადამიანი იწყებს ბუნების, ასე ვთქვათ, „გეოგრაფიული სივრცის“ აქტიურ ათვისებას, რაც იმის მომასწავებელიცაა, რომ მის გულსა და გონებაში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს მიწიერ სინამდვილესთან დაკავშირებული ღირებულებები იკავებენ. მაგრამ, თეორიულ-მსოფლმხედველობრივ, ან თუნდაც, გრძნობადის დონეზე მიწიერი, ან უკეთ ობიექტურ-ბუნებრივი რეალობის ღირებულების აღიარება ამ სინამდვილის ადამიანისაგან განსხვავებასა და, ხშირ შემთხვევაში, მასთან დაპირისპირებას როდი მოხსნის. ამიტომ, ადამიანმა მასთან ურთიერთობა პრაქტიკულადაც უნდა მოაგვაროს. ამისთვის კი მას რაღაც საყრდენი და იარაღი სჭირდება, ასეთ იარაღად უკვე ამ ეპოქას, განსაკუთრებით კი ახალ დროს ბუნებათმეცნიერული ცოდნა წარმოედგინა.

ახალი დროის მიზანდასახულების ცენტრშიც, ადამიანი და მისი ბედნიერი მომავალი დგას. ხოლო, რაც შეეხება ამ მიზნის მიღწევის გზას, ასეთად ამ დროს ბუნებაზე გაბატონება, ძირითად საშუალებად კი ბუნებათმეცნიერული ცოდნა წარმოედგინა. ადამიანი ცხოვრობს ბუნებაში და იმისათვის, რომ ბედნიერი იყოს, უნდა გაბატონდეს მასზე. ეს კი ცოდნის საფუძველზე, ბუნების შემეცნების გზითაა შესაძლებელი.

ამრიგად, აღორძინების ეპოქამ თავისი კულტურის საფუძველმდებარე მსოფლმხედველობით სცადა მიწიერის და ზეციერის დუალიზმის დაძლევა ისე, რომ ეს ცდა არ განხორციელებულა არც მიწიერიდან ამოსვლით და არც მიწიერის საფუძველზე. ა. ლოსევის მოსწრებული შენიშვნით, ამ ეპოქის წამოყენებული დიალოგი (ზეციერსა და მიწიერს შორის) თავის უშუალო ამოცანად სრულიადაც არ ისახავდა ზეციერის უარყოფას და უხამის ადამიანის ობიექტურული ინტერესების გამართლებას, [2, გვ. 99]. ჰუმანიზმის ეპოქის „ამინდის შემქმნელი“ თავისუფლად მოქმედი და მოაზროვნე ადამიანი თავის თავს (მის მთლიანობაში) განიხილავს, როგორც ამქვეყნიურ სინამდვილეში ღვთაებრივის ყველაზე უფრო სრულყოფილ გამოვლენას, როგორც გაღვთაებრივებულ რეალობას.

მეორე არსებითი ათვისებულება ამ ეპოქისა ისაა, რომ აქ ჩაისახა ზა თანდათან სულ უფრო გამოიკვეთა ადამიანისა და ბუნების მიმართების ახალი კულტურული ფორმა, რომელმაც მსოფლმხედველობრივად დასრულებული და გაფორმებული სახე უკვე ახალი დროის დასაწყისში მიიღო. მასში ბუნება ღვთისაგან ადამიანის საცხოვრისად შექმნილ იმ რეალობად იყო წარმოდგენილი რომლის შემეცნებითა და რომელზე გაბატონებითაც ადამიანს ამქვეყნიური ბედნიერებისათვის უნდა მიედღია. ევროპული კულტურის და მისი სუბიექტის შემდგომი ბედიც სწორედ იმაზე იყო ბევრად დამოკიდებული, თუ რამდენად თავსებადი აღმოჩნდებოდა ეს ორი მომენტი კულტურის ერთიან სისტემაში.

ბუნებათმეცნიერების მიზანი ცოდნის ობიექტური შინაარსის მოპოვებაა. ეს ადამიანის ისეთ შემეცნებითს პოზიციას მოითხოვს, საიდანაც მთლიანად იქნებოდნენ გამორიცხული ადამიანის როგორც პირადი: ემოციები, სურვილები, მიდრეკილებები და ა. შ., ასევე, მისი თეორიული ცნობიერების შემზ-

1. აქ ლაბარაკია ადამიანთა იმ მსოფლგანცდაზე, რომელიც დიალოგის გზით ცდილობს თეორიულ „ეთითაღფუძნებას“ და რომელიც ამ ეპოქის კულტურულ ნოვაციას განსაზღვრავს და განაპირობებს.

ლუდველ-შემბორკველი სხვადასხვა იდოლები (ბეკონი) — წარსულის კულტურული მემკვიდრეობა.

ასეთი, მკაცრად ობიექტური და დაუინტერესებელი თვალით დანახული ბუნება, ადამიანის წინაშე წარმოსდგება ურთიერთკავშირში მყოფ მრავალფეროვან მოვლენათა უსასრულობად, რომლის მოწესრიგებულ ხასიათსაც მასშივე მოქმედი, ასევე ობიექტური, შინაგანი, მყარი, განმეორებადი და ზოგადი კანონები განაპირობებენ. თეორიულ შემეცნებაში სინამდვილე ზოგადის, კანონის შუქზე დაინახება და ამიტომ აქ, ყველაფერი ის, რაც კანონებთან თანხმობაში არაა, ან მათ შუქზე ვერ აიხსნება — საერთოდ უგულვებელიყოფა.

ბუნების ასეთ ცოდნაში თავისთავად არაფერია კულტურის სახიანო და საპირისპირო. მეტიც, ის თვითონაა კაცობრიობის მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვარი. მაგრამ, ის გარემოება, რომ ცოდნის ამ სურათს აქვს ერთადერთი ნამდვილობისა და ჭეშმარიტების პრეტენზია, ქმნის ადამიანის ასევე ნამდვილი და ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის მისი მნიშვნელობის გაზვიადებისა და გააბსოლუტების შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობის რეალიზაციის შემთხვევაში კი ზოგადსა და კანონს დაუქვემდებარებლის თეორიული უგულვებელიყოფა მის უარყოფაში გადაიზრდება. ასეთი ბედი ეწევა, მაგალითად, შემთხვევითობას. ის ან საერთოდ უარიყოფა, ანდა, რაღაც ზოგადი აუცილებლობის კერძო მომენტად ცხადდება, რაც, არსებითად, ასევე, მისი უარყოფაა. ასეთივე ბედი ეწევა თვით ადამიანს, ან უკეთ, ყოველივე იმას ადამიანში, რაც ზოგადს, კანონს არ ექვემდებარება და ამიტომ, მის საფუძველზე ვეღარ ვაიგება. დაბოლოს, ასეთივე ბედი ეწევა თვით ბუნებასაც, ოღონდაც არა როგორც ადამიანისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ რეალობას, არამედ ადამიანურ, კულტურულ სინამდვილეში ჩართულ და, ამ გზით — გაადამიანურებულ, გასულიერებულ სინამდვილეს. ამიტომ, ბუნება წარმოსდგება მხოლოდ იმად რაც ექვემდებარება ზოგადს და რისი რაციონალური ვაგება და ახსნაცაა შესაძლებელი.

და მაინც, კულტურისათვის საგანგაშო აქ, თითქოს, ჯერ კიდევ არაფერია. მართალია ასეთ სინამდვილეში ადგილი აღარ რჩება ღვთისთვის და საერთოდაც, მთელი წინამავალი კულტურისათვის, ეგზომ ბუნებრივი „ზებუნებრივი არსებებისათვის“, ადამიანის ისეთ, მართლაც „ღვთაებრივ“, უნარებისთვის როგორცაა: თავისუფლება, შემოქმედებითობა, ავტონომიური ზნეობრივი ნება და ა. შ., მაგრამ ეს თითქოს ჯერ კიდევ არ უნდა ნიშნავდეს თვით კულტურის არსებისადმი დაპირისპირებას. მართალია ძველი კულტურა უარიყოფა, მაგრამ იქნებ შეიძლებოდეს ახალი ტიპის, მთლიანად რაციონალური კულტურის შექმნა, სადაც ყველაფერი საერთო ცენტრს, ზოგადს, კანონს დაექვემდებარებოდა და სადაც ყველაფერი, თვით ადამიანის ჩათვლით, ამ კანონივით რაციონალისტურად ახსნადი და გაგებადი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ცნობიერად თუ არაცნობიერად, რაღაც ამის მსგავს პოზიციაზე იდგა ჩვენი ახლო წარსულის ზოგიერთი ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე და, ალბათ, დღესაც დგას ტექნოკრატიული ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი. თითქოს ამ ორი კატეგორიის ადამიანებს შორის, (ამ საკითხში მაინც) არაფერი არაა საერთო. მაგრამ, თუ ჩაუვკვირდებით, ზოგადი კანონი, სულ ერთია ის საზოგადოების იქნება თუ ბუნების, როდესაც

იგი ცალმხრივად და აბსოლუტური მნიშვნელობითაა გაგებული, ერთნაირად ანიველირებს და აუფასურებს, უბრალო ეგზემპლარებად აქცევს ორივე რიგის მოვლენებს — ბუნებრივსაც და საზოგადოებრივსაც. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი ის, რაც არ ექვემდებარება კანონს, ზოგადს, „გამოდის მისი „კონტროლიდან“, გაუგებრობად და არსებობის საკმაო საფუძველს მოკლებულად ცხადდება. აღნიშნული თვალსაზრისიდან გამომდინარე ლოგიკური დასკვნით, ასეთ შეფასებას ექვემდებარება ყველა და ყველაფერი, იქნება ეს: ზოგადი, ასე ვთქვათ, საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული სტანდარტებისაგან განსხვავებული, საკუთარი, განუმეორებელი და უნიკალური ინდივიდუალობის მქონე ადამიანი თუ გაბატონებული, ზოგად კანონთა შესატყვისად მიჩნეული და ამდენად ოფიციალურად აღიარებული შეხედულებებისაგან განსხვავებული შეხედულებები; უნიკალური და (სწორედ ამ უნიკალურობის გამოც) განუმეორებელი ღირებულების მქონე კულტურის მოვლენა, თუ ბუნების საგანი და ა. შ.

სინამდვილის ასეთი გაგება მრავალმხრივია საგულისხმო. უპირველეს ყოვლისა, იგი მიმართულია კულტურის არსების წინააღმდეგ, ანგრევს და ანადგურებს ყველაფერს ნამდვილად კულტურულს, რადგანაც ჰეშმარიტი კულტურა არც არსებობს უნიკალური და განუმეორებელი, ჰეშმარიტი შემოქმედების ნიშნით აღბეჭდილი მოვლენების გარეშე. იგი კულტურის არსების წინააღმდეგაა მიმართული იმ აზრითაც, რომ არსებითად, უარყოფს ყოველივე იმას, რაც რაციონალისტურ ანალიზს ბოლომდე არ ექვემდებარება და რისი ობიექტურობისა (საყოველთაობისა და აუცილებლობის აზრით) და მნიშვნელობის აღიარებაც, გარკვეულწილად, შინაგან გამოცილებასაც ემყარება და რასაც, ამიტომ, ყოველთვის თან ამ გამოცილებებაზე დამყარებული რწმენის მომენტიც ახლავს. ასეთია, მაგალითად, ღირებულება, რის გარეშეც კულტურა, უბრალოდ, არც არსებობს, რადგანაც კულტურა — ეს, ახალი, ღირებულებითი სინამდვილის შემოქმედებაა.

სინამდვილის აღნიშნული გაგება საგულისხმო იმითაცაა, რომ იგი არა თუ არაფრით არ ზღუდავს, გარკვეული აზრით, მსოფლმხედველობრივადაც ამართლებს ბუნებრივ და საზოგადოებრივ მოვლენებთან წმინდა მომხმარებლურ დამოკიდებულებას. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბუნებისადმი მხოლოდ ობიექტურ-თეორიული დამოკიდებულება და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული მექანიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, აღიარებს ერთადერთ — ობიექტურ ბუნებას. ამით, ის, არსებითად, უარყოფს ბუნებას, როგორც კულტურას, როგორც ჩვენს კულტურაში ჩართულსა და ამ გზით გასულიერებულ-გაადამიანურებულ სინამდვილეს. ამით კი, იგი, არა მხოლოდ ასევე ობიექტურად არსებულ კულტურას უბირისპირდება, არამედ თვით ადამიანსაც — კულტურაში (მაგ., ჩვენს ბუნებრივ ენაში) წარმოდგენილი ბუნების ეჭვის ქვეშ დაყენებით და მისი ფაქტიური უარყოფით იგი არღვევს ადამიანის პიროვნულ მთლიანობას, მისი იმანენტური სამყაროს ერთიანობას, რამდენადაც გაადამიანურებულ-გასულიერებული ბუნება, ამ სამყაროს ორგანული და მოუცილებადი მომენტია.

დამბოლოს, სინამდვილის აღნიშნული გაგება ადამიანის ისეთი მსოფლგანცდის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რომელშიც ერთიანი სინამდვილე გაყოფილი და გახლეჩილია ორ, ერთმანეთთან თითქმის მთლიანად დაპირისპირებულ მხარედ. ერთ მხარესაა „მე“, ანუ აღნიშნული მსოფლგანცდის სუ-

ბიექტი რომელიც პირადი გამოცდილებისა თუ სხვა გარემოებების საფუძველზე, არასოდეს ბრლომდე არ ეთანხმება საკუთარი თავის მექანიკურ ფიზიკალურ გაგებას — ხოლო მეორე მხარეს კი, მთელი დანარჩენი გარემო, სხვა ადამიანების ჩათვლით. ასეთი მსოფლგანცდა კი საუკეთესო „ბაზაა“ ადამიანის ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის, გარემოსთან მისი წმინდა მომხმარებლური დამოკიდებულების განვითარებისთვის. ყოველივე ეს კი (იგულისხმება ყველა ზემოთხაზოთვლილი გარემოება) საუკეთესო ნიადაგია ზემოთ აღნიშნული გლობალური სიძნელეების წარმოშობისა და განვითარებისათვის. თუმცა, აქ ფერების ზედმეტად გაშუქება, ვფიქრობთ, მთლად სწორი არ იქნებოდა.

მართალია „ფიზიკოსებისა“ და „ლირიკოსების“ დიალოგში პირველთა ხვედრითი წილი საკმაოდ დიდია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთი წინა ეპოქის საზოგადოებას არ ჰყოლია იმდენი „ლირიკოსი“, რამდენიც თანამედროვეობას ჰყავს. სინამდვილის მექანიკურ-ფიზიკალური გაგება, ან მექანიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობაც ევროპულ კულტურაში სრულიადაც არ ყოფილა არც ერთადერთი და არც ყოვლისმომცველი. აქ ფრანგი მატერიალისტების გარდა, მთელი თავიანთი ღირსება-ნაკლოვანებებით, იყვნენ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენლებიც, რომლებიც ასევე სინამდვილის დარღვეული ერთიანობის აღდგენა-გააზრებას ესწრაფოდნენ. ოღონდაც ამოსავალი მათთვის იყო სუბიექტის აქტიურობა, მისი თავისუფლება, შემოქმედების, შემეცნების და ა. შ. უნარები². ევროპულ კულტურაში იყო ასევე რომანტიზმის მძლავრი მიმდინარეობაც, რომელიც ადამიანის მექანიკურ-ფიზიკალური გაგების საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებდა და წინა პლანზე ადამიანის გონით უნარებს წამოსწევდა. ევროპული კულტურის ისტორია სრულყოფილად ვერ გაიაზრება ნეტკანტიანელების გარეშეც, რომლებმაც, არსებითად, შესძლეს სოციალ-კულტურული სინამდვილის ერთგვარადი და უნიკალური მოვლენებისა და მათი შემსწავლელი მეცნიერებების „პრესტიჟის დაცვა“. დაბოლოს ეს კულტურა სრულიად წარმოუდგენელია ხელოვანთა, კულტურისა და საზოგადო მოღვაწეთა იმ დიდი არმიის გარეშე, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე განსაზღვრავდნენ ევროპის სოციალურ-კულტურული მოძრაობის ჰუმანიტურ ხაზს და ქმედითად უპირისპირდებოდნენ ამავე მოძრაობის ანტიჰუმანურ და ანტიკულტურულ ტენდენციებს.

თანამედროვე კაცობრიობის მსოფლმხედველობრივი მემკვიდრეობის ანალიზისას აღნიშვნას იმსახურებს ის, რომ მასში სინამდვილე, არსებითად, ორ, ურთიერთგანსხვავებულ და მრავალ ასპექტში ურთიერთდაპირისპირებულ სინამდვილედია წარმოდგენილი.

სოციალ-კულტურული და ბუნებრივი სინამდვილეების ერთმანეთისაგან მოწყვეტა, ერთის თავისუფლების საფუძვლად, ხოლო მეორესი — შკატრი, მიზეზ-შედეგობრივი აუცილებლობის სამეფოდ მიჩნევა, ცხადია, ასვამს კიდევ თავის დაღს თანამედროვე ადამიანის მსოფლგანცდასა და ობიექტურ-ბუნებრივ სინამდვილესთან მის მიმართებას, რაც, შემდგომ, პიროვნულ-ურთიერთობებშიც აისახება. ამ ფაქტის იგნორირება, ბუნებრივია, არ შეიძლება

² ამ კონექსტში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ეს ცდა ბოლოს, ჰეგელთან მარცხით დამთავრდა, ადამიანი კი ობიექტური და აბსოლუტური გონების მარიონეტად იქცა.



და იგი, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, დროულად უნდა გადაიჭრას, რაც ან სოციალური და ბუნებრივი სინამდვილეების დუალიზმის დაშლევას, ან, თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგების ყოველმხრივ შერბილებას მაინც საჭიროებს.

ისტორიულ გამოცდილებას თუ არ შევეჩებით, სადაც ამ ამოცანის გადაწყვეტას, ცხადია, სულ სხვა, სახელდობრ, სინამდვილის მონისტური ახსნის ტრადიციული მიზნით, ერთნაირად ცდილობდა როგორც მატერიალიზმი, ასევე იდეალიზმი, დღეს ამ დუალიზმის მოხსნის, ან მისი შერბილების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცდებად უნდა მივიჩნოთ ე. წ. ბიოსოციალური თეორიები და განსაკუთრებით კი ილია პირგოეინისა და იზაბელა სტენგერლის, იდეები, რომლებსაც ისინი ავითარებენ ნაშრომში „წესრიგი ქაოსიდან“.

სოციობიოლოგიურ თეორიებს, მთელი მათი მრავალფეროვნების მიუხედავად უცვლელად ახასიათებთ ერთი საერთო ნიშანი — ადამიანისა და საერთოდ, მთელ სოციალ-კულტურული სინამდვილის ბიოლოგიზაციის ტენდენცია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ი. დოკინსის „ეგოისტური გენის“ თეორია, რომელშიც ეს ტენდენცია ყველაზე უფრო რელიეფურადაა წარმოდგენილი.

დოკინსის თეორია, რომელიც ბიოლოგიური და სოციალური ევოლუციის მექანიზმის ასახვას ისახავს მიზნად, გენეტიკის თანამედროვე მონაცემების თავისებურ ინტერპრეტაციაზეა დაფუძნებული. მისი აზრით, ყველაფერი, რაც ვითარდებოდა, გარდუვალად უნდა ყოფილიყო ეგოისტიც. ეგოიზმი, გაგებული როგორც თვითშენახვის, თვითდაცკვიდრებისა და გამრავლებისაკენ სწრაფვა, მასთან საერთოდ ყოველგვარი ევოლუციის ძირითად პირობად და მამოძრავებელ ძალადაა გაგებული. ასეა ბიოლოგიურ სინამდვილეში, სადაც ყველა ცოცხალი ორგანიზმი და მათ შორის ადამიანიც გენის ეგოისტური „მიზნების“ მაქსიმალურად უკეთ შესრულებაზეა ორიენტირებული და ასევეა სოციალურ სინამდვილეშიც, სადაც „ეგოისტ გენს“ ასევე „ეგოისტი მიმი“ სცვლის. მიმი კულტურული გადაცემისა და მიბაძვის ერთგულია. მისი მაგალითებია: მოტივები, იდეები, მოსწრებული ფრაზები, ტანსაცმლის მოდეები და სხვა. მიმ-ების თვისება გენების ანალოგიურია: ხანგრძლივობა, გამრავლების უნარი, კობირების სიზუსტე და ა. შ. და საერთოდაც, მიმ-ები საკვირველად იმეორებენ გენების ბედს; არსებობენ რა მიმ-ების ჯგუფებში, ისინი ურთიერთმოქმედებენ კონკურენციის პრინციპის მიხედვით და ემორჩილებიან შერჩევისთვის. შერჩევა უპირატესობას იმ მიმ-ებს აძლევს, რომლებიც თავიანთ პირად საჭიროებებს კულტურულ გარემოს უგუებენ. ეს გარემო შეიცავს სხვა მიმ-ებს, რომლებიც ასევე ექვემდებარებიან შერჩევის პრინციპს. ამ პროცესში მიმ-ების ჯგუფი იშენს ევოლუციურად მდგრადი ერთეულის ატრიბუტებს, რომლის ძალითაც აქტიურად ეწინააღმდეგება მასში სხვა მიმ-ების შეჭრას და ა. შ. მიმ-ების ეს თეორია, დოკინსის აზრით, შეიცავს ერთ ფრიად მნიშვნელოვან და სერიოზულ მომენტს: მიმ-ები ისე ვითარდებიან, როგორც ეს თვითონ მათთვისაა სასარგებლო. სხვაგვარად, მიმ-ები ისევე უმოწყალონი და ეგოისტურნი არიან, როგორც გენები.

მწელი არაა იმის დანახვა, რომ სოციობიოლოგიური თეორიები ვერც გლობალური პრობლემების გადაჭრის გზად გამოდგება და მრავალი ახალი დამატებითი პრობლემის წინაშეც აყენებს ადამიანს. გლობალური სიძნელების გამოწვევს ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, სრულიად სამართლიანად, ადა-

მიანის ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის მოძალბა მიანიათ ხოლმე, სოციო-ბიოლოგია კი სწორედ მას მიიჩნევს ყოველგვარი ევოლუციის მთავარ და აუცილებელ მამოძრავებელ ძალად, რაც კარგად სჩანს დოკინსის თეორიაშიც. მართლაც, თუ ცოცხალი ორგანიზმების ყველა ფორმა გენების ეგოისტური „მიზნების“ მაქსიმალურად უკეთ შესრულებაზე არის ორიენტირებული და მხოლოდ ამაშია მათი არსებობის აზრი და დანიშნულება, მაშინ ცხადია, რომ ეგოიზმი იქცევა ადამიანის მარადიულ და ერთადერთ ნამდვილ, გენეტიკური კოდით იმთავითვე განსაზღვრულ ნიშნად, რომლისგან განთავისუფლებაც მას არ შეუძლია. მეტიც, დოკინსის ნააზრევიდან უშუალოდ გამოდის, რომ ადამიანის ეგოიზმისაგან განთავისუფლება არცაა სასურველი: თუ ადამიანი, როგორც მანქანა იქნება გენის მიერ მისი ეგოისტური მიზნების შესაბამისად და თუ ეგოიზმის გარეშე ევოლუცია არ არსებობს, მაშინ ცხადია, რომ ადამიანი მით უფრო უკეთ მოემსახურება ევოლუციის „მიზნებს“, რაც უფრო მეტად იქნება ეგოიტი. სხვაგვარად ადამიანი უკვე ვეღარ იქნებოდა ყველაზე უკეთესი „მანქანათა“ შორის, რადგანაც ის ვეღარ შეასრულებს თავის ძირითად, გენების ან თუნდაც, მიმ-ების გამრავლების, თვითშენახვისა და თვით-დამკვიდრების ფუნქციას, რაც შეეხება სოციობიოლოგიურ თეორიებთან დაკავშირებულ დამატებით პრობლემებს, ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, თანამედროვე გენური ინჟინერიიდან გამომდინარე სამომავლო დასკვნები — სახელდობრ, ადამიანის გენეტიკურ სისტემაში ჩარევის გზით მისი წინასწარ დაპროგრამების შესაძლებლობის პერსპექტივა და მასთან დაკავშირებული ეთიკური პრობლემებიცა.

გლობალურ პრობლემებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ უფრო მნიშვნელოვანია ი. პრიგოჯინის და ი. სტენგერსის შეხედულებები. ეხებიან რა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის საკითხს, ი. პრიგოჯინი და ი. სტენგერსი აღნიშნავენ: „ძველი კავშირი საფუძვლებამდეა დანგრეული. მაგრამ, ჩვენ ჩვენს დანიშნულებას ვხედავთ არა იმაში, რომ წარსული დავივიწყოთ, არამედ იმაში, რომ თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებაში შევეცადოთ იმ ძაფის მონახვას, რომელიც სამყაროს ერთიან სურათთან მიგვიყვანდა“ [3, გვ. 66]. ადამიანსა და ბუნებას შორის, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არსებული კავშირების მოშლის შემდეგ წარმოიშვა მათ შორის მიმართების ისეთი ფორმა, რომლის შედეგითაც ყველა ის სიძნელე, რომელიც თანამედროვე კაცობრიობის წინაშე დგას, დღეს, პროგოჯინისა და სტენგერსის აზრით, საჭიროა დიალოგის ახალი ფორმა. თუ ძველი დიალოგი ემყარებოდა მთელი მეტერიალური სინამდვილის გაგებას მკვდარ და ინერტიულ, შინაგან აქტივობას მოკლებულ სინამდვილედ, რომელშიც მკაცრი აუცილებლობა ბატონობს, დღეს ასეთი მდგომარეობის შეცვლის პირობები უკვე მომწიფდა და ეს, უპირველესად, საბუნებისმეტყველო მეცნიერების დამსახურებაა, რომლებმაც უკანასკნელ პერიოდში სრულიად შეიცვალეს ხასიათი. ამ გარემოებაში დიდი როლი იმ ბუნებათმეცნიერულმა აღმოჩენებმა ითამაშა, რომელთა თანახმადაც, თურმე სამყაროს მოწესრიგებაში შემთხვევითობა ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს და რომ არსებობენ სისტემაში რომელთა შიგნითაც აუცილებლობა ბატონობს და ისეთები, სადაც გარკვეულ პირობებში შემთხვევითობა იწვევს წინა პლანზე და ახალ წესრიგს უდებს სათავეს; რომ ამავე სისტემებში არსებობენ როგორც შექცევადი, ასევე შეუქცევადი პროცესები, რომლებიც ერთმანეთს კი არ გამოირიცხავენ,

პირიქით, მოითხოვენ და განაპირობებენ, რომ წესრიგი საბოლოო ჯამში, ქაოსისაგან იბადება და ა. შ. თუ „ძველებისათვის ბუნება სიბრძნის წყარო იყო, შუასაუკუნეების ბუნება ღმერთზე ლაპარაკობდა. ახალ დროში ბუნება იმდენად დამოუკნდა, რომ კანტმა საჭიროდ ჩათვალა მთლიანად გაეთიშა მეცნიერება და სიბრძნე ...დადგა დრო დასრულდეს ბუნებისადმი ასეთი დამოკიდებულება, რაც შეეხება მეცნიერებას, ის ამისთვის მზადაა“ [3, გვ. 149]. სწორედ მისი აღმოჩენები იძლევიან იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ „ხელოვნური შეიძლება დეტერმინირებული და შეუქცევადი იყოს, ბუნებრივი კი აუცილებლად შეიცავს შემთხვევითობისა და შეუქცევადობის ელემენტს. ამ გარემოებას სამყაროში მატერიის როლის ახალ გაგებამდე მივყავართ. მატერია უკვე აღარაა პასიური სუბსტანცია, როგორც ეს წარმოდგენილი იყო სამყაროს მექანიკურ სურათში, მისთვის ასევე დამახასიათებელია სპონტანური აქტივობა“ [3, გვ. 50].

ი. პრიგოჯინისა და ი. სტენგერსის შეხედულებები, მთელი სინამდვილის (ისინი ერთნაირად მსჯელობენ, როგორც მატერიალურ, ასევე სოციალურ სისტემებზე) მათებური, ახლებური დანახვა ფრიად საინტერესოა გლობალური პრობლემების გადაწყვეტის საკითხთან დაკავშირებით. საფიქრებელია, რომ იგი, გარკვეულად მართლაც შეუწყობს ხელს გლობალური სიძნელების შემაფერებელი მსოფლმხედველობის დამკვიდრებას. მაგრამ, აქ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს სოციალურ-კულტურული სინამდვილას ბიოლოგიზაციის საფრთხე, მისი სპეციფიკის დაკარგვის საშიშროება, აგრეთვე ისიც, რომ შეუძლებელია მხოლოდ ბუნებაზე მეცნიერული შეხედულებების შეცვლის იმედად ყოფნა და იმის დამშვიდებელი მოლოდინი, რომ ამას მექანიკურად მოპყვება ყველა პრობლემის გადაჭრა: აგერ უკვე ორი საუკუნეა რაც ი. კანტმა ზნეობის ძირითადი კანონი — კატეგორიული იმპერატივი „აღმოაჩინა“, მაგრამ ამას ადამიანებს შორის ურთიერთობებში უზნეო ფორმების, მოძალებისათვის სრულიად არ შეუშლია ხელი. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ, თუ გლობალური პრობლემები უპირატესად, თეორიული ხასიათის პრობლემებია, სადაც წინა პლანზე შეიძლება მათმა გნოსეოლოგიურმა ასპექტმა წამოიწიოს, იმ სიძნელების დაძლევის საკითხი, რომლებსაც ეს პრობლემები უკავშირდებიან, უპირველესად, ადამიანის თავისუფალი ზნეობრივი ნების „კომპეტენციაა“. ამ თვალსაზრისით კი უკვე ამ პრობლემების ეთიკური ასპექტი წამოიწევს.

§ 3. გლობალური პრობლემების ზნეობრივი ასპექტი. ბუნებათმეცნიერული ცოდნა, მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, არაა საკმარისი ბუნებასთან ადამიანის მიმართების ძირეული შეცვლისთვის. როგორც არ უნდა იყოს ჩვენს დღევანდელ ცოდნაში ბუნება წარმოდგენილი და ერთი წუთით ისიც რომ დაუშვათ, რომ „ხვალინდელში“ იგი თვით ადამიანამდევ კი „ამაღლდება“, მასთან, ისევე, როგორც მთელ სინამდვილესთან ადამიანის მიმართების წარმმართველი მისივე მსოფლმხედველობა და ღირებულებითი ორიენტაციებია, რაც უკვე არც მხოლოდ მეცნიერული ცოდნის საფუძველზე ყალიბდება და, მით უმეტეს, არც ამ ცოდნაზე არ დაიყვანება. მსოფლმხედველობა, არსებითად, ადამიანის ცხოვრების ორიენტაციაა, იგი სრულიად წარმოუდგენელია სინამდვილესთან ადამიანის ემოციონალურ-შეფასებითი დამოკიდებულების გარეშე, რასაც ადამიანის ცნობიერების შინაარსის საფუ-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპობ.

ძველზე მისივე თავისუფალი ზნეობრივი ნება წარმართავს. ამასთან, ეს თავისუფლება გულისხმობს დამოუკიდებლობას და არაერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულობას, როგორც გარემოს ხასიათის, ასევე, თვით ადამიანის იმანენტური სამყაროს ისეთი შინაარსისაგან, როგორც თეორიული ცოდნაა. ამიტომ, მხოლოდ გარემოს ხასიათისა და მისი ცოდნის საფუძველზე, შეუძლებელია იმის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა, თუ როგორ შეაფასებს ადამიანი მასთან თავისი მიმართების დამკვიდრებულ ფორმებს და შესაბამისად, მიმართების როგორი ფორმები იქნება მიჩნეული და განცდილი მის მიერ ჯერარსად. ამის დასტური თანამედროვეობაა. დღეს, უკვე ბევრი გრძნობს ეკოლოგიური სიმწიფეებიდან მომდინარე საფრთხეს, ასევე, კარგა ხანია ნათელი გახდა, რომ ობიექტურ-ბუნებრივი სინამდვილე უფრო მეტია, ვიდრე მისი მექანიკურ-ფიზიკალური „სურათი“, მაგრამ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს ძირითადი ორიენტაცია, გაბატონებული ცხოვრების წესი, ჯერ-ჯერობით მაინც, თითქმის ისეთივე რჩება, როგორც ასი და ორასი წლის წინათ იყო.

ჩვენი ასწლეული ბუნებრივია განსხვავდება წარსულისაგან. საგრძნობლად შეიჩნა, მაგალითად, წინა საუკუნეებისათვის ეგზომ ნიშანდობლივი პროგრესის რწმენა და თუკი ის მთლიანად არ გამქრალა, ამას საფუძველად ადამიანთა რაიმე მყარი „მსოფლმხედველობრივი პროგრამა“ კი არა, უფრო მათი სულის სიმტკიცე და ბუნებრივი ოპტიმიზმი უდევს, საგრძნობლად შესუსტდა ის ენთუზიაზმიც ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რომ იგრძნობოდა. სამაგიეროდ კი იძალა იმედგაცრუებამ და ნიჰილისტურმა განწყობამ. მაგრამ, როგორც ამბობენ, „მოქმედება ზადებს უკუმოქმედებას“ უფრო ალბათ ამითაც აიხსნება თანამედროვეობის ძალზედ მაღალი, თანაც სულ უფრო მზარდი სოციალური აქტივობა. პროგრესულ მოაზროვნეთა უდიდესი არმია დღეს თითქმის მთელს მსოფლიოში იღწვის და იბრძვის იმისათვის, რომ როგორც ერთ ცნობილ სიმღერაში, დაე, მუდამ იყოს, ცა... დედა... მზე... და ა. შ. ე. ი. სიკეთე, სამართლიანობა, მშვენიერება და სხვა უმაღლესი ღირებულებები, რომლებსაცენაც მარადიულად ილტვის, ან უკეთ, უნდა ილტვოდეს ადამიანი და კაცობრიობა. მაგრამ, თანამედროვეობის ერთ-ერთი თავისებურება იმაშია, რომ ამ ღირებულებებისაკენ მიმართული ადამიანის რეალური ცხოვრება სათანადო მყარ მსოფლმხედველობრივ საფუძველს არ ემყარება.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა თავი ობიექტურ-რეალური სამყაროსაგან განასხვავა, თავისი ცხოვრების აკარგვიანობის ობიექტურ საზომსა და საყოველთაო ორიენტაციას საკუთარი თავის გარეთ ეძებდა და „ნახულობდა კიდევ“: ღმერთის, პირველმოზღვის, სუბსტანციის, ობიექტური კანონების, თუ სხვათა სახით. თუ თვითშემეცნების სოკრატესეულ მოწოდებას არ მივიღებთ მხედველობაში, ამ მხრივ, გამონაკლისი გერმანული კლასიკური ფილოსოფია იყო, მაგრამ ეს ცდაც, როგორც ცნობილია, მარცხით დამთავრდა. ამას ზედ დაერთო საზოგადოების ცხოვრებაში ბუნებათმეცნიერული ცოდნის როლისა და მნიშვნელობის განუზომელი ზრდა, რამაც, ერთის მხრივ, კიდევ უფრო გააძლიერა გარესამყაროზე ადამიანთა ორიენტაცია, მეორეს მხრივ კი, საფუძველი შეურყია ღმერთის რწმენას, რაც, ყველაფერთან ერთად, საუკუნეთა მანძილზე, ადამიანთა ცხოვრებას მაღალი ღირებულებებისკენაც წარმართავდა. სიკეთის, სამართლიანობის, თავისუფლების და სხვ. ჰუმანიტური იდეა-

ლები კვლავაც რჩებოდა საზოგადოებრივი გარდაქმნების მიზანდასახულობის ცენტრში, მაგრამ, ამ გარდაქმნების მასაზრდოებელ წყაროდ და ხასიათის განმსაზღვრელად, თანდათან, სულ უფრო და უფრო მეტად გვევლინება ობიექტურ-ბუნებრივი სინამდვილე და მისი ფუნქციონირების მექანიზმი. მაგრამ, ეს მექანიზმი, ცოდნის გარკვეულ საფეხურამდე, მაინც³ თავისი კაუზალური დეტერმინაციით და ყოველივე ინდივიდუალურისადმი „გულგრილი“ ზოგადი კანონებით ისეთი აღმოჩნდა, რომ ვერც ადამიანთა ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის საყოველთაო და აბსოლუტური მასშტაბის როლში გამოდგა და არც ისეთი ყოვლისმომცველი მსოფლმხედველობრივი სისტემის შემუშავება გახდა შესაძლებელი, რომელიც უმაღლესი ღირებულებების შესატყვის ცხოვრების წესს გაამართლებდა და ადამიანის კულტურულ აღმასვლას შეუწყობდა ხელს. ასეთი მსოფლმხედველობისა და მასშტაბის გარეშე კი კულტურის „სულის სიჯანსაღისა“ და ადამიანთა სწორი ღირებულებითი ორიენტაციების შემუშავება-შენარჩუნება შეუძლებელი ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურა თითქმის ყოველთვის გრძნობდა ამ საფრთხეს, სხვადასხვა საშუალებით — წარმოდგენით, მხატვრული სახით, ცნებით — გამოხატავდა მას და მისთვის ხელმისაწვდომი ხერხებით, მის დაძლევისა და თავიდან აცილებასაც ცდილობდა. ხელოვნებასა და რელიგიას თუ არ შეეცხებით, საკუთრივ ფილოსოფიაში ამის ნათელი მაგალითია, ვთქვათ, სოკრატეს მიერ კრატისისებურად გაგებული ხილული სინამდვილის გააბსოლუტებიდან და საყოველთაო მასშტაბად მიჩნევიდან გამომდინარე სოფისტური დასკვნების წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლა. ასეთივე მაგალითია ცნობილი ორმაგი ჭეშმარიტების თეორია. დაბოლოს, ასეთივე ნათელი მაგალითია ი. კანტის მიერ მეცნიერული ცოდნის სფეროს შემოსაზღვრის გზით ადამიანთა სულიერი ცხოვრების მარეგულირებელი იდეების „უფლებამოსილების“ გამართლების ცდაც.

ვერობული კულტურის თანამედროვე მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, უნდა ითქვას, რომ ამ, და სხვა ასეთმა ცდებმა მთლად ვერ გაამართლა. და ალბათ, ამიტომაცაა, რომ იმათი დიდი ნაწილის მსოფლგანცდასაც ვისაც კაცობრიობის ნათელი მომავლის სჯერა და მისთვის იღწვის, რელიგიურობის ელფერი დაჰკრავს ხოლმე: თავიანთი ცხოვრების ორიენტაციის ჭეშმარიტების საზომად ისინი არცთუ იშვიათად ღმერთზე ან სხვა რომელიმე გარეშე ინსტანციასე მითითებენ. თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობა უმაღლესი ღირებულებებისაკენ მიმართული ადამიანის სულიერი ცხოვრების გამართლებელი და მომავლის სასიკეთო პერსპექტივების „დამადასტურებელი“ მსოფლმხედველობის დეფიციტის პირობებში ცხოვრობს და ეს, უნდა ითქვას, ასე თუ ისე ჩვენს საზოგადოებასაც ეხება: ჯერ ერთი, ადამიანთა უმრავლესობას ერთობ ზერელე, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე და მეორეც, მისმა ჭეშმარიტმა ხასიათმა, ჩვენს ფილოსოფიულ ლიტერატურაშიც კი, მხოლოდ უკანასკნელ ორ-სამ ათწლეულში იწყო წარმოჩენა.

³ როგორც ი. კანტი ფიქრობდა, მიუხედავად იმისა, თუ რა არის სინამდვილე თავისთავად, იგი ჩვენთვის ისაა, რაც ჩვენ მის შესახებ ვიცით.



თანამედროვე ევროპული საზოგადოების ცხოვრების გაბატონებული წესის და ორიენტაციების არსებითი მსგავსება წინა საუკუნეებთან გარესამყაროზე ორიენტირებაა. ეს სამყარო კი იმდენად მრავალსახაა, რომ სურვილითა და მოწადინებით მასში, ხატოვნად რომ ვთქვათ, ღვთის ხილვაც შეიძლება და სატანისაც. სურვილითა და მოწადინებით, რამეთუ, სინამდვილის ჩვენეული ხედვის ხასიათი ბევრად იმაზეცაა ხოლმე დამოკიდებული, თუ სახელდობრ, რისი დანახვა გვსურს და რაზე ვართ ჩვენ ორიენტირებულნი. ჩვენს სურვილებსა და ორიენტაციებს კი უპირატესად გარემოს ხასიათი კი არ განსაზღვრავს, არამედ ის, თუ როგორნი ვართ და სრულყოფილების როგორ დონეზე ვიმყოფებით თვითონ ჩვენ. მართალია გარემოს ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენი შინაგანი სამყაროს ფორმირების პროცესსა და ხასიათს, მაგრამ ეს პროცესი არც ცალსახად და არც ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული. ადამიანის გარკვეულ ავტონომიურობაზე და გარემოსაგან მის დამოუკიდებლობაზე ის ფაქტიც მეტყველებს რომ მის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს მისივე ბიოლოგიური მონაცემები, ვთქვათ, მისი გენეტიკური ინფორმაცია ასრულებს, რომელშიც წარსულის სოციალ-კულტურული „ინფორმაციაა აღბეჭდილი“. მაგრამ, საკუთრივ ადამიანური თავისუფლების ჭეშმარიტი ბუნება მხოლოდ ზნეობის სფეროში ვლინდება. ადამიანის თავისუფლება, ეს, არსებითად, მისი ზნეობრივი ნების თავისუფლებაა, რომლის შემწეობითაც მას მისივე შემაფერხებელი აბსოლუტურად ყველა ძალისგან განთავისუფლება შეუძლია. ოღონდ, ეს იმაში გარკვევაცაა აუცილებელი, თუ სახელდობრ, რაა ნამდვილად შემაფერხებელი. ასეთი ვერ იქნება მაგალითად, ვერაფერითაღი ჭეშმარიტი ცოდნა, სინამდვილის რომელი სფეროსიც არ უნდა იყოს ეს. მართალია, დღეს ბევრი „უბედურების სათავეს“ სწორედ მეცნიერულ ცოდნაში ხედავს, ასევე, სულ უფრო ხშირად მსჯელობენ მეცნიერის მორალურ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ თავის თავად, არც ცოდნა და არც მეცნიერის თეორიული ინტერესი თავისში არაფერს ისეთს არ შეიცავს, რაც ადამიანსა და მის კულტურას საფრთხეს შეუქმნინდა. მეტიც, ცოდნა თვითაა კაცობრიობის უდიდესი კულტურული მონაპოვარი და თუ ადამიანის საზიანოდ მისი გამოყენებაც შეიძლება, ასეთი ხედვისგან ხომ კულტურის არც ერთი მოვლენა არაა დაზღვეული. რაც შეეხება მეცნიერის ზნეობრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობის მოთხოვნას, ეს ადამიანის თეორიული ცნობიერების ზნეობრივისადმი დაქვემდებარების მნიშვნელობით კი არ უნდა გავიგოთ, — რადგანაც ჭეშმარიტი ცოდნის ღირებულებითი, (როგორც კარგის და ცუდის) კლასიფიკაცია უაზრობაა, — არამედ ისე, რომ ყველა ადამიანი და უპირატესად მეცნიერი (რადგანაც მას მეტი შეუძლია) მორალურად ვალდებულია ცოდნა ბოროტების სამსახურში არ ჩააყენოს. ამისთვის კი უპირველესად, მეცნიერის ზნეობრივი აღზრდა და სრულყოფაა საჭირო, რადგანაც დიდი მეცნიერობა და მაღალი ზნეობრივი სისპეტაკე აუცილებლობით როდი გულისხმობენ ერთმანეთს.

იმ ადამიანთა ცხოვრების ორიენტაციის ერთადერთი ჭეშმარიტი „ავტორი“, რომლებიც გარე სინამდვილესთან ურთიერთობებში სიკეთისქმედების შინაგანი მოთხოვნილებიდან ამოდიან — მათივე ზნეობრივი ცნობიერება და თავისუფალი ნებაა. მართალია ისინი, საკუთარი ცხოვრების გამართლებას, არცთუ იშვიათად, როგორც აღინიშნა, გარეშე ინსტანციებში ეძებენ ხოლ-

მე, მაგრამ ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანებს, რომლებსაც, ჰეგელის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, თავისუფლები არიან თავისთავად, ჯერ თავისთავის თავისუფლების საფეხურისათვის არ მიუღწევიათ: ისინი თავისუფლები არიან, მაგრამ ეს ჯერ არ იციან.

ადამიანის ზნეობრივ ცხოვრებას, რომლის გარეშეც სრულიად უსაფუძველო სიხანს გლობალური პრობლემების დაძლევაზე მსჯელობა, თვითკმარი საფუძველი, როგორც ეს ჯერ კიდევ ი. კანტმა ნათელყო, თავისივე თავში აქვს და არაერთარ გარეშე ინსტანციის არ საჭიროებს. ზნეობა იმ მედლის ერთი მხარეა, რომლის მეორე მხარესაც „თავისუფლება ჰქვია“. ეს უკანასკნელი კი ყოველგვარი გარეშე ძალისა თუ ინსტანციისაგან განთავისუფლებას გულისხმობს და ამიტომ, ადამიანის ზნეობრივი ცხოვრება არც ყოვლისმომცველ ტრადიციულ-მონისტურ მსოფლმხედველობაში გამართლებას და არც ტრანსცენდენტურსა და აბსოლუტურ მასშტაბს არ საჭიროებს.

ადამიანის ზნეობრივი ცნობიერების მაღალ შინაარსსა და სრულყოფილების დონეს, მისი თავისუფალი ნების ჯერარსისაკენ წარმართვას გარემოს მეცნიერული ცოდნა, ან თუნდაც მეცნიერულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა კი არა, არამედ, უპირველესად მისი კულტურული განვითარება, მისი გონითი უნარების აღზრდა და დახვეწა უზრუნველყოფს, რისთვისაც მეცნიერული ცოდნა მხოლოდ ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გონითი უნარი კი სხვისი—აზრის, პიროვნების, სოციალური ჯგუფის, ბუნების მოვლენის (და ა. შ.) — კეშმარტებისა და ღირებულების დანახვა-გრძნობის და შესაბამისად, არსებობის მისი უფლების აღიარების ის ადამიანური უნარია, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს კიდევ ამ სხვასთან მიმართების ხასიათსა და ფორმებს. თანამედროვე კაცობრიობის კულტურული სიმწიფისა და სრულყოფილების მიღწევის ეს გზა, რომელიც, ვიმეორებთ, სრულიად აუცილებელია გლობალური სიძნელეების ასევე გლობალურად დაძლევისათვის, ამავე დროს, ადამიანის ყველაზე ძნელად სავალი გზაცაა. ის, ჯერ ერთი, მხოლოდ საკუთარი ეგოიზმის, ინდივიდუალიზმისა და აბსოლუტიზმის დაძლევით გაივლება და მეორეც, ეს გზა ადამიანმა მხოლოდ თვითონ, საკუთარი მოწადინებით და თანაც, სრულიად მარტომ უნდა გაიაროს. სხვა ადამიანი მას შეიძლება მხოლოდ მისაბამ მაგალითად და ორიენტირად გამოადგეს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ „მაგალითებისა“ და „ორიენტირების“ არსებობის ფაქტი ადამიანის მიერ ამ გზის გავლის შესაძლებლობაზე მეტყველებს, მათი დიდი მომხიბლაობა და მიზიდულობის ძალა კი იმის იმედსაც სახავს, რომ ადამიანი აუცილებლად გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, რაც მისი უპირველესი ზნეობრივი მოვალეობაცაა.

ლიტერატურა

1. Николло Макиавелли, Избранные сочинения, М., 1982.
2. Лосев А. Ф., Эстетика Возрождения, М., 1948.
3. Пригожин И., Стенгерс И., Порядок из хаоса, М., 1987.
4. Баткин Л. М., Итальянские гуманисты: Стиль жизни, стиль мышления, М., 1978.
5. Рутенбург В. И., Титаны Возрождения, Ленинград, 1976.
6. Взаимодействие общества и природы, М., 1986.

Т. И. МТИБЕЛАШВИЛИ

КУЛЬТУРФИЛОСОФСКИЕ АСПЕКТЫ ГЛОБАЛЬНЫХ ПРОБЛЕМ

Резюме

Одной из глубинных основ глобальных проблем является господствующее в современном обществе мировосприятие, согласно которому человек, как бы выпадая из целостной картины мира, противопоставляется этой последней, истолкованной преимущественно физикально-механистически. И окончательное решение этих проблем возможно лишь в принципиально новом, преодолевшем этот дуализм и противопоставление мировоззрений, возникновение и утверждение которого, в свою очередь, предполагает решение ряда проблем — онтологических, гносеологических и этических. Философия культуры может и должна внести свой посильный вклад в дело решения глобальных проблем современности тем, что, рассматривая их в онтологическом, гносеологическом и этическом аспектах и по-новому осмысливая сущность человека и характер его отношения к окружающей среде, она может стимулировать новый тип мировосприятия, максимально нацеленный на преодоление глобальных трудностей.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. მთიბელაშვილმა

მთიბელაშვილი - 22 - 22

მისხილ ნაწიწვილი

ილია შავჭავჭავაძის საზოგადოებრივი საზნის რაობისათვის*

(დასასრული)

ზემოთ სიტყვა გამიწყდა „საზოგადოება“-ზე, როგორც ერთობის იდეის გამომხატველზე.

მართლაც, „საზოგადო“ საერთოს ნიშნავს და „საზოგადო-ება“-ც, ამის შესატყვისად, იაზრება, როგორც რაღაც სა-ერთოდ, ანუ ისეთ რაღაცეა, რომლის დანიშნულებაც ჩვენი რამ ერთ-ად ყოფნა და რომელიც, მაშასადამე, ამ თავის დანიშნულებისამებრ, ჩვენი მაერთებელი არის (ჩვენი იმ რაღაც ერთად მყოფელი). ხოლო რამდენადაც ეს ჩვენი სა-ერთოდ (სა-ერთო რაღაცე) ყოფნა თვითაა ჩვენი სა-ერთო ყოფნა და, როგორც ასეთი, ჩვენი მაერთებელი, საზოგადოებაც, თავის ამ სიტყვიერ გამომხატულებაში, იაზრება, შესაბამისად, თვით ამ მაერთებელ (ამ აზრით სა-ერთო) ყოფნად, ვიტყვიტ რა ასე გაგებულ საზოგადოებაზე, რომ ესაა სა-იმ-ერთო ყოფნა, რომელიც ერია, საიდანაც გვაქვს კიდევ საზოგადოების როგორც სა-ერო (აი ამ აზრით „სა-ერთო“, რომლის „ერთ“-შიც სწორედ ერი ივულისხმება) ყოფნის იდეა. ამგვარად, საზოგადოება, ვითარცა იმ ერთად ყოფნა, რომელიც ერია, არის ერთად ყოფნა, სწორედ ამ აზრით: ერთ-ობა — ერ-ობა. ასე რომ, ვახორციელებთ რა ამ საზოგადოებას, ჩვენ რეალიზაციას ვუკეთებთ იმ ჩვენს ერთობას, რომელიც ჩვენი ერთობაა, — ჩვენი ერთად, სწორედ ამ ერთად, ყოფნა (საზოგადოებრივი „ერთად ყოფნა“ როგორც იმ ერთ-ად ყოფნა, რომელიც ერია და რომელიც არის კიდევ ჩვენი მასაზოგადოებელი (მასოციალუბელი და მასოციუმებელი) სიყვარულის იგი საგანი ერთი...). მაშასადამე, ჩვენ ერთად გვეყოფს საზოგადოება, ვითარცა ჩვენი ძმობა — მოყვსობა, რომელიც არის კიდევ; თვითონ, იგი ერთობა — ერთობა. სიყვარულია იგი სა-ერთო — სა-ერთო ძალა, რომელიც ერთად გვეყოფს და რომელიც ჩვენი ერთობის, ერთად ყოფნა — ცხოვრების, წესის არის. სიყვარული, როგორც ძმობა — მოყვსობა, თვითონ საზოგადოებაა, ასეთი ყოფნა, რომლის იდეაც ხსენებული ერთობა — ერთობაა. ერთი სიტყვით, ერთად, ამას გვასწავლიდა და გვასწავლის ილია შავჭავჭავაძე და საერთოდ მთელი XIX საუკუნის (უფრო შორს რომ არ წავეიდეთ, დროთა სიღრმეში) ქართული მწერლობა, გვეყოფს ურთიერთშორისი სიყვარული, რომელიც ჩვენს საერთო ყოფიერებას, როგორცაა საზოგადოება, ჩვენი ასეთი (გავიხსენოთ) პიროვნება, აგვარებს, ვითარცა ჩვენს ერთობა — ძმობას, ერთობა — მოყვსობას და რამდენადაც საზოგადოება, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, იგივე აღამიანობაა (ურთიერთაღამიანობა, ურთიერთპიროვნ-

* დასაწყისი იხ. „მაცნე“, 1987, № 4.

ნების იდენტური), გასაგებია, რომ ჩვენი ეს ადამიანობა (სოფლად-ადამიანობა. ანუ ცხოვრება, რომელიც, ვითარცა სოფლად-გება, როგორც ამ სოფლის გაგება-აგება, ანუ კულტურა, წარმოებს) კაცთა-შორისი ძმობა — მოყვ-სობის სახითაა შესაძლებელი, ე. ი. ვითარცა სიყვარულის — ამ უდიდესი კულტურულ-სოციალური პრინციპის — სინამდვილე. ვამბობ რა, რომ სიყვარული, როგორც ეს ესმის ილიას, არის პრინციპი ყოფიერებისა. ამ უკანასკნელში გგულისხმობ საზოგადოებას, ვითარცა ერთადერთ ნამდვილ ადამიანობას, რომლის სუბიექტიც არის. სიყვარულის, როგორც ცხოვრების, ერის (კაცის) სოფლად-ადამიანობის პრინციპის იდეა ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე ქართულმა მწერლობამ საკუთრივ შეიმუშავა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, ამ იდეის სრულყოფილი გამოხატულებაა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ეს იდეოლოგიური ხაზი ამის შემდეგ არ წყდება ქართულ კულტურაში და სათანადო განვითარებას პოუვებს, ისტორიული პირობებისა და ამოცანების შესატყვისად, ქართულ ლიტერატურასა და საერთოდ აზროვნებაში. ილია ჭავჭავაძე თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში სწორედ ამ ხაზს აგრძელებს და ავითარებს, აყავს რა იდეა სიყვარულისა გააზრების ახალ საფეხურზე. ამ საქმეში მწერალი მარტო არაა, მას გვერდში უდგას მთელი დასი ეროვნულ-ცხოვრების იდეოლოგ მოაზრეთა, რომელნიც სამოღვაწეო სარბიელზე გამოდიან 60-იან წლებსა და მომდევნო ხანებში.

ხოლო რაც შეეხება იდეას საზოგადოებისა, როგორც გამოხატულია იგი თვითონ ამ სიტყვაში, აქ, გარდა ზემოთქმულისა, ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აგრეთვე უნდა აღინიშნოს. მხედველობაში მაქვს ხსენებული სიტყვის ძირი „ზოგი“, საიდანაც თანმიმდევრობით ნაწარმოებია: „ზოგად“ — „საზოგადო“ — „საზოგადოება“. ძველქართულად ეს სიტყვა, გარდა თვითონ ზოგისა (ამ სიტყვის ახლანდელი გაგებით), აგრეთვე ხიშნავდა: ნაწილს და, კერძოდ, ნახევარს. ამ სამი მნიშვნელობიდან უზოგადესი, ცხადია, „ნაწილის“ მნიშვნელობაა, რამდენადაც „ზოგი“ (ახლანდელი გაგებით), იაზრება, როგორც სიმრავლის რაღაც ნაწილის აღმნიშვნელი („ნაწილისა“ და „ნახევრის“ ურთიერთმიმართება ამ მხრივ ისედაც ნათელია). ხოლო „ზოგად“ ძველქართულადვე „ერთად“-ზმნიშნელის მნიშვნელობით იხმარებოდა („ზოგად ვართ“ — ერთად ვართ), საიდანაც მიღებულ იქნა კიდევ „საზოგადო“, რომელიც სიტყვასიტყვით უნდა გვესმოდეს, როგორც „საერთად“, „საერთადყოფის“ („საერთადარსოს“) მნიშვნელობით. რაა ყოველივე ამაში ჩვენთვის საგულისხმო? — პირველ ყოვლისა ის, რომ იდეა საზოგადოებისა ზოგის იდეაზეა დამყარებული: ამ იდეის თანახმად, თვითეული საზოგადოება მხოლოდ ზოგის ერთობად იაზრება, რასაც თავისი ბუნებრივი გამართლება აქვს. ამგვარად, კაცობრიობის დაყოფა საზოგადოებად, ადამიანთა მთელი მასის ასეთი „დაზოგოება“ (ამ აზრით „დასაზოგადოება“), თვით სიტყვა „საზოგადოება“-შია პოსტულირებული. საზოგადოების ასეთი გაგების ბუნებრივობა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ერთდებიან ცალკეულ პერსონალურ ჯგუფებად არა გარეშე ბუნების მიმართ, რომლის მიმართ მათ, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ სრულფასოვნად იადამიანონ (იპიროვნონ)!, არამედ სწორედ ერთმანეთის მიმართ, ურთიერთშორის. საზოგადოება პიროვნება-

1 თუმცა, თავისი სოციალობით მომცველნი, თვით ამ ბუნებასთანაც „შედიან საზოგადოებაში“, ამგვარად აპიროვნებენ რა მას.

თა საზოგადოებაა, რომელიც, როგორც ასეთი, არ შეიძლება იყოს თავად უპიროვნო: საზოგადოებაში გაერთიანებული ადამიანები კოლექტიურად პიროვნებენ (ეროვნობა, ვითარცა ეროვნობა), რასაც მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი არსებობს სხვა ასეთივე საზოგადოება, ასევე მოპიროვნე. საზოგადოებას თავისი ჭეშმარიტი სახე როგორც კოლექტიურ პიროვნებას აქვს, ხოლო ასეთ პიროვნებად ყოფნა საზოგადოებას მხოლოდ სხვა საზოგადოების მიმართ შეუძლია. საზოგადოება საზოგადოებს მხოლოდ როგორც სხვა საზოგადოების მიმართ მოპიროვნე საზოგადოება. საზოგადოება მხოლოდ საზოგადოებათა შორის შეიძლება არსებობდეს, რომელთა საზოგადოების სუბიექტიც ყველა ეს საზოგადოებაა. კაცობრიობის ვითარცა ერთა საზოგადოების მოქმედნი თვით ეს ერები არიან, რომლებიც საზოგადოებენ კაცობრიობად, როგორც თავთავიანთი საზოგადოების სრულყოფნი: საერთაშორისო ცხოვრება, რომელსაც უწოდებენ კიდევ „საკაცობრიო ცხოვრებას“, ამ ცხოვრების მოქმედ ერთა ერთეული ცხოვრების ერთი გარკვეული მხარეა, ერთი გარკვეული ასპექტი. ერისა და კაცობრიობის ეს ურთიერთმიმართება ქართულ ლიტერატურაში გაშუქებული აქვს ილია ჭავჭავაძის სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს მიხეილ წერეთელს თავის მონუმენტურ ნაშრომში, ნიშანდობლივი სათაურით: „ერი და კაცობრიობა“ (1910)... საზოგადოება ზემოხსენებული „ზოგი“-დან რომ არ იყოს აღმოცენებული და მას რომ არ გამოხახავდეს თავისი არსებით, არ ექნებოდა საფუძველი საზოგადოების როგორც „ჩვენობის“ იდეასაც, რამდენადაც „ჩვენ“-ს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუკი არსებობს სხვა „ჩვენ“, რომელთან მართლაც რომ დაპირისპირებაშიც („ჩვენ — თქვენ“) იგი „ჩვენ“ ირკვევა კიდევ თავის ამ კოლექტიურ პერსონალობაში. ანალოგიური მოსაზრებები უდევს საფუძველად საზოგადოების როგორც ძმობა — მოყვასობის გაგებასაც. მართლაც, ძმობა მხოლოდ მაშინ იქცევა სოციალურ ფაქტად, როდესაც მოძმენი გამოიყოფიან ადამიანთა საერთო მასიდან და განსაკუთრებულ კოლექტივს ქმნიან, სადაც შეერთებულნი არიან პირნი, რომლებიც დანარჩენთაგან განსხვავებით სწორედ ძმებად და მოძმეებად ისახებიან. ძმობას, როგორც ასეთს, აზრი მხოლოდ სხვათა ძმობასთან მართებაში აქვს, რამდენადაც იგულისხმება, რომ ძმები არიან არა ყველანი ერთად, არამედ ზოგანი: ძმობა სწორედ იმითაა ძმობა, რომ იგი ზოგათაშორისი ერთობაა. ეს ვითარება პირდაპირ კავშირშია ნათესაობასთან, რომლის საფუძველზედაც აღმოცენებულ მოყვასობად განიხილება კიდევაც ხსენებული ძმობა. ნათესაობას, როგორც სოციალურ ფაქტს, ასევე მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ამავე „ზოგის“ ფარგალში. ის მოსაზრება, რომ ყველა ადამიანი, როგორც ასეთი, ერთი მოდგმისაა და, შესაბამისად, ერთი ნათესაობის შემადგენელი, სრულიადაც არ მოდის წინააღმდეგობაში ამ ზოგადი ნათესაობის დაყოფასთან კონკრეტულ ნათესაობებად, რამდენადაც ამ უკანასკნელთ ძალა აქვთ სწორედ ზოგადი ნათესაობის ფონზე, — ნათესაობისა, რომლის შესატყვისიცაა ასევე ზოგადი კაცთმოყვარეობა, თავისთავად ჯერ კიდევ არასაკმარისი კონკრეტული საზოგადოების (კონკრეტული ძმობის) შესაქმნელად.

აქ შეგვიძლია ერთგვარად შევაჯამოთ ზემოთქმული და მოკლედ დავახსენათ ცხოვრების იდეა, რომლის წარმოებაცაა ილია ჭავჭავაძის აზროვნება. ამ იდეის თანახმად, ცხოვრება, რომლის ერთადერთი ნამდვილი სუბიექტიც არის, არის ამ უკანასკნელის სოფლად-ადამიანობა, რომელიც, თავის მხრივ, ხასიათდება ვითარცა ერის სოფლად პიროვნება — საზოგადოება, იგულისხმე-

ბა რა, რომ ეს პიროვნება — საზოგადოება არის კიდევ ამ თავის სუბიექტურის ყოფიერება. ეს უკანასკნელი, რამდენადაც იგი იაზრება, ვითარცა ადამიანობა და, როგორც ასეთი, პიროვნება, ამ თავის პიროვნულ კონკრეტობა-რეალობაში გვეძლევა გარკვეული ეროვნული ვინაობის სახით, როგორცაა ამ შემთხვევაში ქართველობა, ასეთი პიროვნულ-საზოგადოებრივი ყოფიერება. იგულისხმება, რომ ქართველობა ქართველი ერის პიროვნულად გარკვეული ადამიანობაა, რომელიც, ვითარცა ყოფიერება (ქართველი ერის სოფლად-ადამიანობა — მისი სოფლად-ქართველობა), გარკვეული კულტურულ-ისტორიული (კერძოდ: ფ ს ი ქ ო ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი...) სისტემაა. ქართველობა (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ეროვნული ვინაობა, ვითარცა „სადაურობა“ — ცხოვრების როგორც სოფლად-გების იდეაში უშუალოდ გულუბადი) არის ერის პიროვნება, რომელსაც შეადგენს ამ ერის შვილთა საზოგადოება როგორც მათი მოყვსობა, გამომხატველი მათი სათანადო ნათესაობისა (საზოგადოება ვითარცა მოყვსობა — ნათესაობა), მოყვსობის სახით — ძ მ ო ბ ა დ არსის, და ამ ნათესაობის იდეისაგან „ტერიტორიულად“ განუყოფელი გარკვეული ქვეყნის (სოფლის) მკვიდრობისა. უკანასკნელი გარემოება ნათლად მიგვიჩივებს, რომ ხსენებულ ეროვნულ პიროვნებაში, მაგალითად ქართველობაში, იმანენტურად მოცემულია იდეა სოფლისა, ვითარცა ეროვნული პიროვნების ორგანული ელემენტისა, იგულისხმება რა, სახელდობრ, რომ ქართველობის შემთხვევაში ეს სოფელი საქართველოა. აქედან — „მამულ-ზე, ე. ი. ერის განსაზღვრულ სოფელ ქვეყანაზე (ტერიტორიაზე), ზრუნვაც, როგორც ორგანული ელემენტი „ვინაობა“-ზე ზრუნვისა. მართლაც, თვითონ ადამიანობის იდეაც, ზოგადად აღებული, თავის თავშივე გულისხმობს ადამიანობის როგორც სახელდობრ სოფლად-ადამიანობის გაგებას: ადამიანობა სოფლად-ადამიანობაა, რომელიც წარმოებს კიდევ ვითარცა „სოფლისთვის ზრუნვა“, ამ სოფლის სათანადო გაგება-აგების სახით. შესაბამისად, საქართველოს, ვითარცა ქართველი ერის სოფელ-ქვეყნის, კულტურულ-ისტორიული ლანდშაფტი განიხილება, როგორც ლანდშაფტი თვითონ ამ ერის სოფლად-ადამიანობისა, რომელიც ამ შემთხვევაში ქართველობა (სოფლად-ქართველობა) და რომელიც არის კიდევაც ხსენებული ქვეყნის სოფლების, მისი სოფლად ყოფნის, შინაარსი. დაბოლოს, ქართველობა, ასეთი კულტურულ-ისტორიულად, ე. ი. კაცობრივ-პიროვნულად, კონკრეტული სოფლად-ადამიანობა, წარმოებადი როგორც სოფლის გაგება-აგება, შესატყვისი ყოფიერება — აზროვნებისა და ყოფიერება — საქმიანობის სახით, შესაბამისად იაზრება, ვითარცა კულტურა, ღროში მიმდინარე — როგორც ისტორია (ქართველობის როგორც კულტურისა და ისტორიის, ამ გაგებით კულტურულ-ისტორიული სისტემის, იდეა). ასე რომ, საბოლოოდ ცხოვრების იდეა, ვითარცა ილიას კონკრეტული: „ზრუნვის საგნისა“, დგინდება როგორც იდეა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა, რომელშიც ვაჭრობთ ქართველი ერის ყოფიერებას, რომელიც ისტორია და კულტურაა, ისტორია — როგორც სოფლად-გება, კულტურა — როგორც ამ სოფლად-გების შინაარსი სოფლის გაგება-აგება, წარმოებადი გარკვეული შემოქმედების სახით გონით-იდეალური თუ მატერიალურ-პრაქტიკული ცხოვრების სარბიელზე.

ამის შემდეგ შეგვიძლია მეტნაკლები სიცხადით გავითვალისწინოთ ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის (ობიექტის) რაობა. თავში ვთქვი, რომ ამ მოაზროვნის საგანი, მისვე სათანადო გაშინათქვამთა თანახმად, არის ერის ცხოვ-

რება, — ცხოვრება ეროვნული, რომელსაც თვითონ ილია „საზოგადო ცხოვრების“ სახელით აღნიშნავს ხოლმე. გარკვეულ მსჯელობათა გზით, თვითონ ილიას ნაწერების ვათვალისწინებით, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი მწერალი ამ „ცხოვრება“-ში გულისხმობს ჩვენს ე. წ. ვინაობას, რომელიც ტერმინ „ქართველობის“ სახით გააზრებულია, როგორც გარკვეული კულტურულ-ისტორიული სისტემა. ხოლო თუკი ვიკითხავთ ახლა, ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზრე, აზროვნების რომელი დარგის წარმომადგენელია, აქაც სურათი, თვითონ სააზროვნო საგნის რაობის შუქზე, საბოლოო სინათლეს იძენს: ილია ჭავჭავაძე ქართველობის, როგორც ეროვნულად, აი ამ აზრით პიროვნულად, გარკვეული ყოფიერების, ვითარცა გარკვეული კულტურულ-ისტორიული სისტემის, იდეოლოგი არის. ილია ჭავჭავაძე იკვლევს ჩვენს ცხოვრება — ვინაობას, შეისწავლის მის სხვადასხვა ასპექტს: სოციოლოგიურს, ეკონომიკურს, იურიდიულს, ისტორიულს, საერთოდ ფილოსოფიურს, — როგორც ამ სისტემის იდეოლოგი. ილია ჭავჭავაძე ჩვენი, როგორც ერის, ცხოვრების ვითარცა ჩვენი სოფლად-ადამიანობის, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ქართველობაა (სოფლად-ქართველობა, სოფლად-ადამიანობის ეს კულტურულ-ისტორიული სახე), იდეოლოგი არის, რომელიც განიხილავს თავის საგანს მეცნიერულ-ფილოსოფიური თვალსაზრისით, რამდენადაც ამას ეს მისი იდეოლოგიური შემოქმედება მოითხოვს და მის, როგორც იდეოლოგის, კომპეტენციაში შედის, ამ კომპეტენციას გამოხატავს. სწორედ იდეოლოგიაა აზრის ის სფერო, სადაც გვევლინება ილია, როგორც თავისი სააზროვნო საგნის სრული ბატონ-პატრონი და სადაც კომპეტენტურად მოქმედი დიახაც უნდა იყოს, ამ თავისი დიდი კომპეტენციის შესატყვისად, სოციოლოგიც, ეკონომისტიც, იურისტიც, ისტორიკოსიც... და, გასაგებია, ფილოსოფოსიც, რამდენადაც, ვიმეორებ, ამას საჭიროებს ცხოვრების იდეოლოგობის ეს მეტად რთული და განსაკუთრებული სააზროვნო უნარის მომთხოვნი საქმე. ამგვარად, ესაზღვრავ რა ამ ჩვენი მოაზრის დარგობრივ-საგნობრივ ვინაობას, ვიტყვი, რომ:

ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზრე, არის ქართველობის, ასეთი ყოფიერების, ვითარცა გარკვეული კულტურულ-ისტორიული სისტემის, იდეოლოგი და, რამდენადაც ეს იდეოლოგი ცხოვრების, მისი ყველა დარგისა თუ მხარის, მეცნიერი და ერთობ ფილოსოფოსი უნდა იყოს, ილია ჭავჭავაძეც, ვითარცა იდეოლოგი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, ამ ცხოვრების სათანადო მეცნიერი და ფილოსოფოსი არის, ქართველობის ფილოსოფოსი და მეცნიერი — იდეოლოგი.

ახლა, რამდენადაც საჭიროა ილიას სააზროვნო საგნის სტრუქტურის ვათვალისწინება, მე მომიხდება შეჩერება საკითხზე, თუ როგორ წარმოუდგენია თვითონ ილიას ცხოვრება მისი ბუნებითი აღნაგობის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი ადგილი „წერილები-დან ქართულ ლიტერატურაზე“: „...ცხოვრება, — წერს ილია, — ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა, მეორე — მოსაქმე, რომელნიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან. თვით აზრიც სხვა არა არის რა ვარდა იმისა, რომ საქმეა ჭკერ განუხორციელებელი, და საქმეც — აზრია, უკვე განხორციელებული“ [1, ტ.—III, გვ. 204]. რა თქმა უნდა, ცხოვრების ერთიან

ნაკადში გარჩევა ზემოხსენებული „ორი ტოტისა“ ავტორის მხრივ არაფერს ორიგინალურს არ წარმოადგენს, მაგრამ ილიას აზროვნების ზოგად კონტექსტში (და, საერთოდ, ჩვენი მწერლობის ისტორიული ევოლუციის საერთო ფონზე) გარკვეულ გააზრებას მოითხოვს. მართლაც, როგორაა შესაძლებელი „მოაზრე ცხოვრება“? — ცხადია, როგორც აზროვნება, საიდანაც გვაქვს, შესაბამისად, ცხოვრების ვითარცა აზროვნების იდეა. ასევე, თუ ვიკითხავთ, როგორაა შესაძლებელი „მოსაქმე ცხოვრება“, აქაც ანალოგიური პასუხი გვექნება: როგორც საქმიანობა; საიდანაც გვაქვს უკვე, შესაბამისად, ცხოვრების ვითარცა საქმიანობის იდეა. ასეთი ვაგება ცხოვრებისა, მისი ასეთი წარმოდგენა, ვითარცა ყოფიერება — აზროვნებისა და საქმიანობის, სავსებით ესაბამება ცხოვრების როგორც სოფლად-ადამიანობის იდეას: ცხოვრება სოფლად-ადამიანობაა, რომლის წესიცაა აზროვნება და საქმიანობა და რომელიც, თავის ამ წესისამებრ, წარმოგვიდგება კიდევ თავად, ვითარცა თვით ეს აზროვნება და საქმიანობა, აზროვნება — როგორც სოფლად-გება ვითარცა სოფლ-გაგება და საქმიანობა — როგორც სოფლად-გება ვითარცა სოფლ-აგება. ხოლო ცხოვრების, როგორც აზროვნება-საქმიანობის, საგნად ილია ამავე ცხოვრებას მიიჩნევს, იგულისხმება რა, რომ აზრი ცხოვრებისა მის, როგორც ერის სოფლად-ადამიანობის, შემდგომ წარმატებაში ან როგორც ილია იტყვის, „განკარგება“-ში, ვინა „გამაჯობინება“-ში, ერთი სიტყვით, პროგრესში მდგომარეობს, რამდენადაც ადამიანობა, ილიასვე თქმით, ღმრთის ხატობა და მსგავსობაა, რომელიც შეიძლება ქეშმარიტობდეს მართო ამ ხატობა-მსგავსობაში განუწყვეტელი, შეუწყვეტელი წინსვლის, ანუ ხსენებული პროგრესის, გზით. ცხოვრების როგორც იმ შემოქმედების განსაზღვრა, რომლის საგანიც იგივე ცხოვრებაა, ანუ ცხოვრების ვითარცა ცხოვრებისავე შემოქმედების (წარმოების) იდეა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ერთგვარ განმარტებას მოითხოვს.

თუ რა მიაჩნია ილიას ცხოვრების შინაარსად, ამაზე უკვე ითქვა: ყოველივე, რისი მოქმედიცაა ერი, თავის შვილთა ინდივიდუალური თუ კოლექტიური ძალისხმევის სახით, აზროვნებისა და საქმიანობის სარბიელზე, შეადგენს კიდევ ერის ცხოვრებას. მეორე მხრივ, ილია ცხოვრებას განიხილავს როგორც ზრუნვას (ნიკ. ბარათაშვილის ფორმულით: „სოფლისთვის ზრუნვას“), რომელსაც თავისი გარკვეული საგანი აქვს. საგულისხმოა, რომ ილია, თუ ერთგან ლაპარაკობს „ზრუნვის საგან“-ზე, სხვაგან ამავე საგანს განსაზღვრავს, როგორც საგანს ცხოვრებისას („ცხოვრების საგანი“). რაც თვალსაჩინოდ მიგვითითებს, რომ ავტორი ცხოვრებაში ზრუნვას აზრობს, რომ ცხოვრების, „მოაზრესი“-ც და „მოსაქმესი“-ც, რაობას იგი სწორედ ზრუნვაში ხედავს: ცხოვრება, აილია აზრით, ზრუნვაა, რომელსაც სათანადო საგანიც უნდა ჰქონდეს. და აი იქ ისმის კიდევ კითხვა, თუ რა შეიძლება იყოს ეს საგანი, რაზეც ილიას გარკვეული პასუხი აქვს: ასეთი საგანი მხოლოდ ცხოვრებავე შეიძლება იყოს. რა აზრით? წერილის ფარგლები საშუალებას არ მძლევს ეს საკითხი დაწვრილებით განვმარტო, მაგრამ ერთ ადგილს მაინც მოვიყვან ილიას ნაწერიდან, რომელიც თვითონ მოჰყენს გარკვეულ ნათელს დასმულ კითხვას: „ადრეც გვითქვამს და ესლაც ვიტყვი: კაცობრიობის დიდებულთა ნაღვაწთა თირკმლები რომ გაუსინჯოთ, მთელს კაცობრიობის ახოვანს პროგრესს თავიდან ბოლომდე გონების ნესტარი გაუტაროთ, ნახავთ, რომ ყოველივე ეს მართლა-და დიდებული ნაომარი კაცობრიობის ხელისა, გონებისა და მხნე-

ობისა სხვა არა არის-რა, თუ არ ძლევამოსილი სვლა კაცებურ ღირსებათა, გრძნობის აღსამატებლად მიმართული: რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმოდენად ძლიერია, როგორც ცალკე კაცი, ისე მთელ ერი“. და ცოტა ქვემოთ: „როგორც სხივნი მზისაგან, ყველა ნიჭი და მადლი ადამიანისა, სულიერი და ხორციელი, ამ გრძნობიდან წარმომდინარებს და ყოველივე ისევე უკან მიერთმევა, ვით თავის დასაბამს“ [1, ტ. III, გვ. 265]. აქ საუბარია გრძნობაზე, რომელსაც „ღირსების გრძნობას“ ეძახიან და რომელიც, როგორც ახლახან ვნახეთ, ჩვენს მწერალს წარმოდგენილი აქვს, ვითარცა თავი-და-თავი ცხოვრებისა, მისი თავი — მიზეზიცა და თავი — მიზანიც. ზოლოც ვნახით, თვითონ ეს გრძნობა რას ემყარება, რა ასულდგმულებს მას. ამაზეც ილიას გარკვეული პასუხი აქვს მოცემული თავის სხვა წერილში („შინაური მიმოხილვა“, 1882 წელი, აპრილი-მაისი), სადაც იგი, ეხება რა „შემოქმედებითს ძალს ცხოვრებისა“, წერს: „ეს შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა სათავეა ყოველის წარმატებისა და მავ ძალის ძლიერებაზედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ-წადგომისა და განკარგებისა. საცა ეგ ძალი აღძრული არ არის, იქ ცხოვრება დგას ვითარცა გუბე და გუბესავით შხამავს და სწამლავს გარეშემო ჰაერსა. ადამიანიც, ამ ჰაერში სულის მბრუნავი, ცოცხალ-მკვდარსა-ვით ზღაზვნით და ხანხალით დატანტალებს უგულოდ და უსულოდ ცხოვრების მოედანზედ როგორც სასაფლაოზედ, თითქოს მარტო იმისთვისათ, რომ ერთი პატარა ადგილი იშოვოს, საფლავი გაითხაროს და შიგ ჩაწვეს. საკვირველიც არ არის, იქ მაცხოვარი სიო განახლებისა არ დაჰბერს ცხოვრებას და ამის გამო დღევანდელი დღე მკვდარია ხვალისათვის, როგორც გუშინდელი დღევანდელისათვის იყო. ამიტომაც ადამიანს აღარც გუშინდელი ახსოვს, აღარც დღევანდელი სწამს და აღარც ხვალისდღეს ეტანება. ყოველსფერზედ გულაყრილია და ცხოვრობს მარტო იმისათვის, რომ მოკვდეს, როგორც მეტხორცი რამ, როგორც შემთხვევით მოსული და შემთხვევითვე წასასვლელი. ერთი სიტყვით, ადამიანი გამოფუყებულია, გამოცარიელებული, და ამიტომაც თვითონ მისი ცხოვრებაც სიკვდილია და არა სიცოცხლე.

გარნა იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედობისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა, წარსული, აწმყო და მომავალი — ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად, წინასა და უკანაზედ მტკიცედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავს მართლად ადამიანად სცნობს, ეგ ცნობა საკუთარი თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარი თავის ღირსება ჩაგრულყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად². გმირებს, სახელოვან კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას — ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს“³ [1, ტ. V, გვ. 150—151]. ეს მრავალმხრივ საგულისხმო ადგილი განგებ ამოწერე მთლიანად, რათა მკითხველს მიეცეს საშუალება, თვითონ დარწმუნდეს, თუ რამდენად სამართლიანია მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძე ცხოვრების სიკეთეს, რომელიც ამ ცხოვრებას ჰეშმარებ სიცოცხლედ აყოფს ადამიანისათვის, სწორედ შე-

² სწორედ აქ მოდის ღირსების გრძნობა შემოხსენებულ როლში მიზეზისა და მიზნისა ცხოვრების ყოველგვარი წარმატების საქმეში.

³ დაყოფა ყველგან ჩემია. — მ. ნ.



მოქმედებაში ხედავს, ცხოვრების როგორც შემოქმედების პროცესში. ნათლად და გარკვევით გვეუბნება, რომ კაცი თავს მხოლოდ მაშინ გრძნობს ადამიანად, როდესაც ცნობს იგი თავის თავს, როგორც ზიარს ცხოვრების შემოქმედ ძალთა, ანუ როდესაც თავის ცხოვრებას იგი განიცდის, ვითარცა ნაწილს ერის ერთიანი ცხოვრება — შემოქმედებისა. აქედან გასაგები უნდა იყოს ერის ზრუნვაც ცხოვრებაზე, მისთვის ჯეროვანი შემოქმედებითი სახის შესანარჩუნებლად: ცხოვრებას, ამ გავების თანახმად, შეადგენს არა მარტო, ვთქვათ, ეკონომიკური ცხოვრება, წარმოებადი სათანადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ ზრუნვა თვითონ ამ ცხოვრებაზე, როგორც ცხოვრება — შემოქმედების ერთ-ერთ ფორმაზე, რომელშიც ისახება ერის ყოფიერება, როგორც მისი ჭეშმარიტი, კულტურულ-ზნობრივი თვალსაზრისით, ადამიანობა. ერის ცხოვრება, ილიას აზრით, მდგომარეობს ერის სწორედ ამ ზრუნვაში მის ცხოვრებაზე ვითარცა მის ადამიანობაზე.

ახლა დავუბრუნდეთ ყოფიერების (ცხოვრების) ვითარცა აზროვნებისა და საქმიანობის იდეას. ციტირებული ადგილი ილიას „წერილები-დან ქართულ ლიტერატურაზე“ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ ავტორს როგორ ესმის ცხოვრების ამ ორი „ტოტის“, „მოაზრესი“ და „მოსაქმესი“, ურთიერთმიმართება და ამ მიმართების შუქზე როგორ ესახვის მას თვითონ ყოფიერების რაობა. ამჯერად მხედველობაში მაქვს ილიას სიტყვები აზრის როგორც „ჯერ განუხორციელებელი“ საქმისა და საქმის როგორც „უკვე განხორციელებული“. აზრის თაობაზე. ციტირებული ფრაგმენტიდან ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ის ყოფნა, რომელიც აქვს ერს ვითარცა ყოფიერება, ილიას ესმის როგორც სა-ქმე, ამ სიტყვის ვითარცა ქმნად-ჯერარსის⁴, გავებით: ყოფიერი ყოფნის (ამ აზრით „ყოფის“) ვითარცა საქმის მქონებელია, რომელსაც ეს სა-ქმე — ყოფნა აქვს ვითარცა მის როგორც სწორედ სა-ქმის მოქმედს. ადამიანობის ვითარცა ყოფიერების (ყოფიერად ყოფნის) იდეა ირკვევა, როგორც იდეა ამ ადამიანობისა ვითარცა საქმიანობის (საქმიანად ყოფნის), გვაქვს რა ამგვარად ყოფიერების ვითარცა საქმიანობის⁵ იდეა.

ცხოვრება, ილიას აზრით, ერთი რთული საქმეთა სისტემა საქმეა და ერთიც, ვითარცა ცხოვრების სუბიექტი⁶, ამ ცხოვრების სწორედ როგორც სა-ქმის იდეური და პრაქტიკული მოქმედი. კერძოდ, აზროვნება ამ სა-ქმე ცხოვრების ვითარცა აზრის წარმოებაა. და თვითონ ილია ჰავაჰავადიც, როგორც ცხოვრების მოაზრე, ცხოვრების ვითარცა საქმის მოაზრე არის, რომელიც იკვლევს, თუ რა საქმეები შეადგენენ ჩვენს ცხოვრებას მოცემულ ისტორიულ ეპოქაში და, საერთოდ, რა საქმეს წარმოადგენს თვით ეს ცხოვრება, თავისი განვითარების ამ საფეხურზე, თავის მთლიანობაში. და მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დადგენილია ცხოვრების საქმის რაობა, ანუ ის, თუ მოცემულ

⁴ რა თქმა უნდა, ქმნად-ჯერარის — ზოგადეროვნული, ე. ი. კულტურულ-ისტორიული (როგორც მხოლოდ და სწორედ ეროვნული შეიძლება იყოს, — ზოგადეროვნული) თვალსაზრისით.

⁵ ყოფ(ნ)ა — საქმე; საიდანაც გვაქვს; ყოფიერი — საქმიანი, ზოლო აქედან: ყოფიერება, საქმიანობა.

⁶ ითქმის, რომ საზოგადოება (ერი) თავისი თავის სუბიექტია, რაც ნიშნავს, რომ ხსენებული საზოგადოება თავისი თავის ვითარცა თავისი ყოფიერების (გავისხენით: საზოგადოება — ყოფიერება) სუბიექტი არის.

მონეტში რაა მისაჩნევი ცხოვრებაში ჭეშმარიტ სა-ქმედ, გამოდის იგივე ილია უკვე საკუთრივ მოსაქმის როლში და ხელს კიდებს აი ამ სა-ქმედ მიჩნე-
ულის პრაქტიკულ რეალიზაციას.

საგულისხმოა, რომ თვითონ სიტყვები „აზროვნება“ და „საქმიანობა“ სიტყვა „ყოფიერებას“-თან მიმართებაში გვაძლევენ ენობრივ მოდელს ზემო-
ხსენებულ იდეისა. ავიღოთ „აზროვნება“. რას გამოხატავს იგი თავისი მორ-
ფოლოგიით? — იდეას აზროვნებისა როგორც იმ ყოფნის, რომელიც აზრის
ქონებაში მდგომარეობს და რომელიც, რამდენადაც იგი, თვით სიტყვა „აზ-
როვნების“ თანახმად, თავის თავში გულისხმობს აზრის წარმოებას, ზემო-
თქმული ქონების იდეას წარმოადგენს კიდევ როგორც იდეას აი ამ წარმო-
ებისა: მაქვს ის, რასაც ვაწარმოებ, ანუ ქონება წარმოებაა. ცხადია, ასეთივე
გაგებაა ჩადებული სიტყვა „საქმიანობა“-შიც, ოღონდ აქ აზრის ნაცვლად
აღნიშნული ქონება — წარმოების საგნად საქმეა დასახელებული, ხოლო
აღნიშნული (ერი) თავისი ყოფა — ცხოვრების მოქმედია (იგივე მწარმოებე-
ლი), როგორც ამ ყოფის მოაზრე და მოსაქმე. ეს ყოფა მას, როგორც
მოაზრეს, ე-აზრება რა, ე. ი. როგორც აზრი ეძლევა (ყოფა ვითარ-
ცა აზრი), ხოლო, როგორც მოსაქმეს, ე-საქმება რა, ე. ი. როგორც
საქმე ეძლევა (ყოფა ვითარცა საქმე). ამგვარად ყოფის წარმო-
ება მიმდინარეობს, როგორც ამ ყოფა — ცხოვრების ვითარცა აზრისა და
საქმის წარმოება, რომელიც აზრის შემთხვევაში აზროვნებაა, ხოლო საქ-
მის შემთხვევაში — საქმიანობა, როგორც „აზროვნება“-ში გვაქვს აზრის ქო-
ნების ვითარცა ამ აზრის წარმოების იდეა, „საქმიანობა“-ში კი იდეა საქმის
ქონებისა ვითარცა ამ საქმის წარმოების, ასევე წარმოგვიდგება, ყოფიერების
ვითარცა აზროვნებისა და საქმიანობის კონტექსტში, თვით სიტყვა „ყოფიე-
რება“-ც, თავისი აღნაგობით სავსებით შესატყვისი „აზროვნებისა“ და „საქ-
მიანობისა“, როგორც გამოხატველი ყოფის ქონების ვითარცა ამ ყოფის
წარმოების იდეისა. ამგვარად, ყოფიერების ვითარცა აზროვნების იდეაში
იგულისხმება იმ ყოფნის იდეა, რომელიც ყოფის როგორც აზრის ქონება —
წარმოებაში მდგომარეობს, ხოლო ყოფიერების ვითარცა საქმიანობის იდეა-
ში იგულისხმება იმ ყოფნის იდეა, რომელიც ყოფის როგორც საქმის ქონე-
ბა — წარმოებაში მდგომარეობს; ცხადია, ეს ორგვარი ყოფა იგივეა, რაც
ილიას მიერ ხსენებული „ორი ტოტი“ იმ ერთიანი ყოფნისა, რომელსაც
„ცხოვრება“ ეწოდება და რომელშიც, ვიმეორებ, იგულისხმება ყოფიერება —
აზროვნება, „მოაზრე ცხოვრების“ სახით, და ყოფიერება — საქმიანობა, „მო-
საქმე ცხოვრების“ სახით. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ „ყოფა“,
„ყოფიერება“-ში წარმოდგენილი, არა მარტო ყოფნას იგულისხმობს, არამედ
ქმნასაც, რომელიც, რამდენადაც საქმეში სწორედ ის იაზრება, რაც თავისთა-
ვად ქმნაა, ამ შემთხვევაში ვაიგება კიდევ, როგორც სა-ქმე⁷. ხოლო ზემოთ
აღნიშნა, რომ ილიას ჩვენი ყოფა (—ცხოვრება) ესმის როგორც საქმე, რომ-
ლის იდეალური მოქმედნი ვართ, ვითარცა ამ სა-ქმე ცხოვრების მოაზრენი,
და პრაქტიკულნი მოქმედნი — ვითარცა მისნი საკუთრივ მოსაქმენი. ამგვარად,

⁷ შენება, მაგალითად, თავისთავად აღებული, არის ქმნა (ამ აზრით იგივე ყოფა), რომე-
ლიც საქმეა თავისი მოქმედი სუბიექტისათვის: ვიქმთ — სა-ქმეს და, რამდენადაც შენებას
მისი სუბიექტი „იქმს“, ამდენად ეს ქმნა, რომელიც ამ შემთხვევაში შენებაა, შესაბამისად
ისაზღვრება კიდევ სახელდობრ სა-ქმედ.

აზროვნება და საქმიანობა განიხილება, როგორც ფორმები ყოფიერებისა, რომელიც ორივე შემთხვევაში საქმიანობაა და რომელიც თავდაპირველად წარმოგვიდგება, აზროვნების სახით, როგორც „ჯერ განუხორციელებელი“, ხოლო შემდეგ, საკუთრივ საქმიანობის სახით, როგორც „უკვე განხორციელებული“. ასე რომ, თვით სიტყვა „ყოფიერება“ გვიცხადებს ყოფიერების ვითარება საქმიანობის, აზროვნებისა თუ საკუთრივ საქმიანობის სახით წარმოებადის, იდეას, რომელსაც მტკიცედ და გარკვევით ადგას ილია ჭავჭავაძე თავის აზროვნებაშიც და ამ აზროვნების პრაქტიკაში „მახორციელებელ“ თავის საქმიანობაშიც.

ხოლო ცხოვრებაში ამ აზროვნებასაც და საქმიანობასაც საფუძვლად უდევს, როგორც ეს უკვე გაცხრით აღვნიშნე, ზ რ უ ნ ვ ა, რომელიც ილიასთან სხვაგვარად სიტყვა „ღვაწლით“ (გინა „მოღვაწეობით“...) აღინიშნება ხოლმე. რამდენადაც „მოღვაწეობა“ (გინა „ღვაწლი“...) უკეთ გამოხატავს იმ იდეას, რომელსაც ახლა უნდა შევებო, ამდენად შევჩერდებით სიტყვა „ღვაწა“-ზე, საიდანაც გვაქვს „მოღვაწე“, ხოლო აქედან — „მოღვაწეობა“-ც (გველისხმობ რა ამ უკანასკნელში ყოფნას („მოღვაწეობა“ — მოღვაწედ ყოფნა), რომლის წესიც ღვაწა და რომელიც თავის ამ წესისამებრ ფორმდება კიდევ თავის რაობაში, როგორც თვითონ ეს ღვაწა; რის გამოც ითქმის კიდევაც, რომ: მოღვაწეობა ის ყოფნაა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ღვაწა...).

სხენებული ზმნა („ღვაწა“) პოლისემიური სიტყვაა, რომლის მნიშვნელობათაგან (რომლებიც, ვიტყვი აქვე, ერთმანეთთან ლოგიკურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ერთ გარკვეულ საზრისობრივ სისტემას ქმნიან) ამჟერად გამოვყოფ შემდეგს: 1. ზ რ უ ნ ვ ა და 2. შ რ ო მ ა და ბ რ ძ ო ლ ა. ამ მნიშვნელობათა საზრისობრივი ერთიანობა აშკარაა, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ძირითადი აქ ზრუნვის იდეაა, საიდანაც გამომდინარეობენ კიდევ იდეები შრომისა და ბრძოლისა. ივლისხმება, რომ, თუკი ზრუნვა ნამდვილია, ე. ი. საქმიანია, მას შრომისა და ბრძოლის სახე უნდა ჰქონდეს, და რომ შრომა და ბრძოლა, თავის მხრივ, სხვა არაფერი არიან, თუ არა ზრუნვის წესნი, მისნი რეალური გამოხატულებანი. „ვიღწევი“ ნიშნავს: ვზრუნავ, ე. ი. ვშრომობ და ვიბრძვი. ამგვარად, „ღვაწლში“, რომელზეც ლაპარაკობს ილია (გინა „ღვაწა“-ში, იმავე „მოღვაწეობა“-ში), ჩვენ უნდა ვიაზროთ ზრუნვა მისი ნამდვილი, საქმიანი სახით, ანუ: ზრუნვა — შრომა, ზრუნვა — ბრძოლა. და ერის ცხოვრება, ე. ი. მისი სოფლად-ადამიანობა, ილიას აზრით, სწორედ ეს ღვაწა — ზრუნვაა, აი ამ ზრუნვა — შრომისა და ზრუნვა — ბრძოლის გაგებით. ასეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი, ილიას თანახმად, მოაზრე და მოსაქმე არსებაა (ანუ ერთი სიტყვით: მოსაქმე არსება, რამდენადაც „თვით აზრიც... საქმეცა“) და, მაშასადამე, მოაზრეც — მოსაქმეც) როგორც მოღვაწე არსება, რომლის აზროვნებაცა და საქმიანობაც წესია მისი სოფლად მოღვაწეობისა, მისი ამგვარი სოფლად-ყოფნისა, და, როგორც ასეთი, ერთიცა და მეორეც გარკვეული ფორმაა იმ ზრუნვისა, რომელსაც, მისი „საგნის“ შესატყვისად, „სოფლისთვის ზრუნვა“ უწოდა ნიკ. ბარათაშვილმა და რომელიც შეადგენს კიდევ ერის ცხოვრებას, მის სოფლად-ადამიანობას. სოფელი ქვეყანაა, რომლის მასოფლებელი ელემენტი, თვითონ ამ სოფელ — ქვეყნის სტრუქტურაში შემავალი, მისი სოფლობის სუბიექტი ერია და რომელიც თავისი ამ კულტურულ-სოციალური (ადამიანური) რაობის განმსაზღვრელი ელემენტის საფუძველზე ისაზღვრება კიდევ, როგორც პირველ ყოვლისა — თვითონ ეს ერი; ხოლო რამდენა-

დაც ერი, ვითარცა თავის-სუბიექტი (ამ აზრით თავის-უფალი), თავის როგორც ყოფიერების სუბიექტია, ამდენად ითქმის კიდევაც, რომ სოფელი სხვა არაფერია, თუ არა თვითონ ის ყოფიერება, რომლის, ვითარცა „თავის“, ანუ საზოგადოების როგორც ყოფიერების, სუბიექტიცაა ერი. ამგვარად, ცხოვრების, როგორც სოფლისათვის ზრუნვის, იდეა იგივეა, რაც იდეა თვითონ ცხოვრებისათვის ზრუნვისა, — ცხოვრებისათვის, რომელიც, ვითარცა სოფლად-ადამიანობა, ერის სოფლად-პიროვნებაა, თავის თავში შემცველი თვითონ ქვეყნისაც, რამდენადაც მისი ვითარცა სოფლის შენება შეადგენს კიდევ ერის ამ სოფლად ადამიანობა — პიროვნებას.

ხოლო ვზრუნავთ იმისათვის, რაც გვიყვარს: ზრუნვის საგანი სიყვარულის საგანია. ცხოვრებისათვის, იმავე „სოფლისათვის“, ზრუნვა სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრების-, იმავე „სოფლის-“, მოყვარეობა. ამგვარად, ცხოვრების პრინციპი (და ეს იდეა ნათლადაა გამოხატული ილიასთან) არის სიყვარული, რომლის საგანიც თვითონ ცხოვრებაა და რომლის საქმიანი სახეებაცაა ზრუნვა. ცხოვრების როგორც მაცხოვარების იდეა სწორედ ამ სიცოცხლის-მოყვარეობას ემყარება, რომელიც სიცოცხლის წარმოებაში მდგომარეობს აზროვნებისა და საქმიანობის სახით. ცხადია, ხსენებულ „სიცოცხლე“-ში იგულისხმება ის „სულიერება“ (ცოცხალი — სულიერი), რომელიც გონიერებაა და რომელიც, ვითარცა ყოფიერება, სხვა არაფერია, თუ არა სოფლად-ადამიანობა, ქართველი ერის პერსონალურ შემთხვევაში — სოფლად-ქართველობის სახით. ამგვარად გვაქვს ცხოვრების, ანუ ერის სოფლად-ადამიანობის, როგორც სიყვარულის იდეა, რომლის ასპექტებიცაა იდეები სიცოცხლისა (ონტოლოგიური), სიბრძნისა (გნოსეოლოგიური) და სიკეთისა (აქსეოლოგიური), და რომლის რეალური (საქმიანი) ფორმაცაა ზრუნვა, თავად — აზროვნებისა და საქმიანობის სახით რეალიზებადი. სხვანაირად რომ ვთქვა, ცხოვრება, ვითარცა სოფლად-ადამიანობა, არის სოფლისთვის ზრუნვა, რომელიც სხვა სიტყვით აღინიშნება როგორც სოფლისთვის-მოღვაწეობა, აი ამ აზრით მართლაც რომ ადამიანობა: ადამიანობა, როგორც კულტურა, სხვა არაფერია, თუ არა მოღვაწეობა, ასეთი ყოფნა, რომელიც ამ სახით წარმოგვიდგება კიდევ, ვითარცა ცხოვრების, ანუ სოფლად-ადამიანობის, როგორც კულტურის სინამდვილე. იგულისხმება, რომ ცხოვრება, რომელიც, ვითარცა სოფლად-გება, სოფლის გაგება-აგებაა, ვარკვეული ხელოვნება არის, რაც გვაზრებიანებს კიდევ ამ ცხოვრებას, როგორც კულტურას: ცხოვრება კულტურაა, როგორც სოფლ-მშენებლობის ხელოვნება, ამ სოფლის გაგება-აგების სახით. ესმის რა ცხოვრება ვითარცა მოღვაწეობა, ილია ჭავჭავაძე ამ თავისი გაგებით გვაძლევს ცხოვრების როგორც კულტურის იდეას. ვიმეორებ: ცხოვრების როგორც მოღვაწეობის, ე. ი. ზრუნვა — შრომისა და ზრუნვა — ბრძოლის, გაგება ცხოვრების ვითარცა კულტურის გაგება არის და ილია ჭავჭავაძის იდეაც ცხოვრებისა ცხოვრების (ყოფიერების, ექსისტენციის...) ვითარცა კულტურის გაგებას გამოხატავს, რომლის თანახმადაც ერი მოქმედია თავისი ცხოვრება — ისტორიისათვის ვითარცა კულტურის. ამიტომაც, ვამბობ რა, რომ ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზრისა და მოსაქმის, „ზრუნვის საგანი“ ცხოვრებაა, ამით ილიას ამ ზრუნვის საგნად ვსაზღვრავ ცხოვრებას როგორც კულტურას, რომელიც სოფლად ისტორიის სახით წარმოებს, ანუ ილია ჭავჭავაძე, თანახმად ამ გან-

საზღვრისა, წარმოგვიდგება მოღვაწედ, ვისი „ზრუნვის საგანი“-ც არის ცხოვრება, როგორც ისტორია და კულტურა.

არც ერთი დარგი მეცნიერებისა, რომელსაც საგნად აქვს ცხოვრება, ამ უქანასწავლის მიმართ ზრუნვის დარგად არ ისაზღვრება. ასე, მაგალითად, ჰოციოლოგი ისეთსავე „მზრუნველად“ შეიძლება მივიჩნიოთ მისი სამეცნიერო საგნის მიმართ, როგორც, ვთქვათ, ენტომოლოგი ან იქტიოლოგი — მზრუნველად სათანადო სამეცნიერო საგნისა. ხოლო ადამიანისათვის მის ცხოვრებას ჰემშარიტი სახე აქვს მხოლოდ როგორც ზრუნვის საგანს, რომლის მოაზრებაც, შესაბამისად, ამ ზრუნვის ხედვითი ფორმა უნდა იყოს (ხედვა — ზრუნვა)⁸. ილია ჭავჭავაძის განსხვავება ვინმე მეცნიერისაგან (გინ ფილოსოფოსისაგან, ერთი სიტყვით: საკუთრივ თეორიულად მოაზრისაგან) ისაა, რომ იგი სწორედ იმისი მოაზრება, რისი მოღვაწეცაა (ე. ი. რისი მზრუნველიც, როგორც ამ საზრუნავისათვის მშრომელი და მებრძოლი, აი ამ ჰემშარიტი სახით მზრუნველი), და რომ მისი აზროვნება, მიმართული გარკვეულ საგანზე, ამ უქანასწავლისათვის, მის სასიკეთოდ, მოღვაწეობის წესია. ვასაგებია, რომ ესაა, განსხვავებით წმინდა თეორიულისაგან, განსაკუთრებული ტიპის აზროვნება, გამომხატველი იმ ზრუნვისა, რომელიც, თავის მხრივ, საგნისადმი ამ ზრუნვის მასულდგმულელები სიყვარულის გამოხატულება არის და რომელიც, ამგვარად, აფუძნებს აზროვნებას, როგორც სიყვარულის გონივხედვითს რეალიზაციას (რამდენადაც ხედვა ტრფობაა, რომელიც თავის სრულყოფას თვით ამ ხედვაში პოუვებს)⁹. არც ფილოსოფიური და არც პოზიტტიური მეცნიერებანი, რამდენადაც ისინი თავიანთი საგნისადმი წმინდა თეორიული ინტერესით სულდგმულობენ, არ წარმოებენ ზემოხსენებული ზრუნვა — აზროვნების, სათანადო გონივხედვითი ტრფობის (ასეთი დინამიკური სიყვარულის) გამოხატველის, სახით. და ის ერთადერთი დარგი, სადაც ადგილი აქვს ასეთ აზროვნებას, წარმოებადს ბუნებრივ ენაზე, არის ლიტერატურა, რომელსაც „საქმე მთელ ერთანა აქვს“ (განსხვავებით საკუთრივ მეცნიერებისაგან). ცხოვრება ზრუნვის საგანია თავისი სუბიექტისათვის, რომელიც ერია, და ლიტერატურაც, როგორც ამ ზრუნვის გამომეტყველი, ცხადია, ასეთი შეიძლება იყოს, მხოლოდ ვითარცა გამომეტყველი თვითონ ერის, პირადად რომლის ზრუნვაცაა იგი „სოფლისთვის ზრუნვა“, გულისნაღებისა, მისი ცხოვრებისეული გულისთვისა და გულისსიტყვისა. ლიტერატურაში ილია თვითონ ერის, როგორც ასეთის, წარმომადგენლობას ხედავს მის (ერის) გულისმუსაიდუმლე შეილთა, ნამდვილ ერის-კაცთა, სახით, როდესაც საბოლოო კულტურული ვერდიქტი, ისტორიული განაჩენი ამ ლიტერატურის მიმართ, ისევ და ისევ თავად ამ ერს ეკუთვნის, რომელსაც, რა თქმა უნდა, ასეთი ინტელექტუალური უფლებამოსილება არ გააჩნია საკუთრივ თეორიული,

⁸ „ხედვას“ ზრუნვის მნიშვნელობაც აქვს. ცხოვრების ჰემშარიტი, ე. ი. თვითონ ამ ცხოვრების მისი სუბიექტისათვის რავარობის აღქმატური, ხედვა ცხოვრების ხედვა — ზრუნვის სახითაა შესაძლებელი, როგორც ხედვა ცხოვრებისა ვითარცა ზრუნვის საგნის.

⁹ „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ — „ქვეყანა“ თავის შეილთა „ზრუნვის საგანი“-ა, რადვან „გული“ ამ მამულიშვილთა მშობელი ქვეყნისადმი „ტრფობის ბუღია“. ხოლო ეს მამულიშვილური ზრუნვა, ცხადია, გამოიხატება იმ აზროვნებასა და საქმიანობაში, რომლებიც შეადგენენ „საზოგადო ცხოვრებას“, წარმოებადს „ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მისამართავად“ [1, ტ. III, გვ. 198].

წმინდამეცნიერული იდეების მიმართ. მაგრამ იმისათვის, რათა ერს შეეძლოს, ვეროვნად გაუძღვეს ამ თავის უფლება-მოვალეობას საკუთარი თავის, საკუთარი ყოფა-ცხოვრების წინაშე, საჭიროა, რომ იგი კულტურული განვითარების სათანადო დონეზე იდგეს, რასაც ემსახურება კიდევ განათლების სისტემა და იგივე ლიტერატურა, თავისი ამ შემთხვევაშიც ყველაზე მოქმედი ნაწილის — პრესის ჩათვლით. მეცნიერების მონაპოვარნი კულტურის ფაქტებად მხოლოდ მაშინ ფორმდებიან საბოლოოდ, როდესაც ისინი ლიტერატურის შინაარსად იქცევიან, როგორც ჭეშმარიტად საერო ცნობიერების კუთვნილებანი... აქედან — ილიას ზრუნვაც სახალხო განათლებასა და ლიტერატურაზე, ვითარცა ერის, როგორც თავისი ცხოვრების ნამდვილი კულტურული სუვერენის, სათანადო შემოქმედებით თავის-უფლობის საფუძველსა და საშუალებაზე.

ხოლო ილიას ზრუნვის საგნის რაობის გარკვევა ჩვენთვის იმ მხრივაცაა საგულისხმო, რომ ხსენებული საგანი არის განმსაზღვრელი ილიას აზროვნების (ისევე როგორც საქმიანობის) მიმართულებისა; ილიას სამოღვაწეო საგნის დადგენით ჩვენ ვადგენთ თვითონ მიმართულებას ამ საგანზე სწორედ მიზნობრივ ორიენტირებული მოღვაწეობისაც, კერძოდ — აზროვნების სფეროში, რამდენადაც საგანი ამ შემთხვევაში მართლაცაა როგორც მასზე მიმართული მოღვაწეობის სა-განი, ე. ი. სა-მიზნი („განი“ — მიზანი). იაზრება. როდესაც ვამბობ, რომ ილია ჭავჭავაძე ლიბერალიზმის, ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის, კაცია; პირველ ყოვლისა მხედველობაში მაქვს ცხოვრების როგორც თავისუფლების ილიასეული გაგება, საიდანაც ირკვევა თავისუფლება ვითარცა ნამდვილი ზრუნვის საგანი ამ შოღვაწისა, რომელიც ამგვარად წარმოგვიდგება კიდევ, ვითარცა თავის-უფლების მოღვაწე. ხოლო ცხოვრების ვითარცა სოფლად-ადამიანობის იდეას, კულტურულ-ზნეობრივად განუყოფელს ცხოვრების როგორც თავისუფლების გაგებისაგან, უშუალოდ მიყვავართ ცხოვრების ვითარცა სოფლად-პირვნების იდეამდე, რომელიც კონკრეტული ერის, ამ სოფლად-ადამიანობა — პირვნების ერთადერთი ჭეშმარიტი სუბიექტის, შემთხვევაში გარკვეულ ვინაობად ისახება, როგორც, მაგალითად, ქართველი ერის შემთხვევაში — ვითარცა ამ ერის სოფლად-ქართველობა, მისი ასეთი პირვნება — ყოფიერება; და მაშინ ილიას პრინციპული, აბსოლუტური ზრუნვის საგნად დგინდება ქართველობა, ე. ი. გარკვეული ეროვნული ვინაობა, რაც, რა თქმა უნდა, ასევე სრულიად კონკრეტულ მითითებას გვაძლევს ილიას კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე, მის როგორც კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწის სათანადო მიმართულებაზე: ადამიანი, რომლისთვისაც ერი უმაღლესი სოციალური არსია, და შესაბამისად, მასზე ზრუნვა — უზენაესი კულტურულ-ზნეობრივი იმპერატივი, ცხოვრების ყველა სხვა მოთხოვნათა თავისადმი მაქვემდებარებელი; ანუ ვისთვისაც „ჩვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“, — განა დღესავით არ არის ნათელი, თუ რომელ კულტურულ-პოლიტიკურ მიმართულებას ეკუთვნის? ამგვარად, ილიას საზოგადოებრივი საგნის რაობა მის სათანადო მიმართულებას გვირკვევს, რომელიც ყველაზე ზუსტად როგორც ეროვნული ლიბერალიზმი ისაზღვრება. ხოლო თუკი ამ მიმართულებას იმ მეთოდის მიხედვით დავახასიათებთ, რომლითაც ხელმძღვანელობს ლიბერალიზმი და რომელიც, სახელდობრ, დემოკრატიზმია (დემოკრატიზმი — ლიბერალიზმის მეთოდი), მაშინ ვიტყვი, რომ

რომ ილიას სახით ჩვენ საქმე ვვაქვს ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწესთან.

...ამაზე ვწყვეტ. ცხადია, აქ მე ვერ შევძელი ილიას სააზროვნო საგნის ყოველმხრივი გაშუქება, მაგალითად, სრულიად არ შევხებიათ ეროვნული ყოფიერების, როგორც კულტურული რეალობის, დარგობრივ სტრუქტურას და, ამასთან დაკავშირებით, ერის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის (კერძოდ, მას დარგთა) ურთიერთდამოკიდებულებას თვითონ ამ ყოფიერების (ცხოვრების), ვითარცა მისი სუბიექტის სოფლად-ადამიანობის, წარმოების საქმეში; არ შევხებიათ აგრეთვე ენისა (რომელზეც წარმოებს „მოაზრე ცხოვრება“ და რომელიც, ამგვარად, წარმოვედგება კიდევ, ვითარცა ენა თვით ამ ყოფიერებისა, მის ასეთს („მოაზრე“) ფორმაციაში) და სარწმუნოების ადგილს ცხოვრების, როგორც „ზრუნვის საგნის“, სტრუქტურაში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს, ზოგადად, ხსენებული საგნის ის მოდელი, რომლითაც ვხელმძღვანელობ ცხოვრების თემაზე ილიას ნააზრევის კვლევისას.

М. А. НАНЕИШВИЛИ

О ПРЕДМЕТЕ МЫШЛЕНИЯ И. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

Статья представляет собой попытку определить предмет мышления И. Чавчавадзе. На основе анализа соответствующих текстов, вышедших из-под пера писателя, делается общий вывод, что этим предметом является жизнь, единственным действительным субъектом которой мыслится нация. В результате дальнейшего рассмотрения конкретного содержания идеи жизни, лежащей в основе всего литературного наследия И. Чавчавадзе, в статье дается конечное определение интересующего нас предмета: это — грузинство («картвелоба») как национально, т. е. персонально — социально (нация: персона — социум) определенная культурно-историческая система бытия и сознания в их неразрывном единстве.

И. Чавчавадзе как мыслитель — идеолог этот живой человеческой (т. е. лично-общественно определенной) Мы-системы, которая и является действительным (в своей конкретной реальности) предметом его мысли.

ლიტერატურა

1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1851—61.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

რეპაზ გორღუნენი

ბარლ ინსანრსი და აღმოსავლური ფილოსოფია (ქენ-ბუღიზმი)

მათვის, ვინც თანამედროვე ექსისტენციალიზმის შესახებ არსებულ ლიტერატურაში რამდენადმე ჩახედულია, უჩვეულო არ უნდა იყოს აზრი ევროპული ექსისტენციალიზმისა და აღმოსავლური აზროვნების მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ. თუმცა საერთოდ, როგორც ცნობილია, დასავლური და აღმოსავლური აზროვნება პრინციპულად განსხვავებულია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ორივეში გვხვდება არსებითი შეხების წერტილები, ორგანული კავშირები, საკვანძო პრობლემების ერთიანი წრე. ყველაზე არსებითი, რითაც დასავლური და აღმოსავლური აზროვნება განსხვავდება, არის ის, რომ ევროპული აზროვნება თავისი ბუნებით რაციონალიზმისკენ იხრება, სადაც უპირატესობა ეძლევა მკაცრ ლოგიკურ-მეცნიერულ მოთხოვნებს, მაშინ როცა აღმოსავლური აზროვნების სტილი და სულისკვეთება უფრო მეტ უპირატესობას აძლევს აზროვნებაში „არარაციონალურს“, იღუმალს, ლოგიკურ-მეცნიერული აზროვნების საზღვრების დადგენას და გადალახვას.

ამასთან აზროვნების ამ ორი ტიპის განსხვავება-დაპირისპირება არ უნდა გავიგოთ აბსოლუტური, კატეგორიული აზრით. არ შეიძლება ითქვას, რომ ევროპული ფილოსოფიური აზროვნება მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ რაციონალური ყაიდის სისტემებს მოიცავს, ხოლო აღმოსავლეთის ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნება მხოლოდ „არარაციონალურს“, ცხდია, დასავლეთში ისევე როგორც აღმოსავლეთშიც, ადგილი ჰქონდა და აქვს საერთო ხაზიდან გადახვევების შემთხვევებს. ექსისტენციალური ფილოსოფია თანამედროვე დასავლეთის ისტორიაში სწორედ ისეთ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც დალატობს ევროპული ფილოსოფიის ტრადიციულ რაციონალიზმს. ექსისტენციალიზმი, როგორც ფილოსოფიური მსოფლმხედველობა — ყოველ შემთხვევაში მისი გერმანული ფრთა მანაც — დღეს ვერ თავსდება ტრადიციული რაციონალიზმის ფარგლებში, ლოგიკურ-მეცნიერული აზროვნების სფეროში და თავისი შინაგანი ტენდენციებით აღმოსავლური აზროვნებისადმი ორგანულ ნათესაობას ამქადავებს.

შეიძლება დღეს თამამად ითქვას, რომ XX ს. გერმანული ექსისტენციალიზმის უდიდესი წარმომადგენლები (მ. ჰაიდეგერი, კ. იასპერსი) თავისი აზროვნების საერთო ბასიათით ძირეულად არიან დაკავშირებულნი აღმოსავლური აზროვნების სულისკვეთებასთან, ფილოსოფიურ კვლევა-ძიებასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი მოძღვრების საერთო სტრუქტურას და მიზანდასახულებას.

მ. ჰაიდეგერს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ყოფიერების საზრისის (Sinn von Sein) ძიების გზაზე ადამიანური ყოფის ღიაობაში, გახსნილობაში

(Erschlossenheit) მოცემული ყოფიერების მოსმენა ბუნებრივად მოითხოვს, დასავლური და აღმოსავლური ფილოსოფიური აზროვნების თავდაპირველი საწყისების აღდგენას და მათ მიახლოება-შეხვედრას. ეს იმის გამო, რომ ადამიანური ამქვეყნიური არსებობის წესი ერთი და იგივე ძირითადი, საერთო კონსტიტუციით გამოიხატება (სამყარო-ში-ყოფნა — in-der-Welt-sein), ხოლო ნებისმიერი ადამიანის არსება მის **ექსისტენცში** მდგომარეობს. ექსისტენცი, ფიქრობს მ. ჰაიდეგერი არ არის რაიმე ისეთი გარკვეულობა, რომელიც სამყაროსეული საგნის ან მოვლენის მსგავსად თეორიული, ცნებითი აზროვნების შესწავლის ობიექტად იქცევა. იგი არ ხდება სუბიექტ-ობიექტის ფორმით განხორციელებული შემეცნებითი პროცესის კანონიერი წევრი, შემეცნების სუბიექტისადმი დაპირისპირებული ობიექტი. ექსისტენცი ამგვარ შემეცნებაში უშუალოდ კი არ არის მოცემული, არამედ შუალობით. იგი არა-უშუალოა, ინდივიტულია. ვითარების მთელი უცნაურობა ისაა, რომ სწორედ ექსისტენცი არის ჩვენი აზროვნებისა და მოქმედების თავწყარო, საბოლოო მიზეზი, მაგრამ იგი თეორიული აზროვნების ეკრანზე, რაციონალური შემეცნების სიბრტყეზე, არასოდეს არ ჩანს უშუალოდ, არასოდეს არ ვლინდება როგორც ლოგიკურ-შეცნიერული შემეცნების საკვლევი ობიექტი. შეუძლებელია ექსისტენციის ცნებითი, კატეგორიული ათვისება, რადგან კატეგორიები თავის ძალმოსილებას ამქადავებს მხოლოდ სამყაროს საგანთა და მოვლენათა რეგიონების შესწავლის სფეროში. ადამიანის რაციონალური შემეცნებითი მზერა, თუკი იგი უშუალოდ ექსისტენციისკენ არის მიმართული, თავის სასურველ შედეგს ვერ აღწევს. ასე ფიქრობს მ. ჰაიდგერი. და პრინციპულად იგივე პოზიციას იკავებს ექსისტენციის გაგებაში კ. იასპერსიც. ექსისტენცი მისთვისაც არის ადამიანის არსებითი შინაგანი ბუნება, ადამიანის არსებითი მახასიათებელი, რომელიც მთელს ადამიანურ ცხოვრებას, მთელ საკაცობრიო ისტორიას წარმართავს, მაგრამ რომელიც თვითონ ლოგიკურ-შეცნიერული შემეცნებისათვის უხილავია. ექსისტენცი თეორიული გონებისათვის დაუნახავია, მოუხელთებელია, არარსებულია, ფარულად მოქმედია და, ამდენად, მას შეიძლება „უჩინმაჩინი“ (Tarnkappe) ეწოდოს, წერს კ. იასპერსი ექსისტენციის შესახებ.

ამგვარად, მ. ჰაიდგერის ინტერპრეტაციით, ის, რაც ადამიანის არსებად უნდა ჩაითვალოს, ანუ ის, რაც თვითონ ადამიანია არსებითად, შეუმეცნებელია რაციონალური შემეცნებისთვის. თეორიული გონებისთვის იგი არარაა, მოუხელთებელია. როგორც ცხოვრების შინაგანი ცენტრი, მოქმედებების და აზროვნების ერთიანი ბირთვი, ექსისტენცი არსებობს და ადამიანურ ყოფას ასულდგმულებს, მაგრამ როგორც რაციონალური შემეცნების ობიექტი, იგი არაფერია. არარსებულია, უცნობია, ილუმალბაა. კ. იასპერსი კი აღნიშნავს, რომ ის, რასაც იგი თავის ფილოსოფიაში ექსისტენცს უწოდებს, რელიგიის და მითოლოგიის ენაზე სულის სახელწოდებით არის ცნობილი. და სწორედ ეს სულად წოდებული რაიმე არის ყველაზე უცნაური და ილუმალი. სწორედ მასზე შეიძლება ითქვას ერთდროულად, რომ იგი არის და არც არის. მთლიანი ადამიანისათვის ექსისტენცი არის, რამდენადაც იგი ჩვენი არსებაა, ჩვენი აზროვნებისა და ქცევების უღრმესი ფუნდამენტი, მაგრამ იგი არ არის არსებული, სახეზე მყოფი, რამდენადაც შემეცნებისათვის, კერძოდ, რაციონალური შემეცნებისათვის მოუხელთებელი, „უჩინმაჩინი“ და შეუმჩნეველია.

ეს დებულება, რაზედაც აქ ყურადღებაა გამახვილებული, არის ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი. მისი „ანტირაციონალიზმი“ სწორედ ამაში ჩანს, მაგრამ გერმანელ ექსისტენციალისტთა ამ პოზიციამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს ექსისტენციალური მსოფლმხედველობის საერთო შეფასების დროს. ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ თანამედროვე ექსისტენციალისტური ფილოსოფია არის ირაციონალისტური და ანტისციენტისტური მიმდინარეობა. უნდა ითქვას, რომ ამგვარი შეფასება, ერთი შეხედვით, მართებული ჩანს, რადგან როგორც აღინიშნა, ეს პრინციპი რაციონალიზმისა და მეცნიერულ-ლოგიკურის წინააღმდეგ არის მიმართული, რამდენადაც მის საზღვრებს, მის უკმარისობას გვიმტლავნებს. მაგრამ თუ ამ ვითარებას უფრო ახლოდან დავუკვირდებით, მაშინ ნათელი გახდება ამ შეფასების არასიზუსტე. ყოველშემთხვევაში ასეთი შეფასება თავის დაზუსტებას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ არც მ. ჰაიდეგერი და არც კ. იასპერსი თავიანთ მოძღვრებებს ირაციონალიზმად არ თვლიან და არც მეცნიერული შემეცნების წინააღმდეგ არასოდეს არ გამოსულან. მეცნიერებისა და რაციონალური შემეცნების უკუგდება, ირაციონალიზმის დასაბუთება მათ არასოდეს არ გაუხდიათ თავის მიზნად. პირიქით, ისინი იკვლევენ მეცნიერული შემეცნების ბუნებას, თავისებურებებს და ცდილობენ დაადგინონ მისი საზღვრები, ობიექტები. მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთში არ აერიოთ ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებული სფეროები — მეცნიერული აზროვნება და ფილოსოფიური აზროვნება, ფილოსოფოსობა. მეცნიერებას, რაციონალურ შემეცნებას თავისი საკუთარი საკვლევი ობიექტები და საზღვრები აქვს. საჭიროა მისი სპეციფიკის დადგენა, რაც ამავე დროს მისი არსების დადგენაც არის. უნდა გაირკვეს მეცნიერების და ფილოსოფიის თავისებურებები, მათი ურთიერთკავშირი. მათი არსების დადგენა ნიშნავს მათ ერთმანეთისგან გამოყოფას, განსხვავებას. მ. ჰაიდეგერის და კ. იასპერსის მოძღვრებათა მთელი პათოსი იქითაა მიმართული, რომ გაირკვეს ფილოსოფოსობის ჭეშმარიტი ბუნება, მისი საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიზნები და მეთოდები. გაირკვეს თუ ადამიანის ექსისტენციალური თვითდადგენისა და თვითგამორკვევის პროცესში რა როლს თამაშობს ლოგიკურ-მეცნიერული, რაციონალური აზროვნება. ცნობილია, მაგ. რომ კ. იასპერსის სამტომიან ნაშრომში („ფილოსოფია“) მრავალი მსჯელობაა გამოთქმული ადამიანის ექსისტენციალური განვითარების, **აღმავლობის** შესახებ; ეს აღმავლობა რთული პროცესია. მისი ერთ-ერთი ფრთა სწორედ მეცნიერული, რაციონალური შემეცნებაა, რომელიც სამყაროორიენტაციად იწოდება. ხოლო მისი მეორე ფრთა არის ექსისტენციალური **განათება** (Erhellung), რომელსაც თავისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმები გააჩნია. ასევე მ. ჰაიდეგერი თავის „ყოფიერებასა და დროში“ სპეციალურად განმარტავს „ფუნდამენტური ონტოლოგიის“ მიმართებას რაციონალიზმთან და ირაციონალიზმთან: მ. ჰაიდეგერს არც რაციონალიზმი აკმაყოფილებს და არც ირაციონალიზმი. მისი თვალსაზრისით, რაციონალიზმი მხოლოდ გონების შუქში მოჭკევის გამო, თავისებურად კიდევ აბნელებს ადამიანის ნამდვილ ბუნებას — ექსისტენცს, ხოლო ირაციონალიზმი ცდება, როდესაც ადამიანის არსებას თავიდანვე ირაციონალურ, მოუაზრებად რაიმედ აღიარებს. ირაციონალიზმი თუმცა დაზღვეულია რაციონალიზმის შეცდომისაგან, მაგრამ თვითონაც ვერ ამჩნევს ექსისტენცის ნამდვილ ბუნებას და მისკენ მისვლის გზებს. იგი ვერ

ამჩნევს, რომ ექსისტენციის რეალიზაცია და თავის თავთან მისვლა ექსისტენციალურ განათებას მოითხოვს. მ. ჰაიდეგერის პრინციპი ამ საკითხში ასეთია: რაციონალიზმი იმის მიმართ, რასთანაც საქმე აქვს ფუნდამენტურ ონტოლოგიას, ბრმაა, ხოლო ირაციონალიზმი კი — ელამი.

გერმანული ექსისტენციალიზმის დამაარსებლები ხაზს უსვამენ ადამიანში სპეციფიკურ ადამიანურს — ექსისტენციის არსებობას. ისინი მისდევენ ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ ტენდენციას და აცხოველებენ კითხვას ადამიანის არსებითი რაობის, მისი შინაგანი ბუნების შესახებ. ადამიანი არის მათთვის მთელ სამყაროში ერთადერთი, უნიკალური არსება, რომლის წვდომა, ექსისტენციალური განათება რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის გაერთიანებას მოითხოვს. ადამიანის „დაფარული“ ბუნების გამჟღავნება გულისხმობს როგორც იმის გათვალისწინებას, რაც ადამიანმა რაციონალურად იცის თავის შესახებ, აგრეთვე იმის გათვალისწინებასაც, რაც და როგორც ექსისტენციალურად ნათდება. ადამიანური აზროვნება უფრო მეტია, ვიდრე რაციონალური შემეცნება; „ადამიანი უფრო მეტია ვიდრე მან თავის შესახებ იცის“, თეორიულ-მეცნიერულად იცის, ფიქრობს კ. იასპერსი.

გერმანული ექსისტენციალიზმის ამგვარი ექსისტენციალურ-ანთროპოლოგიური მიზანდასახულობა დიდ სიახლოვეშია აღმოსავლური ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების საერთო ხასიათთან და ზოგიერთი აღმოსავლური სკოლა ფაქტიურად კიდევ მოიცავს ექსისტენციალიზმის უმთავრეს, საკვანძო პრობლემატიკას. დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ გერმანული ექსისტენციალიზმის ზოგიერთი ფუძემდებლური ცნება (ექსისტენციალი) აღმოსავლური წარმომავლობისაა. ამაში გვარწმუნებს ჩვენ მაგ. კ. იასპერსის და დ. ტ. სუძუკის მსოფლმხედველობების ამოსავალი პრინციპების შედარება.

დაისევე ტეიტარო სუძუკი (1870—1966 წწ.) XX ს. გამოჩენილი იაპონელი ძენ-ბუდისტი და ექსისტენციალისტი. იგი აღმოსავლური კულტურის დიდი მცოდნე და დამცველია. მის სახელთანაა დაკავშირებული ძენ-ბუდისტური პრინციპების დამუშავება და პოპულარიზაცია როგორც აღმოსავლეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ ცხოვრებაში ასევე დასავლეთში, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. რამდენადაც დ. ტ. სუძუკის დიდხანს ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა აშშ-ში და ევროპაში იგი ღრმად გაეცნო დასავლური ფილოსოფიური აზროვნების უმთავრეს ნაირსახეობებს. მას უშუალო კონტაქტები ჰქონდა დასავლური ფილოსოფიური აზროვნების ცოცხალ პროცესთან და მათ მთავარ წარმომადგენლებთან. როგორც მისი თვალსაზრისის გაცნობა გვარწმუნებს, მისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა დასავლური აზროვნების ყველაზე „თანამედროვე“ მიმდინარეობა — ექსისტენციალიზმი. იგი დიდ სოლიდარობას უცხადებს გერმანული ექსისტენციალიზმის დამაარსებელს კ. იასპერსს და ექსისტენციალიზმის წინამორბედს ს. კირკეგორს. დ. ტ. სუძუკი ძენ-ბუდისტური პრინციპების დემონსტრირების დროს ხშირად ეყრდნობა და იმოწმებს როგორც ერთს, ასევე მეორეს. ექსისტენციალისტური მსოფლმხედველობის კ. იასპერსისეული მოდელი მისთვის მეტად ახლობელი აღმოჩნდა, რამდენადაც მისი ამოსავალი დებულებები ეხმაურება ბუდიზმის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო და ორიგინალური შტოს ძენ-ბუდიზმის მსოფლგაგებას.

დ. ტ. სუძუკი კარდინალური ფილოსოფიური პრობლემების ანალიზის დროს ცდილობს დაეყრდნოს ძენ-ბუდისტურ თვალსაზრისს და დაიმოწმოს

დასავლური მიმდინარეობებიდან ექსისტენციალისტური სახელმძღვანელო დებულებები. ასევე კ. იასპერსი თავისი ექსისტენციალური მოძღვრების აგების დროს იყენებს აღმოსავლური ფილოსოფიის, კერძოდ, ბუდიზმის ღრმა ცოდნას და უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტისას სოლიდარობაშია ქენ-ბუდისტურ პოზიციასთან.

წინამდებარე ნაშრომში ნაცალია დ. ტ. სუძუკის და კ. იასპერსის მსოფლმხედველობათა ორგანული შეხების წერტილების ჩვენება, იმის ჩვენება, რომ რომელიმე ერთ-ერთის წამყვანი პრობლემის ანალიზი და გადაწყვეტა თავის ანალოგს პოულობს მეორე თვალსაზრისში. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემათა ძირითადი წრე კ. იასპერსის ექსისტენციალურ ფილოსოფიაში და დ. ტ. სუძუკის ქენ-ბუდიზმში, თუ ამ მოძღვრებებს ანთროპოლოგიური ასპექტით შევხვდებით, ერთი და იგივეა, ხოლო მათი ანალიზი და გადაწყვეტა ანალოგიური. ამასთან უნდა ითქვას, რომ საერთო პრობლემების მრავალფეროვნების გამო მათი განხილვა აქ მთელი სისრულით შეუძლებელია. აქ შევეცდებით გამოვეყოთ მხოლოდ ტიპური ხასიათის რამდენიმე რადიკალური პრობლემა, რომელთა ანალიზითაც შეიძლება ზემოთ გამოთქმული დებულების სისწორის ჩვენება. აქვე შეიძლება მივუთითოთ იმ გარემოებაზეც, რომ ქენ-ბუდისტური თვალსაზრისი რომელიმე პრინციპის შესახებ შეუღებულად უფრო მარტივი და ნათელი ენით არის გადმოცემული, ვიდრე იგივე საკითხებზე ექსისტენციალისტური თვალსაზრისი, რადგან ექსისტენციალისტური ფილოსოფიის ენა როგორც ცნობილია, მათ ავტორთა ხელოვნურ და უჩვეულო ტერმინებითაა დამძიმებული. ამასთან ორივე მსოფლმხედველობისათვის საერთო ნიშანია კვლევა-ძიების ლოგიკურ-მეცნიერული მეთოდების იგნორირება, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნის ამ მოძღვრებათა ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციისათვის.

დ. ტ. სუძუკის აზრით, ქენის მოძღვრება არის უნიკალური და ორიგინალური აღმოსავლეთის რელიგიურ და ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მოძღვრებათა ისტორიაში. იგი საერთოდ საფუძვლად უდევს აღმოსავლურ კულტურას, აღმოსავლურ აზროვნებას. ქენი, ერთის მხრივ, შეიძლება მივაკუთვნოთ ეზოტერულ მოძღვრებათა რიცხვს და მეორეს მხრივ, არც არის ასეთი. ერთის მხრივ, ქენის პრინციპი მოჩანს როგორც სპეკულატურული მისტიციზმი, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი არც შეიძლება ჩაითვალოს ასეთად. დ. ტ. სუძუკი ცდილობს აჩვენოს, რომ ქენი არ არის მისტიური მოძღვრება. იგი განიხილავს მისტიციზმის სხვადასხვა სახეს: ოკულტისტურს, ირაციონალურს, რაციონალურს, ფანტაზიურს და სხვას. ქენი არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ერთ მათგანს, მაგრამ ქენი აღმოსავლური მიმდინარეობაა და დასავლეთის აზროვნებასთან მიმართებაში მოსჩანს როგორც მისტიციზმი.

ქენი დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისია დასავლური, ევროპული აზროვნებისა, ფიქრობს დ. ტ. სუძუკი. დასავლური აზროვნებისათვის სპეციფიკურია სწორედ ლოგიკურობა, მეცნიერული, ცნებითი კვლევა-ძიების მეთოდები: ლოგიკური ანალიზი არაარსებითი წვრილმანების აუცილებელი გათვალისწინებით, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდით ზედმეტი ვატაცება, არაარსებითი მომენტების სინთეზირება და სხვა. აღმოსავლური გონება არსებითად სინთეზურია. იგი გადაჭარბებით არ უყურებს არაარსებითი მომენტების არსებობას და მიმართულია უმთავრესი, უარ-

სებითესი საკვლევისადმი, რათა ადამიანი ინტელიციით ჩაწვდეს მთლიანს, ძირითადს, ფუნდამენტურს. ძენის მოძღვრებაში ამიტომ ყველაზე რეალური არის ყველაზე აბსტრაქტული და პირიქით, ყველაზე აბსტრაქტული არის ყველაზე რეალური [6, გვ. 5]. აღმოსავლური გონება ამის გამო, შეიძლება ითქვას, არის მოუხელთებელი. (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ტ. სუძუქი ახლაც და სხვა მსჯელობების დროსაც გონებისა და განსჯის ცნებებს ხმარობს ერთი და იგივე მნიშვნელობით, როგორც სინონიმებს. იგი არ ითვალისწინებს იმ პრინციპულ განსხვავებას, რასაც სათავე დაუდო კანტმა ამ ორი ცნების დადგენის დროს. რასაკვირველია, დ. ტ. სუძუქი მკვეთრად ასხვავებს აღმოსავლურ და დასავლურ გონებას, მაგრამ შეიძლება ამ მსჯელობებისას გონების მაგივრად სიტყვა განსჯა იხმაროს). აღმოსავლური აზროვნება, გონება ადვილად შესათვისებელი, გასააზრებელი არ არის. მასში არ არის ინდექსი, რითაც მისი შინაარსი უცბად გასაგები გახდებოდა სხვა ადამიანისათვის. მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს „რალაცასთან“, რაც არ შეიძლება იგნორირებული იყოს, მაგრამ რაც ზელიდან გვიჭრება მაშინ, როცა მის მოხელთებას შევეცდებით. მოუხელთებლობა, არაფიქსირებადობა და ამავე დროს არსებითობა აღმოსავლური აზროვნების ბუნებაა.

აღმოსავლური აზროვნების პრინციპული განსხვავება დასავლური აზროვნებისაგან ჩანს იმაშიც, რომ დასავლეთის მოაზროვნისათვის საგანი ან არსებობს ანდა არ არსებობს. იმგვარი მტკიცება, რომ რაიმე არსებობს და ამავე დროს არც არსებობს მისთვის შეუძლებელია. ჭეშმარიტებისადმი ანტითეზური მიდგომა დასავლეთისთვის გაუგებარია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დასავლური აზროვნება ტრიალებს წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკური კანონის ბატონობის სფეროში. მისთვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებიდან ან ერთია სწორი ანდა მეორე, თეზისი და ანტითეზისი არ შეიძლება ერთდროულად ჭეშმარიტი იყოს. საერთოდ, დაპირისპირებულ მხარეებს დასავლეთი მკვეთრად არჩევს და გადაჭარბებთაც აფასებს კიდევ. მაგრამ იგი ვერ გრძნობს ამავე დროს ამ დაპირისპირებულ მხარეების საერთო საფუძველს, ძირს; ვერ გრძნობს, რომ ანტითეზური, „დიალიქტიკური“, მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეთა სფეროში დარჩენილი აზროვნება, არის ნაკლოვანი, უკმარი, მხოლოდ მისი საშუალებით ვერ მოიპოვება მთლიანადამიანური არსება და საძიებელი ფილოსოფიური ჭეშმარიტებები, ძენის ჭეშმარიტებები.

დასავლური აზროვნების მიხედვით ასეა: არსებობს წარმოშობა-მოსპობა, დაბადება-სიკვდილი, საწყისი-დასასრული, კეთილი-ბოროტი, ჭეშმარიტი-მცდარი და ა. შ. დასავლეთელი მოაზროვნე, ვთქვათ ქრისტიანი ადამიანი, იტყვის რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი, რომ დასაწყისში იყო ღმერთი, „სიტყვა“, შემდეგ გაეჩნდით ადამიანები, ყოველგვარი არსებულები. ადამიანს, როგორც დასაწყისის მქონეს, აქვს დასასრულიც. იგი განწირულია სიკვდილისათვის. დასავლური აზროვნებისთვის დაპირისპირებული მხარეები გამოირიცხავენ ერთმანეთს. მისთვის არ შეიძლება ითქვას, რომ რაიმე არსებობს და ამავე დროს არც არსებობს. აღმოსავლური გონება ამის საწინააღმდეგოდ იტყვის, რომ ადამიანები არც არასოდეს არ დავბადებულვართ და არც არასოდეს არ მოკვდებით. არ არსებობს დასაწყისი და დასასრული, დაბადება და სიკვდილი. არ არსებობს შემოქმედი ღმერთი, არ არსებობს „სიტყვა“, შემოქმედება (კრეატურა) და ა. შ. დ. ტ. სუძუქი შემდეგ ამაფრებს ამ მსჯელო-

ბას და დასძენს, რომ ძენის მიხედვით არ არსებობს არც რაიმე, არსებული და არც არარსი, სიცარიელე, ხოლო ამის მომსმენი დასავლეთელი აღელვებით წამოიძახებს: ეს ხომ უაზრობაა! ეს ხომ სისულელეა! რაზედაც აღმოსავლეთელს შეუძლია უპასუხოს „მართალი ბრძანდებით, რამდენადაც საერთოდ არსებობს „აზროვნება“ ჩვენ არ შეიძლება გავექცეთ დილემას ან აბსურდთა უძირო უფსკრულს“ [6, გვ. 38].

დ. ტ. სუტუკის ამგვარმა მსჯელობამ მართლაც შეიძლება მსმენელის კანონიერი გაცემა გამოიწვიოს. ამ მსჯელობაში არ მოჩანს რაიმე მყარი, რაიმე საიმედო, ლოგიკური საფუძველი, დაკავებული პოზიციის გამამაგრებელი საიმედო არგუმენტები, ეს მჯელობა არც რაიმე სხვა დებულებიდან გამომდინარეობს და არც მოითხოვს სხვა რაიმე თეორიულ პრინციპთან კავშირს. საქმე ისაა, რომ დ. ტ. სუტუკი აქ თეორიულ-საგნობრივი აზროვნების სიბრტყეზე კი არ მსჯელობს და სათანადო ლოგიკური არგუმენტების მოშველიებას კი არ ცდილობს, არამედ უნდა საცნაური, საგრძნობი გახადოს ძენ-ბუდიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, ადამიანური ყოფის ერთ-ერთი სპეციფიკური, ფუნდამენტური ვითარება: სუბიექტ-ობიექტზე დამყარებული შემეცნებითი პროცესი არ არის ერთადერთი პროცესი და იგი ვერაფრით ვერ ამოწურავს ადამიანის მთლიან, შინაგან ბუნებას. თეორიული აზროვნების სიბრტყეზე მყოფი სუბიექტ-ობიექტის მიმართება თვითონაა აღმოცენებული და დამყარებული ამ გაყოფამდელ, წინარე სუბიექტ-ობიექტამდელ ერთიანობაზე. სწორედ მასშია ადამიანის თავდაპირველი ერთიანობა, სწორედ მისკენაა მიმართული ძენ-ბუდიზმის კვლევა-ძიების მხერა.

დასავლური აზროვნება თეორიულ-ლოგიკური აზროვნებაა. იგი სუბიექტ-ობიექტად დაშლილი შემეცნებითი პროცესია. ამგვარ აზროვნებას, წერს დ. ტ. სუტუკი, შეიძლება **ობიექტური** აზროვნება ვუწოდოთ, რამდენადაც ამგვარი აზროვნებიდან წარმომდგარი მსჯელობები თეორიული სუბიექტის, რაციონალური გონების მსჯელობებია. აქ ვერც ერთი კითხვა თუ პრობლემა ვერ ცილდება რაციონალური აზროვნების სიბრტყეს და პასუხად ისევ თავისგვარ, თეორიულ, ცნებითი ხასიათის მსჯელობებს მოითხოვს, მოელის. ამგვარი მსჯელობების დროს თეორიული სუბიექტი ყოველთვის სახეზეა და მიმართულია შემეცნების ობიექტზე. ეს სუბიექტი რაციონალურ ობიექტურ აზროვნებას ყოველთვის თან ახლავს და ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს თუ რა უშორეს ობიექტებზე შეიძლება იყოს მსჯელობა. უშორესი საგნებიც კი ვერ აღქმებენ შემეცნებელი სუბიექტის სახეზე ყოფნას. რაგინდ დაშორებულ ობიექტებზეც არ უნდა იყოს მსჯელობა, შემეცნებელ სუბიექტს არ შეუძლია მთლიანად გაქრეს, სახეზე მყოფი არ იყოს. აღმოსავლური აზროვნება, რასთანაც ძენ-ბუდიზმს აქვს საქმე, არ არის ჩვეულებრივი სუბიექტ-ობიექტად გათიშული აზროვნება. აღმოსავლური აზროვნება მიგვანიშნებს იმაზეც, რომ ამგვარ აზროვნებაში მოაზროვნე თვითონ იკარგება. აქ შემეცნებელი სუბიექტი, რაციონალური სუბიექტის სახით, აღარ ფიგურირებს, იგი აღარ არის სახეზე არსებული. სწორედ ამიტომ, ფიქრობს დ. ტ. სუტუკი, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლურ გონებას არ ახასიათებს „აზროვნება“. მას არ შეუძლია არც მტკიცება რაიმესი და არც რაიმეს უარყოფა. მას არ შეუძლია რაიმე კითხვაზე თქვას „ხო“ ანდა „არა“. ასეთ შემთხვევაში ყველაზე სწორი იქნებოდა ორივე პასუხის, „ხო“ და „არა“ უარყოფა, ანდა პასუხისგან თავშეკავება. წამოჭრილ კითხვებზე პასუხის არიდება ხდება თეორიული შემეცნებითი

ეკრანის უკმარისობის მიმნიშნებელი. დ. ტ. სუძუკი აქ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღმოსავლური აზროვნებისთვის მოაზროვნე და აზროვნება ერთი და იგივეა, რაც შინაგანი ცდის მთლიანობის მაჩვენებელია. მხოლოდ მტკიცება, „ხოს“ თქმა, ანდა უარყოფა, „არას“ თქმა, ამ შინაგანი ცდის მთლიანობის გაყოფა იქნებოდა.

დ. ტ. სუძუკის მიერ წამოყენებული ძენ-ბუდიზმის პრინციპი შემეცნების შინაგანი მთლიანობის, სუბიექტ-ობიექტად გაყოფამდელი წინარე ერთიანობის შესახებ თუ იგივეობრივი არა, საოცრად მსგავსია კ. იასპერსის და მ. ჰაიდეგერის მსჯელობებისა შემეცნებითი სუბიექტ-ობიექტის წინარე არავითარშეულობის ე. ი. ერთიანი ექსისტენციალური ძირის შესახებ, საიდანაც შემდეგ ხდება სუბიექტ-ობიექტად გაყოფა-გათიშვა (Spaltung). სწორედ ეს პრინციპი არის ერთ-ერთი ამოსავალი დებულება, რითაც ძენ-ბუდიზმი და კ. იასპერსის ექსისტენციოლოგია ერთმანეთს ენათესავენ.

ამგვარად, ძენ-ბუდიზმის მოძღვრებისათვის უმთავრესია არა თეორიულ-შემეცნებითი აზროვნება, არა „ცნებებით აგებული კონცეპტი“ არამედ პირადი, შინაგანი, სულიერი გამოცდილება. სწორედ ეს პირადი ცდა არის ადამიანისათვის ყველაფერი. ამიტომაც არა აქვს დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა თეორიულ სწავლებას, საღმრთო წერილს, სუტრებს და შასტრებს, ანდა მათ განმარტებებს ბრძენ მოძღვართა მიერ. აქ უფრო მნიშვნელოვანია არა აღიარებულ ავტორიტეტთა თეორიული შეგონებები, არამედ პირადი, სულიერი გამოცდილება.

თუ დავუბრუნდებით ძენ-ბუდიზმის მისტიციზმთან დამოკიდებულების საკითხს, შეიძლება ითქვას, რომ ძენი მისტიციზმი იმდენად, რამდენადაც იგი, მისი ჭეშმარიტებები ლოგიკურ-ცნებითი აზროვნების ჩარჩოებში ვერ თავსდება და მისით არ ამოიწურება. რამდენადაც ძენ-ბუდიზმი უარყოფს ძენის ჭეშმარიტებების ლოგიკურ-მეცნიერულ ანალიზს იგი მისტიციზმი, მაგრამ, აღნიშნავს დ. ტ. სუძუკი, რამდენადაც საბოლოოდ ძენი მოუაზრებელ, მოუხელთებელ ჭეშმარიტებებს არ ცნობს და აღიარებს მთლიანადამიანური არსების განათებას, ცდისეულ მოაზრებას, იგი მისტიციზმად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ვინც მიაღწია სულიერ განათებას, ე. ი. ეზიარა ძენ-ბუდიზმის ჭეშმარიტებებს, მისთვის ძენი მისტიციზმი აღარ შეიძლება იყოს. ძენ-ბუდიზმი მისტიციზმად მოჩანს მხოლოდ ძენის ჭეშმარიტებების უზიარებლობისთვის, ფიქრობს დ. ტ. სუძუკი. ამასთან დ. ტ. სუძუკი როგორც იაპონიური კულტურის და აზროვნების დამცველი, ერთმანეთისგან განასხვავებს ინდურ და შორეულ აღმოსავლურ მისტიციზმს: ინდოელების მისტიციზმს იგი თვლის მეტად განყენებულად, მკვრეტელობითად, ამასთან ძალიან რთულად, რომელსაც თითქოს არა აქვს ცოცხალი, ნამდვილი კავშირი ადამიანის პრაქტიკულ სამყაროსთან, „შორეულ-აღმოსავლური მისტიციზმი“ კი მას პრაქტიკულ, უშუალო, და საოცრად უბრალო თვალსაზრისად მიაჩნია. ამ „მისტიციზმს“ არ შეუძლია სხვა რამ იყოს თუ არა ძენი“, წერს იგი [6, გვ. 6].

აღმოსავლური „მისტიციზმი“ ძენის სახით არ არის ირაციონალური, წარმოსახვით-ფანტაზიური მისტიციზმი.

დ. ტ. სუძუკი მიუთითებს, რომ ძენ-ბუდიზმის დახასიათების დროს მის მიერ გამოყენებული მრავალი სიტყვა, ისეთები მაგ., როგორცაა სუბიექტური, ობიექტური, შინაგანი, მთლიანი, ცდა, საგანი, არსებული, არარსებული და ა. შ. მიეკუთვნებიან თეორიულ-მეცნიერულ აზროვნების ცნებათა

ჯაქვს, რომელთა მნიშვნელობასა და ძალმოსილებას ადამიანის ცხოვრების შესწავლის დროს აღმოსავლეთი უარყოფს. ამიტომაც მისი მსჯელობები გაუგებარნი გამოჩნდებიან. წინააღმდეგობებით სავსე იქნებიან, რაციონალურად განწყობილი დასავლეთელი შოაზროვნისათვის. ამის უმთავრეს მიზეზს დ. ტ. სუძუქი ხედავს იმაში, რომ ადამიანური ენა ყველაზე არასანდო იარაღია, ინსტრუმენტი, რაც კი დღემდე შეუქმნია ქვეყნად ადამიანს. ენა აუცილებელი საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობისა, ადამიანთა არსებობა წარმოუდგენელია საზოგადოებაში ენის გარეშე, მაგრამ მისი გამოყენების დროს ყოველთვის დიდი სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ არ უნდა დავეშვათ ყველაზე საშინელი შეცდომა — ენა არ უნდა მივიჩნიოთ თვითონ ცდად, თვითონ რეალობად, უშუალო პირად გამოცდილებად, თორემ მაშინ „მთვარე გვეგონება თითი, რომელიც მხოლოდ მიგვითითებს მთვარეზე“ [6, გვ. 41]. ენა ჰგავს ორმხრივ მახვილს, რომელიც გამოყენების დროს დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. თუ იგი ჩვენ სწორად არ ვიხმარეთ და სწორად არ გავიგეთ, მაშინ შეიძლება მისით მტერიც დავაზიანოთ და საკუთარი თავიც. ამიტომაც ბრძენი კაცი ყოველთვის ფრთხილია მის მიმართ და ანგარიშგაუწეველად არ იყენებს მას ურთიერთობის იარაღად. საქმე ისაა, ფიქრობს დ. ტ. სუძუქი, რომ ენა ყოველთვის მიისწრაფის საზოგადოებისაკენ. მისი აუცილებელი თვისებაა საგნობრივობასთან, საზოგადოებასთან კავშირი. სწორედ ამის გამო მის მიერ გამოხატული აზრი, შინაარსი უკვე აღარ არის ნამდვილი, თავდაპირველი, პირადული განცდა. ამის მაგივრად ჩვენ ხელში გვრჩება ამ შინაარსის, განცდის იდეალიზირებული, განზოგადებული და ობიექტივირებული სახე. ეს სახე მხოლოდ ინტერპრეტაციაა იმისა, რაც თავდაპირველად იყო განცდილი ინდივიდის მიერ.

საერთოდ, ჩვენი თავდაპირველი განცდები შეიძლება გამოიხატოს ორი მიმართულებით, ორი ასპექტით 1. ობიექტური, გარეთ მიმართული სახით და 2. სუბიექტური, შიგნით მიმართული სახით. დ. ტ. სუძუქი განმარტავს, რომ აქ სიტყვა „სუბიექტური“ უნდა გავიგოთ არა ჩვეულებრივი, არამედ „შინაგნობის“ აზრით. განცდათა ამ ორგვარ რიგს დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით მივყავართ. პირველ შემთხვევაში ე. ი. ობიექტური ნაკადის დროს ჩვენ ვეარდებით უსასრულო კამათში, უსასრულო ანალიზის სფეროში — ამით კი ვშორდებით საძიებელ რეალობას. ამასთან ამ დროს ენა და ინტელექტი ერთად, ურთიერთკავშირში მოქმედებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში ზდება ის, რაც უნდა მოხდეს — ვუახლოვდებით საძიებელ რეალობას, შინაგნობას. დასავლეთის ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნება სწორედ იმით ხასიათდება, რომ იგი ვატაკებულია ცნებითი ზოგადობით, სიტყვიერი საზოგადოებებით და ამით შორდება რეალობას. აქვე ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას კ. იასპერსის და დ. ტ. სუძუქის მსოფლმხედველობათა ძირითად პრინციპთა შედარების დროს: როგორც ერთისთვის, ასევე მეორისათვის ფილოსოფიური კვლევა-ძიების პროცესი მიემართება ერთი და იგივე მიმართულებით, ერთი და იგივე მიზნით. ექსისტენციულოგიის ონტოლოგიური სტრუქტურის მიზანს შეადგენს ყოფიერების რაობის გარკვევა, იმის გარკვევა, რაც ყოფიერების ჩვენთვის ცნობილ სამ სფეროს ფარულად უდევს საფუძვლად (მომცველი — Umgreifende). ხოლო დ. ტ. სუძუქის ქენ-ბუდიზმში ამგვარი ყოფიერების ანალოგიურ საკვლევ მიზნად გამოდის რეალობა. ადამიანის ცხოვრების საბოლოო მიზანი სწორედ რეალობის

წვდომა, გაგება, განცდაა. ამასთან უმნიშვნელოვანესი გარემოებაა ის, რომ ორივე მოძღვრებაში საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელი გზა ადამიანის შინაგანი ერთიანი ბუნების გავლა, ადამიანის სუბიექტ-ობიექტად გათიშულობამდე არსებული წინარე ერთიანობის გამჟღავნება-გაცნობიერება. თეორიულ-ლოგიკური აზროვნებისთვის დაუნახავი ერთიანი ექსისტენციალური ძირის გამჟღავნება-დადგენა არის აუცილებელი გზა ყოფიერების, მომცველის ძიების გზაზე (კ. იასპერსი), ხოლო საძიებელ რეალობას ვერსად სხვაგან ვერ შევხვდებით თუ არა ადამიანის შინაგნობისკენ სვლით, ადამიანის თავდაპირველი გაუთიშავი ერთიანობის განცდით, წვდომით (დ. ტ. სუძუკი). ორივე შემთხვევაში მოძღვრებათა საერთო სტრუქტურა აშკარაა: მიზნად ცხადდება ონტოლოგიური პრობლემა, ხოლო ამ პრობლემის გადაჭრისათვის გზად გამოცხადებულია ადამიანის ბუნების, არსების ანთროპოლოგიური პრობლემა.

რადგან რეალობის ნამდვილი აზრი მხოლოდ „შინაგნობისკენ“ სვლით მოიპოვება, ხოლო თეორიულ-მეცნიერული კვლევა ობიექტური აზროვნების სიბრტყეზე იშლება და შორდება „შინაგნობას“, ამიტომ აღმოსავლური აზროვნებისათვის თეორიული კვლევა-ძიება, სჯა-ბაასი კი არ არის დამახასიათებელი, არამედ ზედმეტი მსჯელობა-კამათისაგან თავშეკავება, **დუმილი**. უნდა აღინიშნოს, რომ ძენ-ბუღიზმის მიერ წამოყენებული დუმილის, თავშეკავების, აულელვებლობის, სიმშვიდის პრინციპი თავისებური მნიშვნელობისაა. იგი არავითარ შემთხვევაში არ უღრის ადამიანის უდარდებლობასა და უმოქმედობას. იგი არ არის უეცარი უღაბნოს უსიცოცხლო დუმილი, სიწყნარე ანდა „ცხენდართა სამარისებური სიჩუმე“. ძენის მოძღვრებაში აღიარებული სიჩუმე არის დუმილი „უძირო უფსკრულისა“, რომელშიც ქრება ყოველგვარი განსხვავებულობა, კონტრასტულობა და პირობითობა. დ. ტ. სუძუკი წერს, რომ ეს „უძირო უფსკრულის“ დუმილი გავს „ქუხილის წინარე სიჩუმეს“, იმ სიჩუმეს, რაც წინ უძღვის ვულკანის ამოფრქვევას. ამ დუმილში დაფარულია ვულკანის აქტიურობა.

ამ დუმილის ფარული აზრი არის ის, რომ მასში საქმე ეხება მუდმივად მარადიულს.

დ. ტ. სუძუკი მოითხოვს, რომ ჩვენთვის, ადამიანთათვის უმთავრესი ამოცანაა „გამოვიღვიძოთ ღრმა ძილისაგან“ და შევიძინოთ ახალი ცხოვრების წესი იმით, რომ მივმართავთ თავდაპირველ, შინაგან ცდას, აზრის აღმოსავლურ სახეს, აღმოსავლურ „აზროვნებას“. მხოლოდ მისი მეშვეობით არის შესაძლებელი მივალწიოთ საძიებელ რეალობას. რეალობის გაგება-განცდისათვის საჭიროა არა ინტელექტი ანდა გრძნობა, არამედ ცოცხალი ინტუიცია. შინაგნობა სავსეა სიცოცხლით, ცხოვრებით. ის იგივე რეალობაა. „შინაგნობა“ ანუ რეალობა არის ადამიანის თავდაპირველი მთლიანობის გამომხატველი ერთიანობა. შინაგანი კონკრეტული განცდები განიცდება სწორედ ამ რეალობაში ცოცხალი ინტუიციით და არა ინტელექტის დონეზე, თეორიულ-ლოგიკური აზროვნების სიბრტყეზე, ინტელექტის ზედაპირზე. დ. ტ. სუძუკი ამ ინტუიციას განასხვავებს გრძნობადი ინტუიციისაგან, აგრეთვე ინტელექტუალური ინტუიციისაგან. ეს უკანასკნელი ორი პირველისაგან განსხვავდება არსებითად იმით, რომ ისინი მაინც მიეკუთვნებიან ობიექტური აზროვნების სიბრტყეს და მოითხოვენ რაიმე დაპირისპირებულს სუბიექტისადმი. ხოლო ამ ცოცხალი ანუ „**ექსისტენციალური ინტუიციის**“ დროს არ არსებობს არც ობიექტი და არც სუბიექტი რეალური აზრით, წერს დ. ტ. სუძუკი. ექსისტენციალური

ინტუიციის დროს გვაქვს აბსოლუტური ყოფიერება და მხოლოდ აბსოლუტური ყოფიერება, რომელიც მალა დგას ყოველგვარ განსხვავებულობაზე, ყოველგვარ ამა თუ იმ ობიექტის გამოხატველ ცნებაზე, კატეგორიაზე. ექსისტენციალური ინტუიციის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ვლინდება რაიმე მიმართულებით, რაიმე გარკვეულ სიბრტყეზე, სფეროში. იგი, თუ შეიძლება ითქვას, არის აბსოლუტური ყოფიერება ასახული თავის თავში. მთელი სამყარო თავისი მრავალფეროვნებით არის შედეგი ამ ინტუიციის გამოვლენისა, აღნიშნავს დ. ტ. სუძუკი. ამ დებულებასთან დაკავშირებით დ. ტ. სუძუკი იხსენებს მისთვის დიდ ავტორიტეტს ევროპული ფილოსოფიიდან — მაისტერ ეკჰარტს: „ყოველივე დაიბადა ჩემს დაბადებასთან ერთად, მე დავბადე ჩემი თავი და ყოველივე საგანი. ჩემს ხელშია ჩემი და ყველა სხვა საგნის ბედი“. აქვე იხსენებს დ. ტ. სუძუკი ბუდას სიტყვებს: „მიწაზე და ცაზე მე ვარ ერთადერთი თავყანისცემის ღირსი“. ექსისტენციალური ინტუიციის წვდომას აქტი, უფრო ზუსტად, ამგვარი ინტუიციით რეალობის შეხების აქტი არის დაბადება. მისით ჩნდება ყოველივე — მიწა, ცა, სამყაროს მრავალფეროვნება და სხვა — მაგრამ ყოველივე ეს გაუგებარია ინტელექტის მოქმედების სფეროში იმის გამო, რომ ექსისტენციალური ინტუიცია დიალექტურულად საწინააღმდეგოა ინტელექტუალური ინტუიტივიზმისა.

ამგვარად, ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა თეორიულ-ლოგიკური ჭეშმარიტებების სფეროში დარჩენას, არა „ცნებითი კოშკების“ შენებას, არამედ ექსისტენციალურ ინტუიციის აქტს, ამ აქტის მეშვეობით იღუმალის რეალობის წვდომას. ადამიანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირად გამოცდილებას, რომელიც არის მისი სულიერი ცხოვრების ფუნდამენტი. სწორედ ამ ფუნდამენტზეა დაშენებული ადამიანთა მთელი სიტყვიერი და ცნებითი ცოდნის შენობა. მართალია ცალკე აღებული თვით ეს შენობაც შეიცავს იღუმალის რეალობის მიღწევის თავის საშუალებებს, მათ მიანც აქვთ ხელოვნური ხასიათი. ეს ხელოვნურობა აშკარად მქალავდება მაშინვე როცა ამ შენობას ვაქცევთ უმაღლეს რეალობად. ეს შენობა ხელოვნურია და ხელს უშლის ადამიანს თავისი ჭეშმარიტი ფუნდამენტის გამყლავებაში. სწორედ ამ ფუნდამენტის გაუაზრებლობის გამო მიაჩნიათ ძენ-ბუღიშვილი მისტიკურ მოძღვრებად. ვისაც არა აქვს გაგებულო და გადამწყვეტილი ცხოვრების ცენტრალური პრობლემა, მას არ შეუძლია ძენ-ბუღიშვილში მისტიციზმი არ დაინახოს, მაგრამ ის ვინც აღწევს ძენის „ფუნდამენტამდე“ მისთვის მისტიციზმი ვაქრება და მის ადგილს იჭერს განათლება, სულიერი განათება, რაც ძენის ენაზე **სატორად** იწოდება.

მთავარია ადამიანმა მიიღწიოს თავის შინაგან მთლიანობას. ამის შემდეგ გახდება მთელი სამყარო და მისი პირადი ცხოვრებაც სხვა შეფერილობის, ნამდვილი საზრისის მქონე. ამ საქმეში კი ინტელექტი ვერ გვიწევს დიდ სამსახურს. მას შეეყვაროთ „ულრან ტყეში“, მაგრამ არ გვიჩვენებს იქიდან თავის დაღწევის გზას. ლოგიკამ ჩვენ გვაქცია ისეთ „მშიშობად“, რომ უყოყმანოდ ემორჩილებით მის ბრძანებას, კანონებს. ჩვენ არ ვცდილობთ გადავლახოთ ლოგიკის ფარგლები უბრალოდ იმის გამო, რომ ეს შეუძლებელი გვგონია. სინამდვილეში კი ნამდვილი უმაღლესი საზრისის მქონე ჭეშმარიტებები არიან ლოგიკურ-თეორიული მსჯელობების ფარგლებს გარეთ, თეზისისა და ანტითეზისის, მტკიცებისა და უარყოფის საზღვრებს გარეთ. ადამიანები თავიდანვე შეჩვეულნი ვართ, ფიქრობს დ. ტ. სუძუკი, „ლოგიკურ დუალიზმს“.

ლოგიკურ ჯაჭვს, ჯერ ემორჩილებით მას და შემდეგ ვერაფრით ვერ მოგვიშორებია ის, რაც ჩვენ თვითონ მოვიხვეით თავს.

ძენ-ბუღისმის პათოსი მიმართულია ინტელექტის, მეცნიერების სამეფოს წინააღმდეგ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამოც: საქმე ისაა, რომ ადამიანის ინტელექტი, ძენ-ბუღისმის მიხედვით, თვითონვე იქმნის ილუზიას თითქოს იგი თავისუფალი იყოს, მაშინ როდესაც თავისი საკუთარი ბუნების მიხედვით არათავისუფალია. ინტელექტს შეცდომით გონია, რომ იმის გამო თუ კი იგი რამდენიმე შესაძლებლობიდან რომელიმეს აირჩევს, უკვე თავისუფალია. უნდა ითქვას, რომ ინტელექტს მართლაც მრავალგვარი არჩევის შესაძლებლობა და უნარი აქვს. მაგ. იგი სწავლობს სამყაროს, ბუნების, სიცოცხლის უთვალავ მოვლენებს და სავნებს, ახდენს მათზე დაკვირვებას. მაგრამ ყოველივე ეს ინტელექტის თავისუფლების მომასწავებელი კი არ არის, არამედ მისი არათავისუფლების. ამ ვითარების არსი ისაა, რომ ინტელექტი ამგვარი არჩევის დროს აუცილებელი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ბატონობის ქვეშ ექცევა. ინტელექტის უნარი იმისა, რომ აწარმოოს ანალიზი, დანაწევრება, სინთეზი და ა. შ. სინამდვილეში წარმოადგენს თვითმკვლელობას. ინტელექტი ამ გზით ახორციელებს თვითმკვლელობას და სწორედ ამითვე აღწევს თავისუფლებას. საწინააღმდეგო მხარეებიდან რომელიმეს არჩევა ჯერ კიდევ არ არის თავისუფლება, რადგან ამ დროს ადამიანი კვლავ რჩება დაბრკოლების, წინააღმდეგობის წინაშე. თავისუფლება, ჭეშმარიტი აზრით გაგებული კი გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც ადამიანი თავის გზიდან იშორებს ყოველგვარ დაბრკოლებას. ადამიანი ყოველგვარი წინააღმდეგობიდან უნდა იყოს თავისუფალი, რაც ნიშნავს მის „აბსოლუტურ თავისუფლებას“. ინტელექტი თავისი მოქმედების სამეფოში, როცა აწარმოებს ანალიზს და სინთეზს, შეფარდებითად, ფარდობითად თავისუფალია. იგი ამ დროს შემოსაზღვრულია რადგან იგი მსჯელობს, მსჯელობა კი არის საკანთა შეპირისპირება, დასტური ან უარყოფა. ამით კი წარმოიშობა ინტელექტის თვითშეზღუდვა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გამორიცხვა. საკანთა და სიცოცხლის მოვლენათა მრავალფეროვნებიდან რომელიმეს არჩევა — აქ შედის ავრეთვე რაიმე აზრობრივი პრინციპის არჩევაც — მხოლოდ შეზღუდული თავისუფლებაა და არა აბსოლუტური. ადამიანის სულისთვის კი უდიდესი მისწრაფებაა სწორედ აბსოლუტური თავისუფლება. ამაშია მისი სიმშვიდე და ბედნიერება. ადამიანის სული მიესწრაფის ამ აბსოლუტურ თავისუფლებას. იგი გამჟღავნებით ამ სწრაფვაშია. ამ მისწრაფების დროს სული „კენესის და ჩვენ გვესმის ეს კენესა“. ჩვენ გვესმის ეს წუხილი, მაგრამ ვერ ვაღწევთ თავისუფლებას. ეს კი შესაძლოა, თუმცა ძალიან ძნელად. შესაძლებელია ნამდვილი, აბსოლუტური თავისუფლების მიღწევა, უმაღლესი თვითდამკვიდრების, უმაღლესი მტკიცების მიღწევა, რომლის დროსაც უარყოფასა და მტკიცებას, დაპირისპირებებს შორის აღარ არსებობს წინააღმდეგობა. მხოლოდ თვითგაიგივების, თვითიდენტობის, თვითდამკვიდრების ძენ-ბუღისტურ ლოგიკას შეუძლია მისცეს ადამიანის სულს ის, რასაც იგი შინაგანად ასე დაჟინებით ესწრაფვის, ფიქრობს დ. ტ. სუძუკი. ინტელექტზე ამაღლებული ადამიანის სული განათების მიღწევის შემთხვევაში აღარ უარყოფს მიზეზ-შედეგობრივ განპირობებულობებს, კავშირებს. იგი როგორც სულიერად ამაღლებული, განათებული და თავისუფალი, მიზეზობრიობის კანონს, კარმის სამეფოს, იქნება იგი ფიზი-

კური თუ მორალური ხასიათის, კი აღარ უარყოფს, არამედ მასთან თანხმობა-შია და „ისინი მიდიან ერთი გზით“.

დ. ტ. სუძუკი ადამიანს აღარებს გეომეტრიულ წერტილს, რაზედაც გადაიკვეთება ანუ რაც თავს უყრის სამ მთავარ ხაზს: ფიზიკურ-ბუნებრივს, ინტელექტუალურ-ზნეობრივს და სულიერს. ამ ხაზებიდან ადამიანს შეუძლია განიცადოს, შეიგრძნოს რომელიმე ხაზი სხვადასხვა ინტენსივობითა და კოორდინაციით, სამივე ხაზის ვათვალისწინებით, მაგრამ ხშირად ადამიანი ერთის ხარჯზე უშულებელყოფს დანარჩენს სხვას. ადამიანის ინტელექტს აქვს მიდრეკილება ვავიდეს თავისი მოქმედების ველიდან და მიემართოს სულიერისაკენ, რაც უღრის მის თვითმკვლელობას, მაგრამ ინტელექტს სწორედ ეს მოეთხოვება. ადამიანის ერთ-ერთი დიდი ამოცანა სწორედ ესაა, რაც უნდა განხორციელდეს მტკიცე გადაწყვეტილებით. ეს არის ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნახტომი. ამ დროს სული თუმცა მთლიანად არ უარყოფს ინტელექტს, მაგრამ იგი გონებაზე მაღლა დგება და ახდენს თვითგამორკვევას.

ინტელექტის ანუ კანტის სიტყვებით „საერთო, საზოგადო ცნობიერების“ სფეროს გადალახვით ადამიანი აღწევს სულიერ თვითცნობიერებას, რომელიც ცნობიერების განსაკუთრებული სახეა. სწორედ ამგვარი თვითცნობიერებაა ის თავდაპირველი ერთიანობა, სადაც აღარა გვაქვს ადამიანის სუბიექტ-ობიექტად დაყოფა, გაორება იმად, რაც ინტუიტიურად იმეცნებს და იმად, რაც ინტუიტიურად შემეცნებული ხდება.

ეს არის აბსოლუტური თვითგაიგივება, რაშიც აღარაა სუბიექტ-ობიექტად გათიშვა, მყურებელი და საყურებელი, დამკვირვებელი და დასაკვირვებელი. ამ დროს ადამიანი არის არადიფერენცირებული ერთიანობა. მართალია ჩვეულებრივი ლოგიკით რაიმე არ არის თავისი საწინააღმდეგო მაგ. თეთრი — შავი, შავი — თეთრი, მაღალი — დაბალი და პირიქით, მაგრამ ამგვარი გაიგივება ბუდისტური თვალთახედვით შესაძლებელია და სწორედ ეს „არალოგიკურობა“ ჩვეულებრივი, ტრადიციული გაგებით, მთელს ჩვენ ცდას, ცხოვრებას უღდევს საფუძვლად. მხოლოდ ამ „არალოგიკურობით“ ანუ „ირაციონალურობით“ იძენენ ადამიანები სულიერ თვითცნობიერებას.

ამგვარად, ქენ-ბუდიზმი თავის მსოფლმხედველობას აყრდნობს მეტად თავისებურ ამოსავალ პრინციპზე: ადამიანის შინაგანი ბუნება, მისი იღუმალი არსება მდგომარეობს თავდაპირველ, არადიფერენცირებულ ერთიანობაში. ადამიანის სულიერი თვითცნობიერება გვიდასტურებს, რომ იდენტურია ის. რასაც ჩვენ სუბიექტსა და ობიექტს ვარქმევთ. ამ აბსოლუტურ იგივეობაში ნახულობს ქვეყნის მრავალფეროვნება თავის საწყისს. როცა ადამიანები კავშირში ვართ ამ მრავალფეროვნებასთან, ქვეყნის მოვლენათა სიმრავლესთან, ჩვენ არ შეგვიძლია მისი ბატონობისაგან განთავისუფლება, მაგრამ როცა ვმადლდებით სულიერი განვითარების გზით და ვაღწევთ სულიერ თვითცნობიერებას, არადიფერენცირებულ ერთიანობას, მაშინ ჩვენ ვთავისუფლდებით. ჩვენ ვაღწევთ სულიერ განათებას ანუ მას, რასაც ძენის ენაზე სატორი ეწოდება. სულიერი განათების, სატორის მიღწევა არ ნიშნავს სხვათაშორის აღამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფას, რასაც ხშირად მიაწერენ ბუდიზმს. დ. ტ. სუძუკის აზრით, ბუდიზმი საერთოდ და აგრეთვე ქენ-ბუდიზმიც არ უარყოფს ამქვეყნიური ცხოვრების დადებით მხარეებს, ნეტარებებს. იგი არ ქადაგებს ასკეტიზმს, ცხოვრებისაგან განდგომას. ამგვარი შთაბეჭდილება

ჩნდება მხოლოდ იმის გამო, რომ ბუდიზმი აქცენტს აკეთებს ადამიანის სულიერი ცხოვრების აღმავლობაზე, სულიერ სამყაროზე. ადამიანის მთელი ცხოვრება უნდა დაქვემდებარებული იქნეს სულიერი ცხოვრების სამყაროსადმი, მოუწოდებს ბუდიზმი. მხოლოდ საწინააღმდეგო შემთხვევაში უარყოფს იგი ამქვეყნიურ ცხოვრებას. ბუდიზმის და ძენ-ბუდიზმის მიხედვით, იმ ქვეყნის სიდიადე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, უფრო ნაკლებია, ვიდრე თვითონ ადამიანის სიდიადე. ქვეყნად არა არის რა ადამიანზე ამაღლებული. ადამიანის სიდიადე არის ყველაზე მეტი რაც ქვეყნად არსებობს. იმ ქვეყნის სიდიადე, რასთანაც ჩვენ საქმე გვაქვს, ჩვენივე სიდიადით არის აზრდებული, განპირობებული, ფიქრობს დ. ტ. სუძუკი. ხოლო ჩვენი სულიერი სიდიადე შეიგრძნობა მხოლოდ მაშინ, როცა ვაღწევთ სულიერ თვითცნობიერებას და შის შუქში განვიხილავთ ყველაფერს. ბუდას მიერ ნათქვამი ზემოთ მოყვანილი სიტყვები სწორედ ამ ვითარების გამომხატველია. სწორედ მან განიცადა პირველად და ყველაზე მძაფრად ადამიანის სულის ეს მისწრაფება. ბუდას მიერ გაცნობიერებული ეს ღირსება, სიდიადე ჩადებულია, ბუდობს თითოეული ადამიანის შინაგან სამყაროში. მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი და მრავალგვარი წამების, ძიების, გონებრივი და ზნეობრივი წინააღმდეგობების გადალახვით.

როგორც ვხედავთ, ლოგიკისადმი, რაციონალურ-მეცნიერული შემეცნებისადმი დამოკიდებულება ძენ-ბუდიზმში და კ. იასპერსის ექსისტენციალიზმში ძირითადად ერთი და იგივეა, ანალოგიურია. ისინი ანალოგიურნი არიან თავისი შინაარსით, როგორც ერთიანი მსოფლმხედველობის სტრუქტურული ელემენტები და აგრეთვე როგორც ერთი და იგივე ფუნქციისა და მიზანდასახულობის მატარებელნი. არც კ. იასპერსის ექსისტენციალიზმში და არც დ. ტ. სუძუკის ძენ-ბუდიზმში ლოგიკურ-მეცნიერული შემეცნება არ არის თვითკმარი, იზოლირებული პროცესი. იგი ორივეგან, თავისი საკუთარი ამოცანის გარდა ემსახურება ექსისტენციალური აზროვნების გაშლას, ექსისტენციალურ აღმავლობას, განათებას. დ. ტ. სუძუკი ხშირად განმარტავს, რომ ლოგიკის ერთგვარი „უარყოფა“ სრულიადაც არ არის ძენის უშუალო მიზანი, თვითმიზანი. ამის მაგივრად ძენს სურს აჩვენოს რომ ადამიანის იდეალური, შინაგანი ბუნების გახსნისათვის ლოგიკურ-მეცნიერული აზროვნება სრულიადაც არ არის საკმარისი და რომ მის გარდა არსებობს ადამიანის შინაგანი მდგომარეობის ტრანსცენდენტალური გამოხატულება, რაც მიუღწეველია ინტელექტუალური სიბრძნისთვის. ძენ-ბუდიზმის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი სწორედ ისაა, რომ იგი აქცენტს აკეთებს ტრანსცენდენტალურ სიბრძნეზე და არა ინტელექტუალურ შემეცნებაზე.

ძენ-ბუდიზმის მიხედვით უნდა განვასხვავოთ ორგვარი, პრინციპულად ერთმანეთისგან განსხვავებული ცოდნის სფერო: ტრანსცენდენტალური ანუ არადიფერენცირებული ცოდნა (პრაქნა) და ფარდობითი ცოდნა (ვიჟნანა).

ტრანსცენდენტალური სიბრძნე ანუ „ცოდნა“ არის ერთგვარი ყოვლის-მცოდნეობა, არადანაწევრებული ერთიანობა, რაშიც ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი და დაპირისპირებული სუბიექტი და ობიექტი. იგი არის ფარული საფუძველი ფარდობითი ცოდნისა. პირობითი, ფარდობითი ცოდნა კი არის ის, რაც ობიექტურ ცოდნად იწოდება და რაც ვადმოცემულია მეცნიერულ-ლოგიკურ ცოდნაში. მასშია სწორედ სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება. ამ ცოდნის შემოქმედია სწორედ ინტელექტი. ფარდობითი ცოდნა წარმოიშობა

ნენი „დუალისტური, დიალექტიკური“ აზროვნების სფეროში და შეიცავს როგორც სამყაროს კონკრეტულ საგანთა და მოვლენათა შესახებ ცოდნას, ასევე განყენებულ მოვლენათა შესახებ აბსტრაქტულ ცოდნას. თუმცა ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ ფარდობითი სახის ცოდნას თავის საფუძვლად უდევს ტრანსცენდენტალური ცოდნა, მაგრამ პირველს არა აქვს გაცნობიერებული ეს მდგომარეობა. ამიტომაც ფარდობითი ცოდნა არ ცნობს ტრანსცენდენტალურ ცოდნას და ცდილობს მხოლოდ თავის თავით დაკმაყოფილდეს. ეს კი ამაო მცდელობაა. იგი ვერ აღწევს თავის მიზანს. საქმე ისაა, რომ ადამიანი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ეძიებს არა ფარდობით ცოდნაში, არამედ ტრანსცენდენტალურში. ამ მოთხოვნილებების წყაროდ საბოლოოდ ვერ გამოდგება ფარდობითი ცოდნა, რაგინდ არ უნდა გავაფართოთ მისი სფერო. ადამიანი ვერასოდეს ვერ პოულობს ამგვარ ცოდნაში საიმედო თავშესაფარს. ინტელექტი სამყაროზე და სადღეისო პრობლემებზე, ყოველდღიურობაზე ფიქრის დროს შველის ადამიანს, მაგრამ რეალობაზე, ყოველივეს საზრისზე, ცხოვრების ცენტრალურ საკითხზე დაფიქრების დროს კი იგი უძლურია გასცეს სათანადო პასუხი — იგი პასუხთა დაუსრულებელ ნაკადში ვარდება. ადამიანი ამიტომაც ყოველთვის გრძნობს რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობას თავის სულის სიღრმეში. იგი განიცდის რაღაც სიცარიელეს, რაც ვერასოდეს ვერ შეივსება მეცნიერული თუ ფილოსოფიური ცოდნით, თუ იგი ობიექტური ცოდნის სიბრტყეზე რჩება. მეცნიერების და ფილოსოფიის სახით წარმომდგარი ფართობითი ცოდნა, რაგინდ მდიდარიც არ უნდა იყოს იგი, ვერ აკმაყოფილებს ადამიანის შინაგან, სულიერ მისწრაფებებს და მოთხოვნებს. ცოდნის ამ სახეს ყოველთვის აკლია „რალაც“, უფრო ზუსტად, ადამიანის სულს ფარდობით ცოდნაში, ყოველთვის აკლია „რალაც“, იმის გამო, რომ იგი ვერ ეხება და ვერ ამოსწურავს მთელს რეალობას. მხოლოდ ტრანსცენდენტალური ცოდნა არის შემძლე მოიცავს ადამიანის მთელი შინაგანი ბუნება, მთელი რეალობა, რომლის შედეგად ადამიანის თვალწინ მთელი სისრულით გადაიშლება სულიერი სამყაროს, ადამიანის ცნობიერების ორივე ველი — როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი.

ტრანსცენდენტალური ცოდნა ისეთი ცოდნაა, რომელსაც თავისი ბუნების მიხედვით „გაუცნობიერებელი ცოდნა“ შეიძლება ეწოდოს. იგი არადიფერენცირებულია, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის საგანთა და მოვლენათა გამოიჯვნა, განსხვავება. იგი არის ადამიანის ერთიან, ექსისტენციალურ-მთლიან-დადამიანურ იდუმალ ბუნებასთან, მთლიან რეალობასთან წილნაყარი გარკვეულობა, განათება, რომელიც ამავე დროს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმაღლესი მიზნის — სატორის — აუცილებელი ასპექტი და შემადგენელი ნაწილია. ადამიანისთვის მოულოდნელი, დაუგეგმავი სულიერი ამბლები, განათების უნიშვიათესი წამი შეუძლებელია მიღმურობის, ტრანსცენდენტურის განცდის გარეშე. სატორი იმიტომ არის ადამიანის ხელახალი სულიერი დაბადების, ამბლების წამი, რომ ამგვარი „მოქცევის“ დროს ადამიანს მიღმურობის განცდა ეუფლება. დ. ტ. სუძუკი ტრანსცენდენტური სიბრძნის, ხედვის დახასიათების დროს იმგვარ ეპითეტებს, მახასიათებლებს იყენებს, რომლებიც ზედმიწევნით მორგებულია ექსისტენცის დახასიათებისათვის. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ იგივენაირი დახასიათება ზუსტად მიესადაგება ექსისტენცს, რასაც კ. იასპერსი ადამიანის არაუშუალოდ შესამეცნებელ, ინდივიქტულ არსებად მიიჩნევს. ექსისტენცი, როგორც ადამიანის საგნობრივი



27. Wilkins A. J. A failure to demonstrate effects of the „retention interval“ in prospective memory. Unpublished manuscript.
28. Wilkins A. J. and Baddeley A. D. Remembering to recall in everyday life: An approach to absent-mindedness. In: M. M. Gruneberg, P. E. Morris and R. N. Sykes (eds), *Practical Aspects of Memory*. London and New York: Academic Press, 1978, c. 27—34.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა



პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

აღმინანი და ღირებულებათა სამყარო

ფილოსოფიური ლიტერატურის ქართველი მკითხველი (და არა მხოლოდ ქართველი მკითხველი) არ არის განებივრებული სრულფასოვანი მონოგრაფიული გამოკვლევებით თანამედროვე საზღვარგარეთულ (ბურჟუაზიულ) ფილოსოფიაზე. ეს განსაკუთრებით ითქმის თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის ისეთ გავლენიან მიმდინარეობაზე, როგორცაა ფენომენოლოგიური სკოლა (ე. ჰუსერლი, მ. შელერი, ნ. ჰარტმანი, კ. იასპერსი, მ. ჰაიდეგერი და სხვ.) და, კერძოდ, ე. წ. „ფენომენოლოგიური აქსიოლოგია“. სწორედ ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ამ ცოტა ხნის წინ გამოცემული გერონტი შუშანაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა „ღირებულების იდეალისტური გავების კრიტიკა“ (გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1987).

სარეცენზიო ნაშრომი იწყება ჰეგელისშემდგომი ბურჟუაზიული ფილოსოფიის ზოგადი სურათის აღწერით. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, ჰეგელისშემდგომი ბურჟუაზიული ფილოსოფიის სხვადასხვა მიმდინარეობებისათვის ნიშანდობლივია მკვეთრი დაპირისპირება ჰეგელისა და ჰეგელამდელი ფილოსოფიის რაციონალიზმისადმი, იმ საყოველთაოსა და ზოგადისადმი, იმ აბსოლუტისადმი, რომელიც აუქმებდა ინდივიდუალურის თავისთავად ღირებულებას. სწორედ ინდივიდზე მალა მდგომი და მისი დამომონებელი ჰეგელისა და ჰეგელამდელი ფილოსოფიის ამ აბსოლუტის (აბსოლუტური მე, აბსოლუტური გონი, სული...) წინააღმდეგ ილაშქრებდნენ სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან მდგარი ისეთი მოაზროვნეები, როგორც იყვნენ მ. შტირნერი, ს. კირკეგორი და ფ. ნიცშე.

ინდივიდუალისტურ-ანარქისტული პოზიციებიდან მ. შტირნერი მკაცრად ილაშქრებს და უარყოფს ინდივიდზე მალა მდგომ და მის გარეგანსაზღვრელ ყოველ ინსტანციასა და პრაქტიკულად ყველა ტრადიციულ ღირებულებას: ღმერთი, გონი, სული, სახელმწიფო, საზოგადოება, პარტია, მეფე, „სულთანი“, ოჯახი, ჭეშმარიტება, სიკეთე, სამართლიანობა და ა. შ. და ა. შ. ამ გზით შტირნერისეული ინდივიდი, მისი „ერთადერთი“ ცდილობს სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მოპოვებას, „თავისი საქმის“ დამყარებას მხოლოდ „საკუთარ თავზე“, მაგრამ ინდივიდის ემანსიპაციისათვის ვებრძოლი შტირნერი მეორე უკიდურესობაში ვარდება; იგი ვერ ითვალისწინებს იმ მომაკვდინებელ საფრთხეს, რაც გარდუვალად ჩნდება გარესამყაროსაგან ამ ინდივიდის სრული იზოლირებისა და მის მიერ ტრადიციულ უმაღლეს ღირებულებათა სრული უარყოფის შედეგად — მსოფლმხედველობრივი საყრდენისა და ორიენტირის გარეშე დარჩენის საფრთხეს, ნიჰილიზმის საფრთხეს, რამაც მთელი ძალით მოგვიანებით ნიცშეს ფილოსოფიაში იჩინა თავი.

რაც შეეხება ს. კირკეგორს, ჰეგელისა და ჰეგელამდელი ახალი ფილოსოფიისადმი მის დაპირისპირებას განსაზღვრავდა სწორედ ტრადიციულ უმაღლეს ღირებულებათა გადარჩენისა და რელიგიური რწმენის, ქრისტიანული რელიგიის რეაბილიტაციის მიზანი, „პირვანდელი ქრისტიანობის“ აღდგენა-აღორძინების ამოცანა; მაგრამ ზოგადისა და „ზოგადადამიანურის“ უარყოფის



გამო კირკვეორი ვერ წყვეტს თავის წინაშე მდგარ ამ პრობლემას, საზოგადოებისა და სამყაროსაგან მოწყვეტილი მისი ინდივიდი ვერც პოზიციური რწმენის საფეხურამდე ამაღლებას ახერხებს და ღმერთისაგან მოწყვეტილი, ხსნის ყოველგვარ იმედსმოკლებული ეს ინდივიდი სასოწარკვეთილებითა და აუტანელი სულიერი ტანჯვითაა მოცული.

არსებითად სწორედ ინდივიდუალიზმსა და ტრადიციულ უმაღლეს ღირებულებათა რადიკალურ უარყოფას უკავშირდება ის ღრმა მსოფლმხედველობრივი კრიზისი, რამაც მთელი ჰეგელისშემდგომი ბურჟუაზიული ფილოსოფია და კულტურა მოიცვა და რაც ნიცშემ ამ ორი ტევადი სიტყვით გამოხატა: „ღმერთი მკვდარია“. მაგრამ მძაფრი მსოფლმხედველობრივი კრიზისის გაცნობიერებასთან ერთად ჰეგელისშემდგომ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში იწყება მძიმე ბრძოლა ამ კრიზისის დაძლევისათვის, მსოფლმხედველობრივი რეორიენტაციისათვის, ახალ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე ტრადიციულ ღირებულებათა რეაბილიტაციისათვის. და, უნდა ითქვას, რომ სწორედ ერთ-ერთ ამგვარ მსოფლმხედველობრივ საფუძველად მოევიწინა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიას ჰუსერლის ფენომენოლოგია.

სათანადოდ ითვისისწინებს და გარკვეულად ემყარება რა თავისი წინამორბედების — ფენომენოლოგიური ეთიკის შორეული წინაპრის ფრ. ბრენტანოსა და ღირებულების ფილოსოფიის ფუძემდებლის ჰ. პლოტცეს მოძღვრებებს, ედ. ჰუსერლი ამავე დროს მძაფრად აკრიტიკებს მათ ფსიქოლოგისტურ მიდრეკილებებს ყველა სფეროში, მათ შორის ეთიკაშიც, როგორც ნაშრომშია ნათქვამი, ჰუსერლთან ეთიკაში ფსიქოლოგიზმის კლასიკურ სახედაა მიჩნეული ჰედონიზმი — ერთ-ერთი მიმდინარეობა ეთიკაში, რომელიც მიიჩნევს, რომ სიამოვნება და ტკბობაა ყველა ცოცხალის მისწრაფების საგანი და უმაღლესი ღირებულება და რომ თავად სიამოვნებაა სიკეთე.

წმინდა ანუ ფენომენოლოგიური ეთიკის დასაფუძნებლად ჰუსერლის ამოცანა იყო გრძნობად სფეროში, ემოციონალურის სფეროში აპრიორულის ჩვენება, იმ თავისთავადი ღირებულებების ჩვენება, რომლებიც ჩვენი გრძნობების საფუძველსა და ჩვენი მისწრაფებების საგანს წარმოადგენენ, მაგრამ, როგორც სარეცენზიო ნაშრომშია აღნიშნული, ჰუსერლმა ვერ შესძლო თავის წინაშე მდგარი ამოცანის ბოლომდე წარმატებით გადაჭრა.

თავის „მატერიალურ ღირებულებათა ეთიკაში“ ამ ამოცანის გადაჭრას შეეცადა მ. შელერი თავისებურად გაგებული ჰუსერლის ფენომენოლოგიურ მეოთხე და მყარებით. მ. შელერმა მიზნად დაისახა ეთიკის დაფუძნება არა მოვალეობაზე, როგორც ეს კანტთან იყო და რის გამოც კანტის ეთიკას სამართლიანად დებენ ბრალს ფორმალიზმში (მოვალეობის აღსრულება მოვალეობისათვის მორალური სუბიექტის მიერ თავისი პირადი გრძნობების მხედველობაში მიუღებლად), არამედ — ღირებულებებზე, გრძნობად, მატერიალურ (ე. ი. შინაარსეულ) ელემენტზე. სახელდობრ, შელერის მიხედვით, მატერიალური ეთიკის საფუძველში ძევს ობიექტური და აბსოლუტური (პოზიტიური თუ ნეგატიური) ღირებულებანი, რომლებიც უცვლელნი და წარუვალ-წარუდინებელნი არიან პლატონის იდეების მსგავსად, რომელნიც ზნეობრივი სუბიექტის მოქმედება-მოღვაწეობისა და მისწრაფების საგანს წარმოადგენენ და რომელთა შემეცნებაც ხორციელდება ემოციონალური აქტების მეშვეობით (ე. ი. გრძნობად სფეროში).

სათანადოდ აფასებს რა მ. შელერის დამსახურებას ღირებულებითი ეთი-

კის დაფუძნების საქმეში, ავტორი ამავე დროს სამართლიანად აკრიტიკებს შელერს ადამიანური ცნობიერებისაგან, კაცობრიობისაგან ამ ღირებულებათა მოწყვეტისა და მათი გააბსოლუტების გამო, ადამიანისათვის ტრანსცენდენტურ და ირაციონალურ რაიმედ მათი წარმოდგენის გამო, საბოლოო ჯამში, ამ ღირებულებათა მაფუძნებელ ინსტანციად ღმერთის გამოცხადების გამო. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ღირებულებები არც თავისთავადნი და ადამიანური ცნობიერებისთვის ტრანსცენდენტურნი არიან და არც ღვთაებრივი შემოქმედების პროდუქტი. ღირებულებანი მხოლოდ ადამიანურ ფენომენს წარმოადგენენ და „ჰომოს“ გარეშე არც არსებობენ და არც მნიშვნელობენ. ღირებულებანი ადამიანური გონის პროდუქტია, ისინი სამყაროში ადამიანის შემოტანილია, მისი დაფუძნებულია. მაგრამ ღირებულებათა ფუძემდებლები არიან არა ცალკეული ადამიანები, არა ინდივიდები, არამედ ე. წ. ადამიანური გონი, საზოგადოებრივი ცნობიერება. ღირებულებათა შემოქმედია კოლექტიური გონი, ადამიანური გვარი და ამ ღირებულებებს ძალა აქვთ ამ კოლექტივის ცალკეულ წევრებზე, ისინი მნიშვნელობენ ადამიანური გვარის ყოველი წარმომადგენლისათვის. უეჭველია, ფ. ნიცშეს მიერ ტრადიციულ უმაღლეს ღირებულებათა ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ მ. შელერისა და თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სხვა წარმომადგენელთა წინაშე აშკარად დადგა ღირებულებათა ყოველი საშუალებით გაობიექტივირება-გააბსოლუტების ამოცანა, მაგრამ ადამიანური ცნობიერებისაგან მათი სრული მოწყვეტის გამო ეს მოაზროვნენი მეორე უკიდურესობაში ვარდებიან. როგორც ითქვა, ღირებულებანი ადამიანურ ფენომენს წარმოადგენენ, ისინი ადამიანური გონის, საზოგადოებრივი ცნობიერების პროდუქტს შეადგენენ და სწორედ ამიტომ, ისინი ისტორიულად ცვალებადნი არიან თავად საზოგადოებრივი ცნობიერების ცვალებადობა-ქმნადობის შესატყვისად.

ფენომენოლოგიური ეთიკის მეორე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და მ. შელერის მატერიალური ღირებულებითი ეთიკის სისტემატური ფორმით განმავითარებელია ნ. ჰარტმანი. ნ. ჰარტმანი, ისევე, როგორც მ. შელერი ამოდის ღირებულებათა თავისთავადობიდან, ადამიანური ცნობიერებისათვის მათი ტრანსცენდენტურობიდან. მისი აზრითაც ღირებულებანი ჩვენგან (ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან) დამოუკიდებელი იდეალური საგნებია, პლატონური იდეებია; ისინი ყოველივე რეალური ყოფიერების მიღმა იმყოფებიან და მისით არ განისაზღვრებიან. პირიქით, ღირებულებანი — ეს იდეალური საგნები განსაზღვრავენ ადამიანთა ცხოვრებას, ყოველი ადამიანის ქცევა-მოქმედებას... „ღირებულება არის არხე, საწყისი, პრინციპი, რომლის წყალობითაც ყველა დანარჩენი — საქციელი, ზრახვა, ჯერარსი, მიზანი და სხვ. იღებს თავის საზრისსა და გამართლებას. რაიმე შეიძლება იყოს ღირებული მხოლოდ თავისი მიმართულების მეშვეობით თვითონ ღირებულებასთან“ (სარეც. ნაშრ. გვ. 59).

პრიორულობასთან ანუ ადამიანური გრძნობებისა და ემოციებისაგან დაშორუიდელობასთან ერთად ნ. ჰარტმანთან ღირებულება აბსოლუტურიცაა. ისტორიულად ცვალებადია, რელატიურია მართლდენ ამ ღირებულებათა შემეცნება, ღირებულებითი ცნობიერება და არა თავად ღირებულებანი, როგორც იდეალური საგნები. ასე რომ კაცობრიობის ისტორიის კვალდაკვალ ღირებულებათა ცვალებადობა, ძველ „სჯულის ფიცართა“ მარადიული მსხვრევა და ახალთა აღმართვა, მუდმივი მსოფლმხედველობრივ-ღირებულე-

ბთი რეორიენტაცია, რასაც კაცობრიობის ისტორიაში აქვს ადგილი, ნ. ჰარტმანის მიხედვით, სინამდვილეში ჩვენი ცოდნის ცვალებადობაა ღირებულებათა სამყაროს მიმართ და არა თავად ღირებულებათა მოძრაობა-ცვალებადობა. აქ ნ. ჰარტმანი მიმართავს ანალოგიას საბუნებისმეტყველო დისციპლინებთან — ისევე როგორც ჩვენი ცოდნის ისტორიული ცვალებადობა არ არყევს ბუნებისმეტყველური დისციპლინების (ფიზიკა, გეომეტრია, ფიზიოლოგია...) კანონებს, ასევე ზნეობრივი სუბიექტის მიერ ღირებულებათა რელატიური შემეცნება-ადიარება ვერაფერს აკლებს თავად ღირებულებათა თავისთავადობას და აბსოლუტურობას; — მაგრამ, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ ეს ანალოგია უმართებულოა. საბუნებისმეტყველო დისციპლინების სფერო ადამიანური სამყაროსაგან დამოუკიდებელია და, შესაბამისად, ამ სფეროში მოქმედი კანონზომიერება მართლაც უცვლელ-მარადიული და აბსოლუტურია; ღირებულებათა სამყარო კი თავად ადამიანური სამყაროა, ღირებულებანი, როგორც ითქვა ადამიანური გონის, საზოგადოებრივი ცნობიერების პროდუქტია (და ღირებულებათა სამყარო თავად წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთ გარკვეულ ფორმას) და ისინი ცვალებადნი არიან ადამიანური ცნობიერების, ადამიანური ცხოვრების პირობების ისტორიული ცვალებადობა-ქმნადობა-განვითარების კვალდაკვალ.

ამოდის რა ღირებულებათა თავისთავადობისა და აბსოლუტურობის თეზისიდან, ნ. ჰარტმანი ცდილობს ამ თავისთავადი ღირებულებების მიერ ადამიანის, ზნეობრივი სუბიექტის განსაზღვრულობა-დეტერმინაციის სურათის გააზრებას ისე, რომ მასში შესაფერისი ადგილი მიეჩინოს ყოველი ცალკეული ადამიანის, ინდივიდის თავისუფლებას. ამ კონტექსტში ნ. ჰარტმანი მკაცრად ილაშქრებს სამყაროს ფისტე-ჰეგელიანური ტელეოლოგიური ანუ ფინალურ-დეტერმინისტული გაგების წინააღმდეგ. ნ. ჰარტმანის აზრით, ზნეობას მხოლოდ იქ აქვს ადგილი, სადაც ადამიანს, ინდივიდს ღირებულებების მიმართ „აგრეთვე სხვაგვარად ყოფნა შეუძლია“. და არა ღირებულებებთან მისი ნებისყოფის სრული შესატყვისობისას, არა ღირებულებებთან ნებისყოფის სრული დეტერმინირებისას (გვ. 75) და ინდივიდის თავისუფლებისათვის მებრძოლი ნ. ჰარტმანი მრავალ საყურადღებო მოსაზრებასაც წამოაყენებს ინდივიდის ნების თავისუფლების დასაცავად (იხ. სარეც. ნაშრომის III თავის § 8 და § 9). მაგრამ ღირებულებათა გააბსოლუტებისა და ადამიანური სამყაროსაგან მისი მოწყვეტის გამო, ღირებულება-შემოქმედებით მოღვაწეობაზე ადამიანური გონისათვის, საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის უარის თქმის გამო ნ. ჰარტმანი დასახულ მიზანს ვერ ახორციელებს. ღირებულებების უცვლელ-მარადიულად წარმოდგენა და ღირებულებათა სამყაროს მოწყვეტა ადამიანური სამყაროსაგან, საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან ნ. ჰარტმანის ეთიკისა და, საზოგადოდ, ფენომენოლოგიური ეთიკის არსებითი ნაკლია. როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, ღირებულებები უცვლელ-მარადიულნი კი არ არიან და მხოლოდ ღირებულებათა შესახებ ცოდნა, ღირებულებითი ცნობიერება კი არ იცვლება ისტორიულად, როგორც ეს ფენომენოლოგიური ეთიკის წარმომადგენლებს წარმოუდგენიათ, არამედ თავად „შემეცნების ცვლილება, საბოლოო ჯამში, ყოველთვის განსაზღვრულია შემეცნების საგნის ცვლილებით“ (გვ. 96). შემეცნების საგნის ცვლილება, ანუ ღირებულებათა ისტორიული ცვალებადობა კი განპირობებულია ცვლილებე-

ბით ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავად საზოგადოებრივ ცნობიერებაში...

როგორც სარეცენზიო ნაშრომის შინაარსის ამ მოკლე გადმოცემიდან ვხედავთ, ავტორმა წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე მდგარ ძნელ ამოცანას. მის მონოგრაფიულ გამოკვლევაში საფუძვლიანადაა შესწავლილი და კრიტიკულად გაანალიზებული მართლაც რომ ხელუხლებელი თემა ჩვენში — ფენომენოლოგიური ეთიკა, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევი მიმართულებაა ეთიკაში. სავანგებოდ უნდა აღინიშნოს ჩვენში დღეს ასე საჭირო და აუცილებელ, მაგრამ დღემდე მაინც ასე იშვიათ უნარზე, რაც სარეცენზიო ნაშრომშია გამოვლენილი — დი-ალოგიურობის უნარზე, სხვისი აზრის, უცხო იდეოლოგიის მოსმენა-ჩაწვდომისა და ათვისების უნარზე. ავტორის მძიებელ თვალს მხედველობიდან არ რჩება ყოველივე დადებითი, პოზიტიური, რაც კი ფენომენოლოგიურ ეთიკაშია — იდეალისტურ ეთიკაშია წარმოდგენილი, იგი თამამად იღებს და ჩვენს ეთიკაში ნერგავს ფენომენოლოგიური ეთიკის ყოველ ჭეშმარიტ თეზისს, თუ იდეას, ყოველ ჭანსალ, რეალისტურ ელემენტს. ამასთანავე ფენომენოლოგიური ეთიკის ანტიისტორიზმისა და ანტიდიალექტიკურობის კრიტიკისას გ. შუშანაშვილი წამოჭრის და არგუმენტირებულად წყვეტს ღირებულებათა სამყაროს და ადამიანური სამყაროს ურთიერთმიმართების მრავალ საკითხს. და ამ საკითხების გადაწყვეტა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ხორციელდება ღირებულებათა სამყაროსა და ადამიანური სამყაროს მოუწყვეტელი კავშირისა და ერთიანობის ადამიანური სამყაროსათვის ღირებულებითი სამყაროს იმანენტურობის (ე. ი. შინაგანობისა და ორგანულობის) შესახებ სწორი ამოსავალი თეზისიდან.

სარეცენზიო ნაშრომისა და მისი ავტორის მიმართ გვაქვს ერთი სურვილის ხასიათის შენიშვნაც. სასურველი იყო ნაშრომის ისტორიულ ნაწილში უფრო სრულად ყოფილიყო გათვალისწინებული ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს როლი ჩვენი საუკუნის დასაწყისისა და დღევანდელ დასავლურ აქსიოლოგიაში. როგორც კარგად მოეხსენება ავტორს, სწორედ კირკეგორი და ნიცშე იყვნენ თანამედროვე დასავლური ფილოსოფიისა და კულტურის ერთ-ერთი პირველი მესაძირკვენი და როცა თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ამა თუ იმ წარმომადგენლისა და მთელი სკოლების გენეზისზე თუ წინაშობებდებზე, ფესვებზე დაისმის კითხვა, სანამ უფრო შორს დავიწყებდეთ ძიებას, სწორედ ამ მოაზროვნეებს უნდა მივმართოთ; მაინც მათ უნდა მივმართოთ, სულ ერთია, პოზიტიურ-კონსტრუქციული ფუნქცია ჰქონდათ მათ იდეებს თანამედროვე დასავლური აქსიოლოგიური თეორიების ფორმირებაში, თუ, პირიქით, ნეგატიურ-დესტრუქციული. და, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს ის ჭეშმარიტება, რომ ყველაზე უფრო ნეგატიურ-დესტრუქციული შინაარსის მოძღვრებაც კი (მაგალითად, ნიცშეს ფილოსოფია) თავისში მოიცავს ამავე დროს უდიდეს პოზიტიურ-კონსტრუქციულ ელემენტს, მძლავრ აღმშენებლობით მუხტს.

გ. შუშანაშვილის წიგნი „ღირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა“ ჩვენი არც თუ მდიდარი ეთიკურ-აქსიოლოგიური ლიტერატურის ნამდვილი შენაძნია; და მას უდავოდ ინტერესით წაიკითხავს თანამედროვე ბურჟუაზიული ეთიკისა და აქსიოლოგიის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველი.

ამათანადო კოპიაშილი



ახალი თარგმანები

პროფესორ ირიკლე ტატიშვილის მიმოხილვით

ფ. ნიშუ

სამ იტყოდ ზარატუსტრა*

სამყარო როგორც ნება

(კომენტარი „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ მეორე ნაწილისა)

„ზარატუსტრას“ კითხვისას თანდათან ნათელი ხდება ნიქსეს ონტოლოგიური მრწამსი: ზარატუსტრამ თავიდანვე მოუწოდა ადამიანებს, ყოფილიყვენ „მიწის“ ერთგულნი, რადგან ზეგრძნობადი იდეალური სამყარო უმადლესი ღირებულებებისა — ღმერთი ილუზია აღმოჩნდა. შემდეგ გაირკვა, რომ „მიწა“ რაღაც პასიური, ინერტული ნივთიერი საწყისი კი არ არის, არამედ „სიცოცხლე“, „ცხოვრება“, ახლა, განსაკუთრებით მონაცვეთში „თვითძლევისათვის“, კონკრეტდება „სიცოცხლის“ ცნებაც. ზარატუსტრა ამბობს: „ხოლო სად ცხოვრებაა, იქ ნებაცაა, ხოლო არა ნება ცხოვრებისა, არამედ —ამას გასწევი შენ — ნება ხელმწიფებისა“. ირკვევა, რომ „მიწა“, ნებაა, ნება კი ყაველთვის ნებაა ძალაუფლებისა, არის „ნება ხელმწიფებისა“.

„ნება ცხოვრებისა“, „ნება არსებობისა“ — შოპენაუერის მეტაფიზიკის ძირეული ცნებაა. ნიქსე, მსგავსად თავისი ყოფილი მასწავლებლისა, „ვოლუნტარისტია“. მაგრამ მას უკვე არ აკმაყოფილებს „ნება არსებობისა“. „ვერ მოხვედრა, ცხადია, ჰუმპირტებს, ვინც მას სტყორცნა სიტყვა „ნება არსებობისა“: ნება ესე არ არსებობს! რადგან რაც არ არის, მას არც სურვილი შეუძლია; რაც არსებობს, ვით შეუძლია მას კვლავ არსებობის სურვილი!“ — ეს სიტყვები შოპენაუერის წინააღმდეგაა მიმართული: სამყარო ძალაუფლების ნებაა და არა არსებობის ნება.

პლატონისეული ონტოლოგია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პლატონური აქსიოლოგია აქ თავდაყირაა დაყენებული. სამყაროს საფუძველში მდებარედ უკვე აღარ იგულისხმება გონისეული, მყარი, უცვლელი, იდეალური; სამყარო — „მიწა“, „სიცოცხლე“ ანუ „ნებაა ძალაუფლებისა“, ის ირაციონალურია, დინამური, მარადი ბრძოლაა სხვასთან და საკუთარი თავთან. სიცოცხლე ქმნაღობაა, ჰუმპირტად ქმნაღი და ცოცხალი კი ნიქსესთვის არის ინ დივიდი, ერთეული, „აი ეს“ და არა აბსტრაქტული იდეა. ონტოლოგიურ შემობრუნებას თან ახლავს აქსიოლოგიური შემობრუნებაც: უმადლესი ღირებულებებისა არა ზოგადი, იდეალური, უცვლელი, არამედ ინდივიდუალური, კონკრეტული, დროსა და სივრცეში არსებული, უმადლესი ღირებულებებისა ძალაუფლების ნების მქონე ერთეულ არსებულთა ბრძოლა. ღმერთის სიკვდილი, სხვა მრავალ შედეგთან ერთად, ზოგადის და რაციონალურის ღირებულების გაუფასურებასაც ნიშნავს: უნიკალურობა, ძალაუფლების ნების განუყოფელი, „ერთგვარადი“ გამოვლენა პიროვნებაში, განსჯას, ზოგად წესს დაუმორჩილებელი ქმედება ადამიანისა — აი რა არის ღირებული ნიქსესთვის, ზოგადისა და იდეალურის კულტს ცვლის ინდივიდუალურისა და „მიწიერის“ კულტი. ამ პოზიციის ჩამოყალიბებაში უკვე დადი ირლი ითამაშა გერმანელი ფილოსოფოსის უადრესად უარყოფითმა დამოკიდებულებამ მისი დროის საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მანკიერებასთან: პიროვნების ნიველირებასთან, ცხოვრების მექანიზაციასთან, სტანდარტიზაციასთან, ზოგადად რომ ვთქვათ, ადამიანის გაუცხოებასთან. ნიქსე ინდივიდის უდიდესი ქომაგია, პიროვნების ინდივიდუალობის სრულ გამოქვეყნების გზას კი ის ხელდას ყოველი არსებულისა და, მამასადამე, აგრეთვე, ადამიანის ფუნდამენტური, არსებითი მისწრაფების სრულსა და სწორ რეალიზაციაში, სხვა სიტყვებით, ისეთ რეალიზაციაში, რომლის დროსაც ძალაუფლების ნება არ უღალატებს თავის თავს, არ შექმნის მოჩვენებით იდეალურ, ზეგრძნობად სამყაროს, არ გაუცხოვდება, დარჩება თავისი თავის და „მიწიერი“ სამყაროს ერთგული.

ის, ვინც სამყაროს საფუძვლად აზრისეულ საწყისს მიიჩნევს, — გავიხსენოთ თუნდაც

* დასაწყისი იხ. „მაცნე“, 1988, №№ 1, 2, 3, 4; 1989, № 1.

ბეგლი, — ცხადია, სამყაროს ფილოსოფიური დახასიათების მიზნით მიმართავს ცნებათა სისტემას, მკაცრ დასაბუთებას, „რაციოს“ საშუალებებს. ნიკუშესთვის სამყარო ნებაა, რაციონალურია. სწორედ ეს განსაზღვრავს „ზარატუსტრას“ ფორმას, ენას, სტილს: ეს თხზულება შორსაა ყოველგვარი სისტემურობისაგან, შორსაა თეორიული ბჭობისაგან. სამყარო, რომლის ფუძე ნებაა ძალაუფლებისა, აღდეკატურად გადმოიკვება იმ ენით, რომელიც ახლოსაა ხელოვანის, პოეტის ენასთან, შემთხვევითი როდია, რომ „ზარატუსტრაში“ მკითხველი ხედება „სიმღერებს“: ჭერ კიდევ ახალგაზრდა ნიკუშე მკიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან ტრაგედიას, დიონისურს და მუსიკის სულს. სამყაროს დიონისური საწყისი თავისი გამომხატვის ერთ-ერთ ფორმას „სიმღერაში“ პოულობს. „ზარატუსტრას“ მეორე ნაწილში სამი სიმღერაა: „ღამის სიმღერა“, „ცეკვის სიმღერა“ და „სასაფლაო სიმღერა“. პირველი „მიჯნურთა სიმღერაა“. ამ ენით ლაპარაკობს „სიყვარულის წყურვილი“, დიონისური სწრაფვა და ტანჯვა. მიჯნური აქ სინათლეა, მარტოდ დარჩენილი „ნათელია“, მისი სიყვარულის საგანი კი არის ღამე, ბნელის არსებობის წესი, სინნელი, რომელიც „აღბებით“, „ნათლის ძღვნით“ ზედნიერია, მუდამ მოლოდინით და სურვილით აღვსილია. „ღამის სიმღერა“ დიონისურისა, მიძღვნილი სიბნელისადმი, როგორც სიცოცხლის აუცილებელი და მძალალო ღირებულება მისი მქონე ელემენტისადმი: „პეი, თქვენ ბნელნი, თქვენ ღამეულნი, მხოლოდ თქვენ ჰქმნით სიბოის მნათობით! პეი, მხოლოდ თქვენ შესვამთ რძეს და, სიტკბობას ნაოლას ჭიქნითა! „ცეკვის სიმღერა“ სიცოცხლეს ეგება: ქალთა ცეკვა, ზარატუსტრას ეტაცებას რომ იწვევს, სწორედ სიცოცხლის გამომხატულებაა; სიცოცხლის, როგორც მარად მომრავლის და „მოუხელთებელის“, გაომხატულება თავად ქალიც: „ხოლო მე ცვალებადი ვარ და ველური, და ყველაფრით დედავადი და არასათნოიანი“. „სასაფლაო სიმღერა“ ეძღვნება სიყრმის გატაცებებს, იმედებს, იდეალებს, აწ დამსხვრეულთ, „მიცვალებულთ“. ამ სიმღერის ბოლო ნაწილში ღრმა სევდას ცვლის ოპტიმისტური განცდა: ზარატუსტრამ იცის რომ მასში — და ყველა ადამიანში — არის ისეთი რაიმე, რასაც ვერ განადგურებ — ნება, რომელიც თან ახლავს ადამიანის მთელ ცხოვრებას. ნება კი განახლების იარაღია: „ღიაბ, არის ჩემ შორის უკოდველი და უმარხი, კლდეთა მძუსრავი: იგი ჩემი ნებაა. მდუმარე და უღრეკი ვლის იგი წლებსა. თვისი საყუთარი სვლით ჰსურს მას ვლა ჩემი ფეხით, ჩემს ძველ ნებას: გულქვაა მისი გრძნობა და უკოდველი“. ნების ამ „უკოდველობაში“ ჩანს მისი ერთ-ერთი ბრტული ნიშანი — ის თვითმღევის იარაღია. ძალაუფლების ნება არ არის მისწრაფება პასიურ შეგუებისაკენ, ის აქტიურია, შემოქმედებითია, მას ბატონობა, ზრდა და განმტკიცება სურს, ის გარემოს კი არ ეგუება, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარემოს იკუთვნებს. ეს განმტკიცება-განვითარება გულისხმობს არა მარტო ბატონობას გარემოზე, არამედ საყუთარი თავის დაძლევასაც. ის, რაც დღეს საოცნებოა, ხვალ უნდა მიიცივლოს, საფლავს შეგბაროს. ასე ხდება სიცოცხლის ამალღება და განმტკიცება. აქედან ნათელი ხდება, რომ ღირებულთა მხოლოდ ის, რაც ამ ამალღება-განმტკიცების ემსახურება ე. ი. ემსახურება „მიწას“, „სიცოცხლეს“, „ძალაუფლების ნებას“. თავად ისეთი პროცესი კი როგორცაა აზროვნება, სამყაროს „დაუინტერესებელი“ გააზრება, ნიკუშეს თანახმად, აუცილებელ პირობად მოითხოვს ინტერესს, ძალაუფლების ნების მოქმედებას: ნებას შეაქვს წესრიგი სამყაროში, ნება აძლევს არსებულს ისეთ სახეს, რომელიც შეიძლება გააზრებული იყოს. მყარი კანონები, მყარი ცნებები და კატეგორიები ნების ის იარაღებია, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს იბატონოს სამყაროზე: „ყოველი ყოფილი ესურთ ჯერ მოაზრებადი ჰყოთ: რადღაც ეჭვი გაქვთ კეთილი უნდობლობით, რომ იგი უკვე მოაზრებადია. მაგრამ იგი თქვენ უნდა დაგემორჩილოთ და თქვენ წინაშე მოიხაროს! ესე ჰსურს თქვენს ნებას. უნდა გასწორდეს და სულს ჰქვემდებარებდეს, ვით მისი სარკე და ანარეკლი“.

თამაზ ბუაჩიძე.

ღამის სიმღერა

ღამეა: აწ უფროსად მეტყველებს ყოველი წყარო, და სული ჩემიც წყაროა.
 ღამეა: მხოლოდ აწ იღვიძებს მიჯნურთა სიმღერა. და სული ჩემიც ხომ
 მიჯნურთა სიმღერაა.

უცხრი, უცხრომელია ჩემში; მას ხშიანობა ჰსურს. სიყვარულის წყურვილია ჩემში, იგი მეტყველებს მიჯნურის ენითა.

ნათელი ვარ: ჰოი, ნეტარძი ღამე ვიყო! ესეა მწირობა ჩემი, რომ ნათლითა ვარ მოსილი.

ჰოი, ნეტარძი ღამე ვიყო და ღამეული! ვით მოვწოვდი მე ჯიქანსა ნათლისასა!

და თქვენც დაგლოცდით, თქვენ მოციმციმე მნათობნო და ცის ნათელნო მალღარნო! — და ნეტარ ვიქმნებოდი თქვენი ნათლის ძღვენითა.

ხოლო ჩემი ნათლის შორისა ვცხოვრობ, ვსუნთქავ ალს, ჩემ შორისიდან ამონახეთქსა.

არა ვუწყი ბედნიერება ამღებისა; და მრავლად მზმანებია: პარვა უნეტარესი უნდა იქმნეს ვიდრე აღება.

ღატაკი ვარ, ხომ ხელი ჩემი აროდეს ისვენებს გაცემით; შურიანი ვარ, რომ ვუშხერ მოლოდინით აღვიღო თვალთ და სურვილით განათებულ ღამეთა.

ჰოი, ვაება ყოველ გამღებთა! ჰოი, დაბნელება მზისა ჩემისა! ჰოი, წყურვილი სურვილისა! ჰოი, მაძრობით უძღებო სიმშვილო!

იგინი მიიღებენ ჩემგან: ხოლო ვეზიარები კვლავ მათ სულს? უფსკრულია გაცემასა და აღებას შორის, და უმცირეს უფსკრულზედაც უძნელესია ხიდის ვადება.

სიმშვილი აღმოცენდება ჩემი მშვენიერებიდან: მსურს დამწუხრება ჩემ მიერ განათებულთა, ძარცვა მსურს ჩემ მიერ დაჩუქრებულთა: ესე მწყურის ბოროტეული.

უკან წავიღო ხელი, როცა მეორე ხელი უკვე გამოწვდილია; დავაყოვნო, ვით აყოვნებს ჩანჩქერი ვარდნისას — ესე მწყურის ბოროტება.

ეს შურისძიება სწყურის ჩემ სიუხვეს: ესე ზრახვა სჩქერის ჩემი მხოლოდობით.

ჩემი ნეტარება წარხდა გაცემით, თვისი სიჭარბით დაიშთო სათნოება ჩემი.

სირცხვილის განსაცდელშია, რომელი ვასცემს, მარად გამღების სული და გული მარადი ვაღებთ დაყოფრებულთა.

თვალთა ჩემთა აღარ ბინდავს მათხვართა სირცხვილი; დაკორძდა ხელი ჩემი სავეს ხელთა თრთოლვისაგან.

სად გაქრა ცრემლი თვალთა ჩემთა და ჩვილობა გულისა ჩემისა? ჰოი, მხოლოდობა გამღებთა! ჰოი, სიჩუმე ყველა მნათობთა!

მრავალი მზე წრიალებს უდაბურ სივრცეში: ყოველს ბნელს თვისი ნათელით ესიტყვება, — ჩემთვის სღუმს.

ჰეი, მძულვარება ნათლის მნათობისათვის: უღმობლად ვლის იგი თვის გზას.

უმართებულო ყოველ მნათობთათვის თვის გულის სიღრმით, ცივი მზეთათვის, — ესე დაძრწის ყოველი მზე.

რბიან მზენი, ვით ქარიშხალნი, ესეა ცხოვრება მათი. თვის უღმობელ ნებას მიჰყვებიან იგინი, ესეა სიცივე მათი.

ჰეი, თქვენ ბნელნო, თქვენ ღამეულნო, მხოლოდ თქვენ ჰქმნით სითბოს

მნათობით! ჰეი, მხოლოდ თქვენ შესევამთ რძეს და სიტკბოებას ნათლის ჭიქ-
 ნითა!

ჰეი, ყინულია ჩემს გარემო, ჩემს ხელს ყინულოვანი სწევას! ჰე, წყურ-
 ვილია ჩემ შორის. იგი სჭირვობს თქვენ წყურვილსა.

ლამეა: ჰეი, რად ჰხამს ჩემდა ნათლად ყოფა! და წყურვილი ბნელისა!
 და მხოლოდობა!

ლამეა: ვით წყარო სჩქეფს ჩემ შორიდან ჩემი სურვილი, — მეტყველებასა
 ნთხოვს.

ლამეა: აწ უფროსად მეტყველებენ მჩქეფარე წყარონი. ჩემი სულიც მჩქე-
 ფარე წყაროა.

ლამეა: აწ იღვიძებს მიჯნურთა ყოველი სიმღერა. და ჩემი სულიც მიჯნუ-
 რის სიმღერაა. —

ესე იმღერდა ზარატუსტრა.

ცეკვის სიმღერა

ერთ საღამოს ზარატუსტრა თვის ჭაბუკებით ტყეში მიდიოდა; წყაროს
 ოქნაში წაწყდა მწვანე ხეებით და ბუჩქებით წყნარად მოცულ ველს; იქ
 გოგოები ცეკვავდნენ. როგორც კი გოგოებმა ზარატუსტრა იცნეს ცეკვა მია-
 ტოვეს; ხოლო ზარატუსტრა მიუახლოვდა მათ და ეტყოდა:

„ნუ შესწყვეტთ ცეკვას, ძვირფასო გოგოებო! არა ცელქობის დამგმობე-
 ლი მოვიდა თქვენთან ბოროტი თვალით, არა გოგოების მტერი.“

მე ღმერთის მეოხე ვარ ეშმაკის წინააღმდეგ: იგი სიმძიმის სულია. ვით
 ვიქნები, თქვენ მსუბუქნო, ღვთაებრივი ცეკვის მტერი? ან გოგოების ფეხების,
 მშვენიერი ნაკვეთებით?

მე ხომ ტყე ვარ და წყვილია ბნელი ხეებისა: ხოლო, ვინც ჩემ სიბნე-
 ლეს არ ერიდება, ჩემი კიპარისების ქვეშ ვარდის ბუჩქებსაც აღმოაჩენს.

იგი პატარა ღმერთსაც ნახავს, რომელიც გოგოებს ძლიერ მოსწონთ: წყა-
 როსთან წევს იგი მიყუჩებული, დახუჭული თვალით.

ქეშმარიტად ნათელ დღეს დაიძინა მან, ზარმაცმა! ალბათ ბევრი სდია
 ბებლებს?

ნუ გამიწყრებით, თქვენ მშვენიერნო მროკავნო, თუ მე პატარა ღმერთს
 ცოტა დაგსჯი! იგი იყვირებს და იტირებს — ხოლო იგი სასაცილოა თვით
 ცრემლებითაც!

და ცრემლებით თვალბზე ვთხოვთ მან ცეკვა; და მე თვით ვიმღერებ
 სიმღერას მისი ცეკვისათვის:

სიმღერას ცეკვისა და სიმძიმის სულის გაკიცხვისა. იმ უმაღლესი, ყოე-
 ლად ძლიერი ღმერთის გაკიცხვისა, რომელსაც „ქვეყნის უფალს“ — ეტყვი-
 ან. —

და ეს არის სიმღერა, რომელი ზარატუსტრამ იმღერა, ოდეს კუბიდონი
 და გოგოები ცეკვავდნენ:

ამას წინათ თვალი თვალში გაგიყარე, ო ცხოვრებაე! და მომეჩვენა თით-
 ქოს უძიროში ვიძირებოდი.

ხოლო შენ ამომიყვანე ოქროს ნემსკავით, კიცხვით იცინოდი ოდეს შენ უძირო გიწოდე.

„ესე იტყვიან ყველა თევზები, მითხარი: რასაც ისინი ვერ გაზომავენ უძიროა.

ხოლო მე ცვალებადი ვარ და ველური, და ყველაფრით დედაკაცი და — არასათნოიანი:

დაე თქვენთვის, მამაკაცნო, ვიყვე „ღრმა“, „ერთგული“, „მარადიული“, „იღუმალი“.

მაგრამ თქვენ, მამაკაცნო, თქვენი საკუთარი სიქველით გვასაჩუქრებთ. ჰე, თქვენ ქველნო!“

ესე იცინოდა იგი, თვალთმაქცი; ხოლო მას აროდეს ვუჯერებ და მის იცილს, ოდეს თავისი თავისთვის ცუდს ლაპარაკობს.

და ოდეს პირისპირ ჩემ ველურ სიბრძნეს ვესაუბრებოდი, მან მითხრა განრისხებულმა: „გსურს, ისწრაფი, გიყვარს, ამაღ მხოლოდ აღდიებ ცხოვრებას!“

თითქმის ბოროტად ვუპასუხე და განრისხებულს სიმართლე ვუთხარი; და უფრო ბოროტი პასუხი არ არის, ვიდრე საკუთარი სიბრძნისათვის „ქეშ-მარიტების თქმა“.

ესეა ჩვენ სამთა შორის. გულით მიყვარს მხოლოდ ცხოვრება — და ქეშ-მარიტად უმეტესად მაშინ, ოდეს იგი მძულს!

ხოლო უკეთუ სიბრძნისადმი კეთილგანწყობილი ვარ და ხშირად ძლიერ კეთილგანწყობილი: რადგან იგი ძლიერ მაგონებს ცხოვრებას!

მას მისი თვალეები აქვს, მისი სიცილი და მისე ოქროს ნემსკავიც: რა ვქნა, რომ ორივე ესოდენად ერთმანეთს ემზგავსება?

და ერთხელ ცხოვრებამ მკითხა: ვინ არის ეს სიბრძნე? — მე ვუპასუხე გაცხარებით: „ეხ დიახ! სიბრძნე!“

იგი სწყურიათ, და ვერ გაძლებიან, სცდილობენ დანახვას ჩადრის ქვეშ, ბაღით ეძებენ.

ლამაზია იგი? რა ვიცი! ხოლო თვით მოხუცი კობრებისათვის იგი მიმზიდველია.

ცვალებადია იგი და თავნება; ხშირად მინახავს იგი ტუჩებს იკვნეტდა და სავარცხლით თმას იბურძმენდა.

შეიძლება იგი ბოროტი და ყალბია და ყველაფრით დედაკაცია, ხოლო ოდეს თავისი თავისათვის ცუდს ლაპარაკობს, მაშინ არის უმთავრესად მიმზიდველი“.

ოდეს ამას ვეტყვოდი ცხოვრებას, მან ბოროტი სიცილით გაიცინა და თვალეები დახუჭა. „ვიზე ლაპარაკობ მაინც? სთქვა მან, ნუთუ ჩემზე?“

და თუნდაც მართალი იყო — განა ამას პირში ეტყვიან! ახლა კი მითხარი რამ შენი სიბრძნისა!“

ეჰ, მაშინ კვლავ გაახილე თვალი, ო საყვარელო ცხოვრებაე! და მომეჩვენა, უფსკრულში ჩავევარდი.

ესე მღეროდა ზარატუსტრა. ხოლო ოდეს დამთავრდა როკვა და გოგოები წავეიდ-წამოვიდნენ, მან მოიწყინა.

„მზემ დიდი ხანია გადიარა, სთქვა, მან ბოლოს; ველი დაინამა, ტყიდან ცივი სიო ჰქრის.

რალაც უცნაურობაა ჩემს ირგვლივ და ჩაფიქრებული იყურება. რაო? შენ კვლავ ცოცხალი ხარ ზარატუსტრა?

რატომ? რისთვის? რანაირად? საითკენ? სად? როგორ? განა სისულელე არ არის კვლავ ცხოვრება? —

ეჰ, ჩემო მეგობრებო, ესე სალამოა, რომ ჩემით კითხულობს? მომიტევეთ ჩემი მოწყენილობა!

სალამო მოვიდა: მომიტევეთ, რომ დასაღამოვდა!“

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

სასაზღაო სიზმარა

„იქ საფლავთა კუნძულია, მდუმარე; იქვეა საფლავები ჩემი სიყრმისა. იქ მივიტან მე სიცოცხლის მარად მწვანე გვირგვინს“.

ესე გულისეხიტიყვობდი, რა ვლიდი ზღვასა ზედა.

ჰე, სახენო და აჩრდილნო სიყრმისა ჩემისა! ჰე, თქვენ მზერანო სიყვარულისა, თქვენ ღვთაებრივო წამებო! ვით განმშორდით ეგრედ მეყსეულად! დღეს გიხსენიებთ, ვით ჩემ მიცვალებულთ.

თქვენით ჰქარავს ტბილი სურნელი, ჩემო სატრფო მიცვალებულნო, გულ და ცრემლ აღმძვრელი. ჰეშმარიტად, იგი შეაძრწუნებს და მსუბუქ ჰქმნის ვულსა მარტოდ მცურავისასა.

კვლავ უმდიდრესი ვარ და შურის აღმძვრელი — მე უმწირესი! ვინაიდგან მე გპყრობდით თქვენ და კვლავ თქვენ მე გპყრობთ: მარქვით ვისთვის რხეულა ხე ესეთი წითელი ვაშლებით?

კვლავ მემკვიდრე ვარ თქვენი სიყვარულისა და მიწა, ჰრელ ველური სათნოებით ყვავილდასხმული ხსოვნად თქვენდა, ჰე თქვენ, სატრფონო.

ჰე, ჩვენ ურთიერთისათვის ვიყავით შექმნილნი, თქვენ წარმტაცნო, უცხო სასწაულნო: არა ვით მშიშარა ფრინველნი მესტუმრებოდით მე და ჩემს სურვილს, — არა, ვით ერთგულნი ერთგულსა!

ღიახ, ერთგულებისათვის იყავით ქმნილნი, ვით მე, და ნაზი მარადისობისათვის: აწ ჰხამს ჩემდა ხმობა თქვენი ღალატის სახელით, თქვენ ღვთაებრივო მზერანო და წუთნო; სხვა სახელები ჯერ არ მისწავლია.

ჰეშმარიტად, ნაადრევად დამეხოცენით, თქვენ კლტოლგილნო. ხოლო თქვენ ჩემით არა ლტოლვილხართ, არცაღა მე თქვენით: უბრალონი ვართ ურთიერთისადმი ჩვენი ღალატისა.

ჩემდა კვლად თქვენ დაგაშთვეს, თქვენ, იმედთა ჩემთა მგალობელნო ფრთოსანნო! ღიახ, თქვენსკენ, სატრფონო, სტყორცნიდა ბოროტება მარად თვის რსარსა, კოდვად გულისა ჩემისა!

და მან დაჰკოდა! თქვენ ხომ ჩემი გულითადესნი იყავით, ჩემი კუთვნი, ჩემი საპყრობი: ამაღ გამართებდათ ყრმად სიკვდილი და მეტად ნაადრევდა!

ჩემთვის უსაკარებს სტყორცნიდნენ ისართა; იგი თქვენ იყავით, რომელთა კანი მზავასია გერმისა და მეტი ღიმილისა, რომელი ერთ თვალკვრით კვდება.

ამა სიტყვას მტერთა ჩემთა ვეტყვი: რად დარობს მკვლელობა თქვენით ჩემდა ქმნილ!

მკვლევლობისა უმეტესი ბოროტება ჰქმენით ჩემდა: კვლავ მოუვალრთ გამძარცვეთ მე: — ესე გეტყვიოთ თქვენ, მტერნო ჩემნო!

თქვენ ხომ მოსრეთ სახე სიყრმისა ჩემისა და სასწაული სატურფალი! თქვენ წარმატეთ თანასრბოლნი ჩემნი, ნეტარი სულები! მათ ხსოვნად დავსდებ ამა გვირგვინსა და ამა წყევას.

ესე წყევა თქვენზედა, მტერნო ჩემნო! ხომ თქვენ ჰყავით დამეულად ჩემი მარადიული, ვით ბგერა შემუსრული ცივ დამეში! ძლივს თვალი მოკვარი, ვით ღვთაებრივი თვალის გამოხედვას; — ვით წამს!

ესე მეტყოდა ერთხელ ჟამი კეთილი ჩემი უბიწოებისა: „ღვთაებრივ უნდა ჰყოფდეს ყოველი არსი“.

მაშინ თავს დამესხით უწმიდური მოჩვენებებით; ჰე, სად გაჰქრა აწ იგი ჟამი კეთილი!

„ყველა დღე ჩემთვის წმიდა უნდა იყოს“ — ასე ამბობდა ოდესღაც სიბრძნე ჩემი სიყრმისა: ჰეშმარიტად, სიტყვა მხიარული სიბრძნისა!

მაგარამ მაშინ მომპარეთ, მტრებო, ჩემი დამეები და შემეცვალეთ უძილო ტანჯვით: ჰე, სად გაჰქრა აწ ის მხიარული სიბრძნე?

ოდესღაც მსურდა ამომეცნო ჩიტი — ბედნიერების ნიშანი: თქვენ მომივლინეთ საზიზღარი ურჩხული — ბუ. სად გაჰქრა მაშინ ჩემი ნაზი სურვილი?

ოდესღაც აღთქმა მივეცე, უარი მეთქვა ყოველგვარ ზიზღზე: მაშინ ჩემი ახლობელნი და უახლოესნი ჩირქოვან მუწუტებად გადააქციეთ. ჰე, სად გაჰქრა მაშინ უკეთილშობილესი აღთქმა?

ვითარცა ბრმა მივიღიდი მე ოდესღაც ნეტარი გზებით: მაშინ ჰუჰყვი ისროლეთ ბრმის გზაზე და ახლა სძაგს მას თვისი ძველი გზა.

და როს ჩემთვის უძნელესი რამ მოვიმოქმედე და ჩემს ძლევათა გამარჯვებას ვზეიმობდი, მაშინ, ისინი, ვისაც მე ვუყვარვარ, აიძულეთ ეყვირათ, რომ ნე უბედურება მომაქვს მათთვის.

ჰეშმარიტად, ეს იყო მუდამ თქვენი საქმე: თქვენ მიწამლავდით ჩემს საუკეთესო თაფლს და ჩემი საუკეთესო ფუტკრების გულმოდგინებას.

უწვართეს გლახაკთ უგზავნიდით მარად მოწყალებას; ურცხვთ ასხამდით თავს ჩემს სიბრალულსა. ესე თვისი რწმენით დაჰკოდეთ ჩემი სათნოება.

და ოდეს ჩემს უწმიდესს მსხვერპლად მივიტანდი, თქვენი „კეთილმსახურება“ ისწავიდა მოტანად მასთან მსუქან ზვარაკთა: ესე დაშთებოდა უწმიდესი ჩემი თქვენი ქონის ხრაწით.

და როკვა მსურდა ოდეს, ვით აროდეს მეროკვოს: ყოველ ცათა ზე მსურდა მე როკვა. და თქვენ ჩემი საყვარელი მომღერალი გადაიბირეთ.

და იგი მღეროდა მწუხრად, სევდიანად; ჰე, იგი ჩამჩხაოდა ყურში, ვით ნესტუნი სამწუხრო.

მომღერალე მავკდინებოლო, ჰურტელო ბოროტეულისა, შენ უფროსად უბიწო! განმდებელ ვიყავი როკვად და შენი ხმით მოჰკალი ჩემი აღტივინება.

მხოლოდ ცეკვით ვუწყვი მე თქმა მაღალი საგნების სიმბოლოთა: და აწ უმაღლესი სიმბოლო ჩემი უთქმელად დაშთა ჩემს სხეულში!

უთქმელია ყველა ჩემი მაღალი იმედი! და ჩემი სიყრმისა ყველა სახენი და ნუგეშნი დამეხოცნენ!

ვით გადვიტანე? ვით დავიტიე და ვძლიე ჰრილობანი ესე? ვით აღდგა სული ჩემი ამა საფლავით?



დიახ, არის ჩემ შორის უკოდველი და უმარბი, კლდეთა მმუსრაფი: იგი ჩემი ნებაა. მდუმარე და უდრეკი ვლის იგი წლებსა.

თვისი საყუთარი სელით ჰსურს მას ვლა ჩემი ფეხით, ჩემს ძველ ნებას; გულქვაა მისი გრძნობა და უკოდველი.

უკოდველი ვარ მხოლოდ ტერფით. კვლავ ცოცხალ ხარ და თვისდარი, შენ უდამთენესო! კვლავ ზეამოიჭრები ყველა საფლავებით!

კვლავ ცოცხალია შენ შორის ჩემი უცნობელი; და ვით სიცოცხლე და სიყრმე ჯდომილ ხარ აქ საფლავთა ყვითელ ნამუსრზე.

დიახ, კვლავ ჩემთვის ყველა საფლავთა მმუსვრელი ხარ: ჩემო ნებაჲ, სალამი შენ! და სად საფლავნი ჰჭიებენ, ჰჭიებენ აღდგომანი.

ესე იმდერდა ზარატუსტრა.

თვითმკვანისათვის

„ნება ჭეშმარიტებისათვის“ ესე არ უწოდებთ თქვენ უბრძნესო იმას, რაც თქვენ გამოძრავებთ და გაცხოველებთ?

ნება მოაზრებადობისათვის ყოველი ყოფადისა: ესე ვუწოდებ მე თქვენ ნებას!

ყოველი ყოფადი გსურთ ჯერ მოაზრებადი ჰყოთ: რადგან ეშვი გაქვთ კეთილი უნდობლობით, რომ იგი უკვე მოაზრებადია.

მაგრამ იგი თქვენ უნდა დაგემორჩილოთ და თქვენ წინაშე მოიხაროს! ესე ჰსურს თქვენ ნებას. უნდა გასწორდეს და სულს ქვემდებარებდეს, ვით მისი სარკე და ანარეკლი.

აქ არის თქვენი მთელი ნება, თქვენ უბრძნესო, ვით ნება ხელმწიფებისა, და თვით მაშინაც, ოდეს კეთილისა და ბოროტებისათვის ლაპარაკობთ და ღირებულებათა შეფასებისათვის.

გსურთ კვლავ შექმნათ ქვეყანა, რომლის წინაშე მუხლს მოიდრეკთ: ესეა თქვენი უკანასკნელი იმედი და სიმთვრალე.

მართალია, სარაბრძენნი, ხალხი, — იგი მდინარეს ემზგავსება, რომელშიც ნავი წინ მისცურავს; და ნავში სხედან მოხეიმი და შებურულნი ღირებულებათა შეფასებანი.

თქვენი ნება და თქვენი ღირებულებები ჩაუშვით ყოფადობის მდინარეში; ძველ ნებას ხელმწიფებისა ვხედავ მე იქ, სადაც ხალხს კეთილი და ბოროტება სწამს.

ეს თქვენ იყავით, თქვენ უბრძნესო, რომელთაც მსგავსნი სტუმრები ამ ნავში ჩასხით, შეკავშეთ და ამაყი სახელები უწოდეთ, — თქვენ და თქვენი გაბატონებული ნება!

აწ წინ მიაქვს მდინარეს თქვენი ნავი: მან უნდა ზიდოს. რას იზამს, თუ გაწყვეტილი ტალა აქაფდება და კიდეს მრისხანედ შეებრძოლებად!

არა მდინარეა თქვენი ხიფათი და დასასრული თქვენი კეთილისა და ბოროტისა, თქვენ უბრძნესო: ხოლო თვით ის ნება, ნება ხელმწიფებისა, — უშრეტე მძემედი ნება ცხოვრებისა.

რათა ვივით ჩემი სიტყვა კეთილისა და ბოროტისათვის, ამაღ გეტყვით სიტყვას ცხოვრებისათვის და ყველა არსთა ზნესათვის.

არსს [ყოველივე ცოცხალს] გავსდიე მე, ვვლიდი დიდი და მცირე გზებით, რათა შემეცნო მისი ზნე.

ათასწახნავიან სარკით ვიჭერდი მის სახეს, ოდეს იგი სდუმდა: რათა მის თვალს ეთქვა რამ ჩემთვის, და მისი თვალი დამეღლაპარაკა.

ხოლო სადაც მე მარტო არსს ვბოვებდი, იქ მორჩილების სიტყვაც მესწოდა. ყოველი არსი რაღაც მორჩილია.

და აი მეორე: მას უბრძანებენ, რომელმა არ უწყის თავისთავისადმი მორჩილება, ესეა ზნე არსისა.

ხოლო ესე მესამე, ჩემ მიერ სმენილი: ბრძანება უფრო ძნელია, ვიდრე მორჩილება. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ზიდავს ყოველ მორჩილთა ტვირთს და რომ ეს ტვირთი ადვილად გასრისავს მას: —

ცდას და შეუპოვრობას ვხედავ ყოველ ბრძანებაში. ოდეს ბრძანებს არსი, თავის თავს განსაცდელში ავდებს.

და თვით მაშინაც, ოდეს იგი თავის თავს უბრძანებს: მაშინაც უნდა გამოისყიდოს თვისი ბრძანება. თავისი საკუთარი კანონის მსაჯული უნდა შეიქმნეს იგი, შურისმგებელი და მსხვერპლი.

როგორ მოხდება ესე! ამას ვკითხულობ. რა დააჯერებს არსს, რათა მორჩილ იყოს და ბრძანებდეს, და ბრძანებს რა, მორჩილ იყოს?

მომისმინეთ, თქვენ, უბრძანესნო! შეამოწმეთ სერიოზულად, შევიჭერი თუ არა თვით ცხოვრების გულში და მისი გულის ფესვებამდე!

სადაც არსი [ცოცხალი] მინახავს, იქ ნებაც მიპოვნია ხელმწიფებისა; და თვით მსახურთა ნებაში მე მიპოვნია ნება ბატონად ყოფისა.

რათა უძლიერესს უსუსტესი ემსახუროს, ამას უკარნახებს მას თვისი ნება, რომელს უსუსტესზე ბატონობა ჰსურს, მხოლოდ ამ სიამოვნებისათვის არ შეუძლიან მას უარის თქმა.

და როგორც უმცირესი დანებდება უდიდესს, რათა მან სიამოვნოს და ბატონოს უმცირესზე: ეგრეთ უდიდესი ნებდება და ხელმწიფებისათვის ხიფათში ჩააყენებს — ცხოვრებას.

ესეა უდიდესთა თავგანწირვა, რომ იგი გამბედაობაა, და ხიფათი, და სასიკვდილო კამათლის თამაში.

და სადაც მსხვერპლია, მსახურება და სიყვარულის გამოხედვა, იქ ბატონობის ნებაც არის. ფარული გზით მიიპარება უსუსტესი უძლიერესთა კოშკისა და გულამდე — და აქ იპარავს ხელმწიფებას.

და ეს საიდუმლოება თვით ცხოვრებამ გაამხილა: „უყურე, სთქვა მან, მე ესა ვარ, რაც მარად თავის თავს უნდა სძლევედეს“.

„მართლად, თქვენ მას მძიმედობის ნებას უწოდებთ ან სწრაფვას მიზნისაკენ, უმაღლესისაკენ, შორეულისაკენ, მრავალფერადისაკენ: ხოლო ყველა ეს ერთია და ერთი საიდუმლება.“

„უკეთესია დავიღუპო, ვიდრე უარყო იგი ერთი; და ჭეშმარიტად, სადაც წარხლომა და ფოთლები სცივია, იქ ცხოვრება ეწირება ხელმწიფებისათვის!“

„ჰხამს ჩემდა ბრძოლა ვყო, და ყოფადობა [Werden], და მიზანი, და მიზნის წინააღმდეგობა! ჰე, ვინც ჩემს ნებას ამოიცნობს, გამოიცნობს აგრეთვე თუ როგორ უსწორ-მასწორო გზებით უნდა ვლიდეს იგი!“

„რასაც უნდა ვქმნიდე და რანაირადაც უნდა მიყვარდეს იგი — მალე მოწინააღმდეგე უნდა შევიქმნე მისი და ჩემი სიყვარულისა: ესე ჰსურს ჩემს ნებას.“

„და შენც, მმეცნე, ჩემი ნების ბილიკი ხარ და კვალი: ჭეშმარიტად ჩემი ნებაც ხელმწიფებისა მისდევს კვალს ჭეშმარიტების შენი ნებისა.

„ვერ მოახვედრა, ცხადია, ჭეშმარიტებას, ვინც მას სტყორცნა სიტყვა „ნება არსებობისა“: ნება ესე არ არსებობს!

„რადგან რაც არ არის, მას არც სურვილი შეუძლია; რაც არსებობს, ვით შეუძლია მას კვლავ არსებობის სურვილი!

„ხოლო სად ცხოვრებაა, იქ ნებაცაა: ხოლო არა ნება ცხოვრებისა, არამედ — ამას გასწავი შენ — ნება ხელმწიფებისა.

„მრავალს აფასებს სულდგმული მეტად, ვიდრე ცხოვრებას, ხოლო თვით შეფასებით ლაპარაკობს: ნება ხელმწიფებისა“.

ესე მასწავიდა ერთხელ ცხოვრება: და ამით ამოვიცნობ თქვენი გულის ამოცანას, თქვენ, უბრძნესნო.

ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ: სიკეთე და ბოროტი უმუსრი არ არის! მარად ჯერ არს მათთვის თავის ძლევა.

თქვენი ღირებულებებით და სიტყვებით კეთილისა და ბოროტისათვის თქვენ ძალადობთ, თქვენ, ღირებულებათა შემფასებელნო; და ეს არის თქვენი ფართული სიყვარული და თქვენი სულის ბრწყინვალეობა, თრთოლა და სწრაფვა.

ხოლო უფრო ძლიერი ძალადობა იზრდება თქვენ ღირებულებათაგან და ახალი ძლევა: მასზედ იმსხვრევა კვერცხი და კვერცხის ნაჭუჭი.

და რომელი უნდა კეთილისა და ბოროტის მმქმედი იყოს: ჭეშმარიტად ჯერ მმუსვრელი იყოს და დაამსხვრიოს ღირებულებანი.

ესე უზენაესი ბოროტება უზენაეს სიკეთეს ეკუთვნის: ხოლო ესე მმქმედიია. —

მხოლოდ მისთვის ვილაპარაკოთ, თქვენ, ბრძენნო, მართალია, ესეც ცუდია. სიჩუმე უარესია. ყოველი ჭეშმარიტება, რომლისთვისაც სდუმან, შხამიანად იქმნება.

დეე დაიმსხვრეს ყოველი, რასაც ჩვენ ჭეშმარიტებაზე დამსხვრევა შეუძლიან! კვლავ არა ერთი სახლია ასაშენებელი.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

(გაგრძელება იქნება)

გერმანულიდან თარგმნა ერეკლე ტაბიშვილმა

6 153/96

ფასი 85 კაპ.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ინდექსი

76195